საერთო გაზეთი

№25 (378) • 13 ივლისი, 2016 წ. • გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

BLACK SEA ARENA - არენა საქართველოს აღმავლობისთვის და დაბოლმილი „ნაციონალები“

ნიაზ ბოლქვაძე:

ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთმა პასუხი უნდა გაგვცეს – რატომ დაპარპაშებენ „ნაცები“ მათ ტერიტორიაზე?

დავით ნემსაძე:

რატომ იმატა თვითმკვლელობების რაოდენობამ თავდაცვის სამინისტროში?

„სირებს რად გვინდა გენდერი“, ანუ სამი „პოინტი“ აქეთ-იქით ქალებით და შუაში მამრით

ვახტანგ რჩეულიშვილი: – „საქართველოს სახელად უფრო მოუხდებოდა – სირია... ამიტომაც „მომილოცავს, სირებო, ბზობა!

არის თუ არა დამნაშავე ადამიანი, რომელმაც მაგდა პაპიძის და ომარ ქაფიაშვილის ოჯახის ტრაგედიაში მთავარი როლი ითამაშა?





მისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯა კი არა ორდღიანი პატიმრობაც არ შეუბედავს ვინმეს, მიუხედავად იმისა, რომ საზარელი ფაქტი, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, სწორედ მის სახელს უკავშირდება.

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ჩვენ იმ კარებზე ვაკაკუნებთ, რომელიც არ არსებობს...

გიორგი რამიშვილი (ასტროლოგი):

ოქტომბრის არჩევნებზე ყველაფერი მშვიდად ჩაივლის და მმართველი პარტია გაიმარჯვებს

ასლან ფაღავა:

ქვეყანა, რომელსაც მთელი ევროპის მომარაგება შეუძლია მინისტრებით...

ნიაზ ბოლქვაძე:
ყარსის ხელშეკრულების თანახმად, თურქეთმა პასუხი უნდა გაგვცეს – რატომ დაპარპაშებენ „ნაცები“ მათ ტერიტორიაზე?

გვესაუბრება „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ თავმჯდომარე ნიაზ ბოლქვაძე

– ბატონო ნიაზ, მამულიშვილთა კავშირს ხელმძღვანელობთ. ახლახან აჭარაში ზეიმით შემოვიდა აჭარის მთავრობის ყოფილი მეთაური. ვინ იყო ის ხალხი, ვინც ტაშით დახვდა მას. ესენი არიან აჭარის მამულიშვილები?

– ესენი არ ყოფილან აჭარელი მამულიშვილები. ეს ადამიანები გახლდნენ ერთი კონკრეტული ჯგუფის, ერთი პარტიის მხარდამჭერები და ეს ბუნებრივიცაა – ყველა პარტიას ჰყავს მხარდამჭერი – ბევრი თუ ცოტა.

ასე რომ, ვარშალომიძის დახვედრა ტაშით არ არის მთელი აჭარის მოსახლეობის განწყობის გამოხატულება. მას დახვდნენ აჭარის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები.

– კაცმა რომ თქვას, ლევან ვარშალომიძის წინააღმდეგ რა ბრალდებები არსებობს?

– ვარშალომიძის წინააღმდეგ სს საქმე არ აღძრულა, ოფიციალური ბრალდება არ წამოყენებულა, ამიტომ მას, როგორც საქართველოს მოქალაქეს, აქვს უფლება საქართველოში ჩამოვიდეს, მაგრამ მეორეა მორალური უფლება.

პირველი ის, რომ ლევან ვარშალომიძე გახლავთ აჭარაში „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი წინამძღოლი, 26 მაისის და 7 ნოემბრის შემოქმედი რეჟიმის გვერდით მდგომი. ჯერ იმაზე გაგვცეს პასუხი, აჭარის ქართული მიწები უცხოელებზე რომ გაასხვისა და მერე შემოვიდეს ბუკ-ნაღარით აჭარაში და, საერთოდ, საქართველოში.

ბათუმი, ფაქტობრივად, ბორდელების ქალაქად ჩამოყალიბდა მისი ხელმძღვანელობის პერიოდში და ამისგან თავდახსნა ძნელდება. „ნაცმოძრაობის“ დროს გაირყვნა და წაიბილწა ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა, გამყიდველ ნაციონალებს ედგა გვერდით ვარშალომიძე. ეს იცის და კარგად ახსოვს აჭარის მოსახლეობას და მალე საკადრის პასუხს, დამსახურებისამებრ, მიიღებს ყველა აჭარელებისგან.

– ბატონო ნიაზ, რეგიონებიდან ბევრი მირეკავს, ჩამოდიან, გვიკავშირდებიან და გულისტკივილს გამოხატავენ – „ნაცმოძრაობის“ ძველი წარმომადგენლები ისევ ძველ პოსტებზე არიან მოკალათებულიო. აჭარაში რა ხდება ამ მხრივ?

– რა გითხრათ, ჩემო კარგო?! აჭარაშიც იგივე სიტუაციაა. პოსტებზე ბევრი ისეთი კადრი ზის, რომელიც ჩუმად დღემდე უთანაგრძნობს „ნაციონალებს“.

2012 წელს ყურები ჰქონდათ ჩამოყრილი, ელოდნენ, თუ სასამართლოს წინაშე არა, ხალხის წინაშე მაინც აღმოჩნდებოდნენ პირისპირ და მორალური პასუხისმგებლობა ტვირთად დააწვებოდათ, მაგრამ კვლავ მიიღეს თანამდებობები, ზოგი ძველ ადგილზე შენარჩუნდა და ახლა, როგორც იტყვიან, ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად.

ერთ ფაქტს გავიხსენებ.

2012 წელს სამთო კურორტ ბეშუმში იმყოფებოდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავის თანამებრძოლებთან ერთად. მათ შორის მეც ვიყავი. ბეშუმიდან პირდაპირ გამოგვყარეს. ხულოს გამგებელი, ცხადია, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი იყო, თუ არ მეშლება, გვარად ჭელიძე გახლდათ. ის ედგა სათავეში „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო ძალადობას.

2012 წლის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და თითქოს, ჭელიძე, სულ მცირე, სამსახურიდან უნდა გადადგებოდა, მაგრამ ის დააწინაურეს და გადმოიყვანეს აჭარის მთავრობაში ხაბაძის მრჩევლად თუ თანაშემწედ. ის ადამიანი არის „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელი. ამაზე არაერთხელ განვაცხადე, მაგრამ ყურად არავინ იღო.

იყოს ჭელიძე სადაც არის, მას არც რაიმეს გაკეთება შეუძლია და არც დაშავება, მაგრამ მისი თანამდებობაზე ყოფნა იმ ადამიანების შეურაცხყოფაა, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსაყვანად იბრძოდნენ და ხშირად თავსაც სწირავდნენ ამისთვის.

– სამაგიეროდ, ვარშალომიძე და ნაცები აპირებენ წინასწაარჩევნოდ ყველა ოჯახს ესტუმრონ.

– მიბრძანდნენ. ყველა ოჯახი გასცემს საკადრის პასუხს.

– ნაცებს თუ დაფარული სახელისუფლო რესურსი აქვთ, შეიძლება კიდევაც აიღონ ხმები აჭარაში?

– რას ბრძანებთ, ქალბატონო, პროვოკაციულ შეკითხვებს რატომ მისვამთ, რას ჰქვია ნაციონალები გაიმარჯვებენ.

ჩვენ არ დაგვიწყებია „ნაცმოძრაობის“ ანტიეროვნული რეჟიმი, რომლის მსხვერპლიც არაერთი აჭარელი გამხდარა და მათ შორის მეც, თქვენი მონამორჩილი მორგიდან გამომიყვანეს 26 მაისს.

არჩევნებში რეალური და მოსახლეობაში ავტორიტეტის მქონე პირები უნდა დასახელდნენ, თორემ იმ ე. წ. კოჰაბიტაციით ძალიან უკმაყოფილოა ხალხი.

– თქვენ მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?

– ალბათ, მივიღებ. თუ რომელი პარტიიდან, ეს უახლოეს ხანებში გახდება ცნობილი. არის პარტიები, რომლებსაც შესანიშნავი იდეოლოგია აქვთ, მაგრამ პერსონალიების პრობლემა აქვთ, ასე რომ, დაბალბიუჯეტიანი პარტია გვირჩევნია ენჯეოებით გავსებულ პარტიას. ვვარაუდობთ, რომ ისეთ ძალასთან გავერთიანდებით, რომელიც ხალხს იმედებს არ გაუცრუებს.

რაც შეეხება ვარშალომიძის და ნაციონალების ბოგინს აჭარაში, უახლოეს ხანებში გავცემთ მათ საკადრის პასუხს სამართლებრივი ფორმით.

მართალია, ხელისუფლებამ დღემდე ვერ მოახერხა წინა გამყიდველი რეჟიმისთვის საკადრისი მიეზღო, ამიტომ ამას ჩვენ, ხალხი, გავაკეთებთ.

უმოკლეს დროში ჩვენ წარმოვადგენთ დოკუმენტს და გავახმოვანებთ ჩვენს განცხადებას იმის თაობაზე, თუ როგორ მოძრაობენ თურქეთის ტერიტორიაზე ქვეყნიდან გაქცეული „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები. ყარსის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, რომ ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოები არ იმოქმედებენ და თავის ტერიტორიაზე არ დაგეგმავენ მეორე სახელმწიფოს საწინააღმდეგო ქმედებებს. „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები თურქეთის ტერიტორიაზე იკრიბებიან და ქართული, ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ თათბირობენ. ეს დანაშაულია, შეთანხმების დარღვევაა და ქართულმა სახელმწიფომ ამაზე პასუხი უნდა მოითხოვოს.

აჭარის მამულიშვილთა კავშირი უახლოეს დღეებში ამ წინადადებით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

BLACK SEA ARENA – არენა საქართველოს ალმავლობისთვის და დაბოღმილი „ნაციონალები“

ბიძინა ივანიშვილმა ახალაშენებული ულტრათანამედროვე საკონცერტო დარბაზი Black sea arena, რომელიც შეკვეთილში მდებარეობს, სახელმწიფოს გადასცა საჩუქრად...

დარბაზის მშენებლობა 200 მილიონ ლარზე მეტი დაჯდა და პროექტის ფარგლებში 700 ადამიანზე მეტი იყო დასაქმებული.

საკონცერტო დარბაზი ათი ათასამდე მაყურებელს იტევს და შშმ პირებისთვის ეტლის ადგილებიცაა გამოყოფილი.

Black sea arena აღჭურვილია საერთაშორისო სტანდარტების მქონე უსაფრთხოების სისტემით.

მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს ხელშეკრულებაზეც არ ჰქონდათ ხელი მოწერილი, „რუსთავი-2“ რომ აღშფოთდა... რა თქმა უნდა, ნიკა გვარამიამ გამოყო ჯერ ჭრელწინდიანი ფეხი: სიამის იმპერატორი გაიხსენა, რომელიც თეთრ სპილოს ჩუქნიდა არასასურველ დიდგვაროვნებს და სპილოს სიკვდილის შემთხვევაში დიდგვაროვანსაც სიკვდილით სჯიდა...

რაღაც ყურით მოთრეულს ჰგავს თქვენი თეთრი სპილო ახალ საკონცერტო დარბაზში...

„რუსთავი-2“-მა აიტაცა გენერალური დირექტორის აჟიტირებული ტონი, აიტაცა და დაიწყო იმ ადამიანების პოვნა, ვინც იტყოდა, გვიშველეთ, 200 მილიონის ღირებულების დასრულებული პროექტი შემოგვტენესო...

მართალია, ტელეწამყვანებმა გვითხრეს, პოლიტიკოსები, პრომოუტერები და საზოგადოება აღშფოთებულიაო (მრავლობითშიო, ანუ ბევრი პოლიტიკოსი, ბევრი პრომოუტერი და საზოგადოების დიდი ნაწილიო), მაგრამ რეალურად რომან გოცირიძის ფეისბუქპოსტი წაგვიკითხეს და აჩიკო გულედანის პატარა ჩანაწერი გვაჩვენეს.... სად არის ის ბევრი პოლიტიკოსი, ბევრი პრომოუშენი და საზოგადოების დიდი ნაწილი, ისინი რატომ არ ჩაწერეთ, ჩემო კარგებო?

რომან გოცირიძემ განაცხადა, ხალხს არ გვინდა ეს საკონცეტო დარბაზიო...

ხალხი მაჩვენეთ, ვისაც გოცირიძემ ჰკითხა, უნდოდათ თუ არა საკონცერტო დარბაზი...

მაჩვენეთ დოკუმენტი, ან მითხარით მორალური პრინციპი, რომლის შედეგადაც რომან გოცირიძეს ხალხის პირით საუბრის უფლება მოუპოვებია...

მთავრობამ უარი უნდა თქვას ამ საჩუქარზეო, არ გვაქვს ჩვენ მისი შესანახი ფული... აკი, ხელისუფლება წლებია, იცილებს სახელმწიფო ქონებას, რომლის შენახვაც მძიმე ტვირთად აწვებაო... ამ არენაზე წელიწადში ჩატარებული რამდენიმე ღონისძიება მისი დაცვა-დასუფთავების ხარჯსაც ვერ დაფარავსო...

მაინც, ვის გინდათ, რომ გადასცეს სახელმწიფომ ახალი არენა? რომელიმე ბიზნესმენს? თუ პირდაპირ „ნაცონალურ მოძრაობას“?

ამ ხელისფულებას არ აქვს გამბედაობაო, ესეც განაცხადა გოცირიძემ, ამიტომ, როგორც კი ყაირათიანი მთავრობა მოვა სათავეში, ამ ობიექტს გაყიდის და გასაყიდი ფასი ათჯერ ნაკლები იქნება მასზე დახარჯულ 200 მილიონზეო...

ანუ, თუ „ყაირათიანი ნაცები“ მობრძანდით სათავეში, ბატონო რომან, ფასიც კი დაგიდგენიათ, რამდენად უნდა გაყიდოთ.... ალბათ, მყიდველიც მოძებნილი გეყოლებათ.,.. ეგაც ხალხმა გიკარნახათ, თუ თავად მოიფიქრეთ?

საერთოდ, სახელმწიფოები მართლაც იშორებენ ხოლმე იმ შენობებს თავიდან, რომელთა მოვლა-პატრონობაც არ შეუძლიათ და ეს ნორმალურია... მაგრამ ახალაშენებული საკონცერტო არენა? რომელსაც ათეული წლები რემონტიც არ დასჭირდება და აღჭურვილია თანამედროვე უსაფრთხოების სისტემით – ამის მოვლა არ შეუძლია სახელმწიფოს?

ჰო, თქვენს მთავრობას ნამდვილად არ შეეძლო ნაგებობების შენახვა, ნამდვილად არ სურდა სახელმწიფოს საკუთრებაში მომგებიანი ობიექტების არსებობა და აჩუქებდა, ყიდდა 1 ლარად, გასცემდა ათეულ ან ასეულწლიანი იჯარით...

ხალხის ჯიბეს დააწვება არენის შენახვაო... რიყის პარკში გაურკვეველი დანიშნულების და შემზარავი სანახაობის „ტრუბები“ რომ დაგვიმონტაჟეთ (რომელთა მინების წმენდა გიჯდებათ, ალბათ, ერთი საკონცერტო დარბაზის დალაგების თანხა), ის ფული ვისი ჯიბიდან ამოიღეთ, ხომ არ გახსოვთ?

თქვენი პარტიის ლიდერი რასაც მასაჟში ხარჯავდა, იმდენი არც დასჭირდება იმ საკონცერტო დარბაზის მოვლა-პატრონობას....

აჰა, კულტურის სამინისტროს წელს საკმაოდ ბევრი მუსიკალური პროექტი აქვს დაგეგმილი... მათი დიდი ნაწილი შეუძლია ამ არენაზე განახორციელოს... ესეც შენი რამდენიმე ათეული ღონისძიება... იჯარით გასცეს ხოლმე ღონისძიებებისათვის... მოკლედ, ძალიან ბევრი რამის მოფიქრებაა შესაძლებელი და იჯარის დაზოგილი გადასახადიც, ალბათ, ბილეთებზე აისახება...

რაც შეგეხებათ თქვენ, შურიანებსა და ბოღმიანებს... სხვათა შორის, ეს თქვენს დროს იყო, რომ, თუ ვინმეს სახელმწიფო ქონება მოუნდებოდა, სახელმწიფო მყისვე უარს განაცხადებდა ამ ქონების შენახვის შესაძლებლობაზე და გაასხვისებდა ხოლმე, თორემ, ბიძინა ივანიშვილმა სკოლები, თეატრები, მუზეუმები გაარემონტა... ახალგარემონტებული სკოლა, სადაც ახალი ტექნიკაა შეტანილი, ცოტა ძვირი შესანახია და ხომ არ გავასხვისოთ?

ახალგარემონტებული ოპერაც მადისაღმძვრელად გამოიყურება და, იქნებ, მისი ყიდვაც უნდა ვინმეს 1ლარად? იქნებ, სამების საკათედრო ტაძარიც შეეტენა ხალხს და საპატრიარქოს და ვერ ვხვდებით ჯერ?

და ბოლოს: რომან გოცირიძის მორიგმა „გამოხტომამ“ ის ლექსი გაგვახსენდა, რომელიც გოცირიძის „სამაგალითო“ მოღვაწეობის წლებში დაიბეჭდა და მის „გმირულ“ საქმეებს მიეძღვნა.

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

რომან გოცირიძეს

(ხალხურ კილოზე)

ათასად ლექსი დაფასდა,
ათიათასად რომანი,
ასიათასად რომანის
გაძრომა-გამოძვრომანი.
ვალავისთან და მონროსთან
ღლაბუცობა და რომანი.

იგი კუპონის ძე არის,
ალკუპონეა გვარადა
გაგვაცამტვერა იმისმა
მონეტარულმა ბალადამ.
მილიონები დაგვადო
ხარკად, ღალად და ვალადა,
საიდან გაჩნდა ჩვენს ჭირად,
რად აგვეკიდა შარადა:

— შემოიტანეთ მანეთი,
ორს დაგიბრუნებთ ხვალეო
და აყვავდება უეცრად,
გაჭირვებული მხარეო! —
ამბობდა ბიჭი რომანი,
ცრემლი სდიოდა მწარეო...

გაგვიკუპონა ცხოვრება,
ამ ალკუპონათ ვიცემა,
მიკვირს ძალიან, ეს კაცი
აქამდე რად არ იცემა.
რად შერჩა სხვისთვის საჩუქრად
ბევრი რაღაცის მიცემა?

ვალი გაქვს, ძმაო, რომანო,
მამებისა და პაპების,
გაგვაყიდინე სახლები
და დაგვიმშიე ბალღები.
ნუ გეჩვენება სულელად,
დაბლებიცა და მაღლებიც.
სხვას მოუყევი, გეთაყვა,
ქათმის და კვერცხის ზღაპრები,
ჩვენს შორის მტყუანს ჩააკვდეს,
სულში ვალაგის ძაღლები“.

ვახტანგ ხარჩილავა:

მარადიული ეჭვმიტანილი

წინასიტყვაობის მაგიერ

ზუგდიდიდან წალენჯიხაში რომ მივდივარ, ხელმარცხნივ, იქ, სადაც მკვეთრი მოსახვევია, თითქოს ვილაცამ თეთრი გედი დააფრთხოო, ისე მოულოდნელად ამოფრინდება სივრციდან თეთრი ეკლესია.

ეს კორცხელის ეკლესიაა...

ჩემი ცხოვრების გზაზე დგას ეს ეკლესია – ნახევარი საუკუნეა, ის მხვდება სახლში დაბრუნებულს და ის მიმაცილებს სახლიდან თბილისისკენ მიმავალს.

კორცხელის ამბები რომ ვნახე, რატომღაც სწორედ ეს ეკლესია გამახსენდა უცებ და პირველი კითხვა, რამაც გონებაში გამიელვა, ეს იყო:

– როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც სამეგრელოს ამ უმშვენიერეს სოფელში მოხდა?

მხოლოდ ცემა-ტყეპის ამაზრზენ ფაქტებს არ ვგულისხმობ, პირველ ყოვლისა, ის მაოცებს და მაკვირვებს, როგორ შეიძლებოდა იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ყველაზე დიდი შეურაცხყოფა და ყველაზე დიდი ტკივილი მიაყენა ამ კუთხეს, სამეგრელოს თუნდაც ერთ სოფელში გაემარჯვა?

სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდე და სანამ იმ პრობლემაზე ვისაუბრებდე, რომლებიც დღეს არსებობს სამეგრელოში და რომლებიც შეიძლება იყოს მიზეზი „ნაცმოძრაობის“ იმ უცნაური და ალოგიკური გამარჯვებისა სამეგრელოში, მინდა ერთი ჩემი ადრინდელი წერილი შემოგთავაზოთ, რომელსაც, ჩემი აზრით, აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, იქნებ, ცოტათი მაინც გაგვიადვილდეს ზუსტი შეფასებებით მივცეთ სამეგრელოს რეგიონში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ქართული სახელმწიფოებრიობის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებთან.

ვ. ხ

მეგრულში არსებობს ასეთი სიტყვა – უზისხირე, რაც პირდაპირი თარგმანით უსისხლოს ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით კი – უგულოს, უჯიშოს, უნდილს, ნათესავის, ახლობლის არმოყვარეს.

არ მინდა უზისხირე საქართველოში ცხოვრება!

უზისხირე საქართველოს ცქერით დავიტანჯე, იმ საქართველოს ცქერით, რომელსაც შეუძლია ამდენი ხნის განმავლობაში მშვიდად უყუროს, როგორ შეურაცხყოფენ მის სისხლსა და ხორცს, როგორც დათა თუთაშხია იტყოდა, წუპაკი მამაძაღლები.

შეგრძნებას იმისა, რომ მე და ისინი ერთნი ვართ, შეგრძნებას იმისა, რომ მათ გარეშე არ ვარსებობ მე და ჩემს გარეშე არ არსებობენ ისინი, ერთადერთ, უალტერნატივო დასკვნამდე მივყავართ – სადაც არ უნდა ვიყოთ, ვინც არ უნდა ვიყოთ, ჩვენ ერთმანეთის წინაშე საერთო პასუხისმგებლობა გვაკისრია და როდესაც უარს ვამბობთ ამ საერთო პასუხისმგებლობაზე, ამით უარს ვამბობთ საკუთარ თავზე.

მე მგონი, სამშობლოს ღალატი სხვა არც არაფერია, თუ არა უარის თქმა საერთო პასუხისმგებლობაზე.

რამდენ ქართველს აუცრემლდა თვალები იმ დღეს ამ შემაძრწუნებელი კადრების ნახვისას, რამდენი ქართული მუშტი შეიკრა სიმწრისა და ბოღმისაგან?

არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ საქართველო კარგა ხანია, ორად არის გაყოფილი – ერთ მხარეს ბედნიერი, მაძღარი, კმაყოფილი, მხიარული, უზრუნველი საქართველო, მეორე მხარეს – უბედური, მშიერი, დევნილი, დამცირებული და შეურაცხყოფილი...

– მეგრულ სკოლებს გაგიხსნით, მაღალ ხელფასებს დაგინიშნავთ, ისწავლეთ და განათლდითო! – შემოგვაპარეს აფხაზმა ძმებმა.

– არა, ჩვენ მშობლიურ ენაზე გვინდა სწავლაო, – იუარა ტელეკამერის წინ ერთმა მეგრელმა, იუარა არცთუ ისე ხეირიანი ქართულით, რბილი ლ-თი და მეგრული ინტონაციით.

განა ამ მეგრელმა არ იცის, რომ მეგრული ენაც მისი მშობლიური ენაა, მაგრამ მას მაინცდამაინც ქართულ ენაზე სურს განათლება მიაღებინოს თავის შვილებს, რადგან მან იცის, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენაა, ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და ამ ენისთვის უარის თქმა ქართული სახელმწიფოს უარყოფას, ამ სახელმწიფოს სივრციდან გასვლას ნიშნავს.

დიახ, ამ მეგრელმა გლეხკაცმა ხეირიანად არ იცის ქართული, სამაგიეროდ, მან იცის, რას ნიშნავს საქართველო, რაც არ ისიც ზოგმა ქართველმა აკადემიკოსმა, პოლიტიკოსმა, მეცნიერმა, მწერალმა, ჟურნალისტმა!!!

ამ მეგრელმა, საუკუნეების წინათ, ნებაყოფლობით შესწირა მსხვერპლად თავისი უმშვენიერესი, უმდიდრესი მეგრული ენა საერთო ქართული სახელმწიფოს შექმნის იდეას, რომ ამ სახელმწიფოში ქართულთან ერთად მეგრულიც გადაერჩინა, როგორც ქართული ძირი და ფესვი, მისი განუყოფელი ნაწილი, გადაერჩინა თავისი თავი, თავისი თვითმყოფადობა და განუმეორებლობა.

მაგრამ – არაო! – უთხრეს ამ გულუბრყვილო მეგრელს და მეგრულად ნათქვამი სიტყვა ქართულად არ ჩაუთვალეს, ენა დაუწუნეს, საკუთარ სახლში უცხოდ აგრძნობინეს თავი, ერთმანეთში მეგრულად საუბარი ლამის სეპარატიზმად მოუნათლეს, დაკომპლექსეს, დათრგუნეს.

ქართველისა და ქართული სახელმწიფოს არსის არასწორმა გაგებამ, საქართველოს ერთიანობის ყალბად გაგებულმა კონცეფციამ შვა გაუცხოებისა და უნდობლობის ატმოსფერო, რომელიც ხან რას მოგვალანდებს და ხან – რას...

* * *

როგორ ხდება ეს – გალში, გნებავთ, სამაჩაბლოში ომია, დანარჩენ საქართველოში კი მშვიდობაა და იმავე ქართულ ტელეეკრანებზე ისეთი დიმპიტაური და ჰარიჰარალეა გაჩაღებული, თუ ძალიან ფხიზლად არ იქნები, შეიძლება დაგავიწყდეს, რომ შენს სამშობლოში ომია!

აკი ბევრს დაავიწყდა კიდეც და ამ სისხლით და ცრემლით გაპოხილ ეკრანზე ახლა თავის უბადრუკ ბედნიერებას, თავის უბადრუკ სიმდიდრეს ჰფენს და სულაც არ ადარდებს, რას იტყვის ამაზე ის გალელი დედა, რომელსაც გალიდან წალენჯიხაში მიჰყავს შვილი, რომ იქ როგორმე ქართულ სკოლაში ასწავლოს და ქართველად აღუზარდოს საქართველოს.

უკიდურესად უჭირს ამ დედას – შვილისთვის ხეირიანი ტანსაცმელი ვერ უყიდია, ნორმალურად ვერ გამოუკვებავს, მაგრამ ამ გზას, საქართველოსკენ მიმავალ გზას, მაინც ჯიუტად არ თმობს!!

– აღოსავლეთ საქართველოს მოვუარეთ, ამ მეგრელებმა რა გააჭირეთ საქმე? – ასეთი რამ უთხრა, თურმე, ერთმა გენერალმა ერთ ქართველ მწერალს და მეცნიერს (გენერლის ეროვნებას შეგნებულად არ ვასახელებ).

მართლაცდა, რა „გააჭირეს“ საქმე ამ მეგრელებმა თავისი საქართველოთი?

– აფხაზეთის ომი, ეს იყო მეგრელების წინააღმდეგ დაგეგმილი გენოციდი, რომელიც აფხაზეთის კონფლიქტამდე გაცილებით ადრე დაიწყო, დაიწყო მაშინ, როდესაც შეიარაღებულმა ბანდიტებმა ხუთგზის გადაუარეს სამეგრელოს, – ასეთ შემაძრწუნებელ შეფასებასაც გაიგონებთ ხოლმე მავანთაგან.

– ჯერ აქ გადაუარეს ხუთგზის, მერე კი აფხაზეთში ჩასდიეს, – უფრო ამძაფრებენ ამ შეფასებას სხვები – იქიდან კი კოდორის ხეობით გადმორეკეს და მთელ საქართველოში დაფანტეს – როგორც ციხეში, ისე გამოკეტეს სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებში, მიტოვებულ შენობებში, თერთმეტი ლარი მიუგდეს და იქ სიკვდილს გადარჩენილნი, აქ გასწირეს სასიკვდილოდ.

ასეა თუ ისე, მთელს ამ ცუდად აბურდულ-დაბურდულ ვარაუდებში ერთი რამ უდავოა – აფხაზეთში ქართველობის დიდი ნაწილი მეგრული წარმოშობისაა და სამეგრელოს დაჩოქების შემდეგ აფხაზეთში გალაშქრება მეგრელთა ხერხემალში გადამსხვრევის მცდელობად რომ შეფასდებოდა ეჭვის მთესველთა მეცადინეობით, ეს სულაც არ არის გასაკვირი.

ხანდახან ვფიქრობ, მართლაც ძალიან ჭკვიანურად და ვერაგულად ხომ არ იმუშავა ძალიან ჭკვიანმა და ვერაგმა მტერმა და სისხლიანი დრამა, რომელიც ქართველებმა გაითამაშეს ერთმანეთთან და რომელშიც მოგვიანებით აფხაზეთის თემაც ჩაერთო, იმ ჭკვიანი და ვერაგი მტერის მიერ ხომ არ იყო დაწერილი?

ამ დრამაში მთავარ როლებს ჩვენ, ქართველები კი ვთამაშობდით, მაგრამ არ ვიცოდით, რას ვტამაშობდით და როგორი იქნებოდა ამ თამაშის ფინალი.

სამეგრელომ აფხაზ სეპარა-

ტისტთა პირველი მცდელობა მომენტალურად აღკვეთა, როცა მთელი სამეგრელო, დიდიან-პატარიანად, ღალიძგას მიაწყდა თავისიანების გამოსასარჩლებლად, რომლებსაც, ვიღაცებმა გაბედეს და შეურაცხყოფა მიაყენეს.

– ქართველთა შეურაცხცმყოფელები უნდა დაისაჯონ! – ასეთი იყო ამ მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქრის საერთო გადაწყვეტილება და არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ გადაწყვეტილების აღსრულებას ხელს შეუშლიდა.

სეპარატისტები მიყუჩდნენ, გაისუსნენ და მხოლოდ მაშინ ამოიღეს ხმა, როდესაც ხუთჯერადი ლაშქრობის შედეგად უჯიათი სამეგრელო ბოლოს-დაბოლოს „მოათვინიერა“ სამხედრო გადატრიალების შემდეგ მოსულმა ქართულმა ხელისუფლებამ, რითაც აფხაზ სეპარატისტებს მთავარი საფრთხე მოუხსნა და გაუნეიტრალა.

ჯერ სამეგრელო უნდა დაემარცხებინათ სამეგრელოში, რომ მერე ადვილად დაემარცხებინათ საქართველო აფხაზეთში – აი, რა ამოცანა დაისახა ვიღაცამ და ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა კიდეც!

მოგვიანებით სამეგრელო აფხაზეთის ტერიტორიიდანაც გააძევეს, რითაც დასრულდა საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოშორების დიდი გეგმა.

დიახ, აფხაზეთში ქართველთა გენოციდი განხორციელდა და რადგან ეს ქართველები იმავდროულად მეგრელები არიან, იმის თქმა, რომ ეს იყო მეგრელთა გენოციდი, მაინცდამაინც დიდ აზრობრივ ცდომილებას არ უნდა შეიცავდეს.

* * *

– აფხაზეთის საკითხი სამეგრელოში წყდება! – ამ მოსაზრებას ძალიან ბევრი ქართველი პოლიტიკოსი იმეორებს სხვადასხვა ვარიაციით და შეფერილობით, მაგრამ არავინ ამბობს, რა რესურსები დარჩა გოლგოთის გზაგამოვლილ სამეგრელოს აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად.

არც სამეგრელოში დარჩა სამეგრელო – უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა მისი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა რეგიონი დატოვა და სხვადასხვა ქვეყნებს მიაშურა ლუკმაპურის საშოვნელად, ვინც შორს ვერ წავიდა, თბილისის ბაზრებს შეეხიზნა, „გათბილისელდა“ და მშობლიურ კუთხეს მოსწყდა.

არც სამეგრელოში დარჩა სამეგრელო. არც აფხაზეთში დარჩა სამეგრელო და შედეგად, საქართველოს მონოლითური სხეული შეირყა, დაიბზარა, დაშლის პირას მივიდა.

სამეგრელო საქართველოს ხერხემალია, – ყველას გვახსოვს ეს ფრთიანი ფრაზა.

და თუ სამეგრელო საქართველოს ხერხემალია, მაშინ ზუსტია მტრის გათვლა – ამ ხერხემალს გამეტებით უნდა ირტყა, დალეწო, დაფშვნა, რომ საქართველომ მყარად ფეხზე დგომა ვერ მოახერხოს.

* * *

არა მარტო აფხაზეთის ქართველობა, თვით იმ ადამიანების 60-70 პროცენტი, რომლებიც დღეს აფხაზეთში ცხოვრობენ და თავიანთ თავს აფხაზებს უწოდებენ, წარმოშობით მეგრელები არიან!!!

ძალიან გულწრფელად და ალალად თუ ჩავუღრმავდებით აფხაზურ საკითხს, ეს საკითხი აფხაზური კი არა, მეგრული საკითხი გამოდის, უფრო ზუსტად – მეგრულ-აფხაზური!

მეგრელთა ერთმა ნაწილმა, რომელსაც ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოუარა და ვერ უპატრონა, ფაქტობრივად, საძირკველი განუმტკიცა მცირერიცხოვანი აფსუური ეთნოსის აფხაზ ხალხად ჩამოყალიბებისა და გარდასახვის პროცესს.

ის, რაც აფხაზეთში მოხდა, უპრეცედენტო, ცოტათი ტრაგიკომიკური შეფერილობის იტორიაა, რომელსაც ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება.

საქმე ის არის, რომ ეს მეგრელი, რომელიც თვითონ იყო აფხაზი ანუ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი, დროთა განმავლობაში აფსუურ ენაზე ამეტყველდა და აფსუად გადაკეთდა, სახელი აფხაზი კი შეინარჩუნა.

ასე მივიღეთ აფსუურ ენაზე მოლაპარაკე მეგრელი აფხაზები ანუ აფსუურ ენაზე მოლაპარაკე ქართველები, რომლებმაც აფსუათა მწირი რიგები შეავსეს, გააძლიერეს, გაამრავალრიცხოვნეს და აფხაზებად გადმოთარგმნილ აფსუებთან ერთად შექმნეს ადამიანთა ის გაერთიანება, რომელსაც დღეს აფხაზ ერს ვეძახით.

რომ მოხდეს საოცრება და კახეთში პანკისელმა ქისტებმა კახელები დაირქვან, კახელების ერთი ნაწილი კი ქისტურად ამეტყველდეს და მერე ორივემ ერთად იმის მტკიცება დაიწყოს, კახელები მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც ქისტურად ლაპარაკობენო, ხომ გაგიკვირდებათ?

გაგიკვირდებათ, აბა, რა! ჰოდა, დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა აფხაზეთში, მოხდა, ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ.

ბოდიშს ვიხდი ჩემს ძვირფას კახელებთან, მათი სახელი რომ ვახსენე ამ უხერხულ კონტექსტში, მაგრამ ეს მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისთვის გავაკეთე – რაც კახეთში შეუძლებელია, რომ მომხდარიყო, რატომღაც შესაძლებელი გახდა, მომხდარიყო აფხაზეთში?

რატომ?

რატომ და, სწორედ იმიტომ, რომ კახელთა ქართველობა არასოდეს არავის დაუყენებია ეჭვქვეშ, რასაც ვერ ვიტყვით ბედუკულმართი მეგრელების მისამართით.

მეფის რუსეთიდან მოყოლებული, კომუნისტურ ეპოქაში „მეგრელთა საქმით“ დაგვირგვინებული, პოლიტიკა მეგრელთა წინააღმდეგ, სინამდვილეში ქართული საზელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული პროვიკაცია იყო, რომელსაც ხანდახან ქართული საზოგადოებაც აყოლებდა ხმას საქართველოს ერთიანობის სახელით.

მეგრელი – მარადიული ეჭვმიტანილი, ქართული სახელმწიფოს სადარაჯოზე „ფხიზლად“ მდგარი ქართველის ფხიზელი მზერით გაზომილ-აწონილი, ამ სუსხიანი მზერის მარადიულ კონტროლქვეშ მყოფი, სულ იმის მტკიცებაშია, რომ ქართული სახელმწიფოს ერთგულია.

ვინც ამ მარადიული ეჭვმიტანილის სტატუსს ვერ გაუძლო, ვინც თავის მართლებით დაიღალა, ერთხელაც გაბრაზდა და: – დამანებეთ თავი, არა ვარ ქართველი, მეგრელი ვარ და შემეშვითო, – თქვა.

ეს საბედისწერო დასკვნა, რომ მეგრელი კი ხარ, მაგრამ ქართველი არა ხარ, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებს და უსახელმწიფოდ დარჩენილი ბოგანო აფსუაა უფრო ადვილად გახდები – ან გარუსდები, ან სულაც „აფხაზთა სახელმწიფოს“ შექმნი და ამით მოიკლავ სახელმწიფოებრიობის შინაგან მოთხოვნილებას, ათასწლეულებში გამოტარებულ გენეტიკურ ხსოვნას სახელმწიფოებრიობისა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აფხაზი ხალხი ფრიად მცირერიცხოვანია, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძალზე მცირეა რაოდენობა იმ მეგრელებისა, ვინც აფსუობაზე მოაწერა ხელი, ხოლო ის სამასი ათასი ადამიანი, რომელიც ჯერ მშვიდობიანობის, მერე კი ომის დროს თავგანწირული იბრძოდა ამ, ძირძველ ქართულ მიწაზე საქართველოს შესანარჩუნებლად, ამ სამასი ათასი ადამიანიდან ყველა, უკლებლივ ყველა გმირია, თუმცა, დღეს მათ გმირები კი არა, დევნილები ჰქვიათ – დევნილები იქიდანაც და დევნილები აქედანაც...

* * *

აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია წარმოშობით მეგრელი იყო და, როგორც ამბობენ, სიცოცხლის ბოლო წლებში რატომღაც ძალიან ნანობდა, რომ აფხაზებს მწერლობა შეუქმნა...

დიმიტრის ვაჟი, გიორგი გულიაც, მწერალი იყო, ოღონდ რუსულენოვანი ანუ რუსი მწერალი.

რაღაც კანონზომიერება არის იმაში, რომ მეგრელი გულიას აფხაზურ მწერლობაზე ქორწინებამ ქვეყანას რუსი მწერალი მოუვლინა და არა აფხაზი მწერალი!

გიორგი გულია მეგრელების ანუ ქართველებისთვისაც დაიკარგა და აფხაზებისთვისაც... რაც გულიებს დაემართათ, იგივე დაემართათ ბევრ სხვა გააფხაზებულ ქართველს – თვითონ თუ არა, მათი შვილები და შვილიშვილები გარუსდნენ, ამ ფინალისთვის კი ნამდვილად არ ღირდა ამდენი წვალება და ჯახირი.

აფხაზური მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების შექმნასა და ცამოყალიბებაში ლომის წილი უდევთ წარმოშობით ქართველ ინტელექტუალურ მამელუქებს და იანიჩრებს, თუმცა ესენი მაინც უფრო შემსრულებლები იყვნენ, მთავარი დამკვეთი კი საჭოთა კავშირის იდეოლოგიური სამსახური გახლდათ, რომელმაც სტალინისა და ბერიას შემდეგ, ფაქტობრივად, ამ ქართველების მიერ „დაჩაგრული“ აფხაზების მეურვეობა და აპეკუნობა იკისრა.

აფხაზებს სტალინი იმდენად არა, მაგრამ მერხეულელი ლავრენტი ბერია კი განსაკუთრებული სიძულვილით სძულდათ და თავიანთ ყველა უბედურებას – დაწყებული ნესტორ ლაკობას უეცარი სიკვდილით, დამთავრებული აფხაზეთში ქართველთა მასობრივი ჩასახლებებით – ბერიას სახელს უკავშირებდნენ.

ბევრს გაუკვირდება, მაგრამ, რადგან ბერიაზე ჩამოვარდა სიტყვა, ვისარგებლებ შემთხვევით და ბარემ აქვე ვიტყვი: ბერიამ, ალბათ, სტალინის ჩუმი დასტურით და თანხმობით, ქართული მოსახლეობის გეგმაზომიერი გადანაწილებით და გადაჯგუფებით ხელახლა აითვისა და ქართულ ინტერესებს დაუქვემდებარა ისტორიული ბედუკულმართობის გამო ქართული მოსახლეობისგან დაცლილი ქართული ტერიტორიები.

მეგრელი ბერია იყო ის კაცი, რომელიც სამეგრელოს ავტონომიის შექმნის იდეას დაუპირისპირდა, როგორც ზოგადქართულ ფასეულობათა საზიანო მოვლენას, თუმცა, „მადლიერი“ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის აქტიურობით ბერიას მოგვიანებით მაინც „გაუჩალიჩეს“ მეგრელთა საქმე“, რომელიც თბილისელი ინფორმატორების „დანოსების“ და ცილისმწამებლური წერილების ასაფუძველზე შეითითხნა და რომელშიც ბერიას მეგრელი კადრების (!) დაწინაურებასა და მფარველობაში ადანაშაულებდნენ.

(თემის გაგრძელება მოძებნეთ ნომერში)

რა მოხდა მესხიშვილის ქუჩაზე და რა კავშირი აქვს ვეტერანის გამოსახლების საქმესთან პრეზიდენტის მრჩეველს?

„მებრძოლ ვეტერანთა კავშირის“ ხელმძღვანელმა ემზარ ქვარიანმა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს კახა კოჟორიძეს მედიის საშუალებით მიმართა: „ზურაბ ალავიძე ის ადამიანია, რომელიც თქვენი მევახშე და პროვოკატორი სიდედრისგან დაზარალდა!“ „აქედანვე გეტყვით, რომ თქვენს სახლსაც მოვადგებით და პრეზიდენტის რეზიდენციასაც, რათა ყველამ გაიგოს, მევახშეები როგორ ექცევიან დამსახურებული ომის ვეტერან ზურაბ ალავიძის ოჯახს.“

ხმაურიანი გამოსახლებისა და ამ ამბის წინაისტორიის შესახებ „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის“ თავმჯდომარე გია ბერძენიძე გვესაუბრა:

გია ბერძენიძე

— სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება არა ერთხელ გამხდარა იმის მომსწრე, როგორ იღებენ სამსახურისა და შემოსავლების გარეშე დარჩენილი, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანები მკურნალობის ან სხვა გადაუდებელი საჭიროებებისთვის სესხებს კერძო იპოთეკარებისგან. ისიც ბევრჯერ გვინახავს, როგორ ართმევენ მევახშეები განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანებს სახლებს, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიუროს თანამშრომლები ცემა-ტყეპით ქუჩაში მიერეკებიან. საბედნიეროდ, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ასეთი შემთხვევების რაოდენობამ ძალიან მოიკლო და პრობლემა ასე თუ ისე, მოლაპარაკებების გზით წყდება, თუმცა ზურაბ ალავიძის შემთხვევაში, მევახშის განსაკუთრებულმა დაინტერესებამ ასეთ შედეგამდე მიგვიყვანა.

— იქნებ აგვიხსნათ, რა განსაკუთრებული ინტერესი ჰქონდა მაია ჩანადირს ალავიძის მიმართ?

— ზურაბ ალავიძემ ჩანადირთან სახლი იპოთეკით დატვირთა. თანხის რაოდენობა ზუსტად არ მახსოვს, თუმცა ვიცი, რომ ნაწილი გადაიხადა. გადასახდელი იყო დაახლოებით 30 000 დოლარი. ალავიძემ ბანკში 50 000 დოლარიანი კრედიტი დაიმტკიცა და ჩანადირს თანხის გადახდას დაპირდა, მაგრამ გათავხედებულმა მევახშემ ძველ, ამორტიზირებულ, მამაპაპისეულ სახლში, რომლის ღირებულება ალბათ 50 000 დოლარიც არ არის, 80 000 დოლარი მოითხოვა. ქუჩაში ადამიანის გამოგდება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე სააკაშვილის რეჟიმის მემკვიდრეობაა. წარმოიდგინეთ, დილის 9 საათზე აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლები მძინარე ადამიანებს, მათ შორის, მოხუცებულ ქალბატონებს თავზე დაადგნენ და ავეჯთან ერთად, ქუჩაში გამოყარეს. შეხლა-შემოხლის დროს, ფიზიკურად გაუსწორდნენ ზურაბ ალავიძეს. დაზარალდა ასაკოვან ადამიანი რომან დოდაშვილი, რომელიც მიკროინფარქტის ნიშნებით იქნა ჰოსპიტალიზირებული. ადრე აღსრულების ეროვნული ბიურო ავეჯის სპეციალურ ადგილებში გადატანას მაინც უზრუნველყოფდა და ახლა ესეც არ გააკეთეს. ყველაფერი, რასაც ეს ხალხი ცხოვრების მანძილზე იძენდა, შუა ქუჩაში დაყარეს და დაამტვრიეს.

— შეხლა-შემოხლა ახსენეთ. ალავიძემ აღმასრულებლებს წინააღმდეგობა გაუწია?

— არა. უბრალოდ, საბუთების წარდგენა მოითხოვა და ყველაფერი ამას მოჰყვა. წინააღმდეგობის გაწევა რომ მოგვენდომებინა, იქ 5000 და მეტი ადამიანი მოვიდოდა და ვინ ვის გამოყრიდა, ვნახავდით, მაგრამ არ ვიკადრეთ. ჩვენ კანონმორჩილი ხალხი ვართ და საკუთარ თავს ზედმეტის უფლებას არ ვაძლევთ. სანამ ეს ხალხი სამხრეებს დაიკერებდა, ჩვენ სამშობლოს ვემსახურებოდით, ვიბრძოდით და ბევრი ჩვენგანი სამართალდამცავ ორგანოებშიც მსახურობდა. ამიტომ გვრცხვენია, როცა ეს ადამიანები ჩვენს კოლეგებად მოიხსენიებენ თავს. ასეთი ვაი-კოლეგები ვანო მერაბიშვილის დროსაც იყვნენ..

— გავრცელებული ინფორმაციით, მევახშე ჩანადირი პრეზიდენტის მრჩეველის კახა კოჟორიძის სიდედრია. მასთან დაკავშირება თუ სცადეთ?

— რაც შეეხება კოჟორიძეს, მე მას ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეში გარეული არაა, მაგრამ, როცა შენი სიძე პრეზიდენტის მრჩეველია, რაღაცეები უნდა გაითვალისწინო და უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააგდო. უნდა მიხვდე, რომ შენი გაუაზრებელი ქმედებების შედეგად, პრეტენზიები და უკმაყოფილება იმ ხელისუფლებისკენ იქნება მიმართული, რომელსაც ის წარმოადგენს და მართლაც ასეა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო, რომელიც მევახშეების ინტერესებს იცავს, უბრალო ადამიანებისა და ვეტერანების უფლებებს არ უნდა უგულებელყოფდეს. სამწუხაროდ, ალავიძის შემთხვევაში, მოქმედი ხელისუფლება წინამორბედის სამართალმემკვიდრესავით მოიქცა, რაც ძალიან სამარცხვინოა. წარმოიდგინეთ, მთელი ქუჩა გარეთ იყო გამოსული და უყურებდა სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ძალადობას.

— ბინის იპოთეკით დატვირთვა მისი დაკარგვის საფრთხეებს შეიცავს ბატონო გია..

— როცა ადამიანი მზად არის, სესხი დაფაროს და მევახშის კაპრიზების გამო საცხოვრებელს კარგავს, სახელმწიფომ ადამიანების დაცვის მექანიზმი უნდა აამუშაოს. თქვენ რომ გამოსახლებული ადამიანის შვილების თვალები გენახათ, ვერასოდეს დაივიწყებდით. ეს ნამდვილი ტრაგედია იყო. ეს პრობლემა საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს. არ შეიძლება მევახშეებისთვის ამხელა უფლებების მიცემა და ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის უზარმაზარი პროცენტების დაკისრება. ჩვენ „ქართული ოცნების“ მტრები არ ვართ. ჩვენი და ჩვენნაირი ადამიანების მხრებზე ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულ ნაციონალურ მოძრაობას ვებრძვით.

მოგვიანებით, საცხოვრებელი სახლის გარეშე დარჩენილ ზურაბ ალავიძესაც დავუკავშირდით, რომელიც ოჯახის წევრებთან ერთად, ნათესავებთან და ახლობლებთან არის შეფარებული. ვეტერანი დარწმუნებულია, რომ სასამართლო საცხოვრებელი სახლიდან მისი გამოსახლების პროცესს უკანონოდ ცნობს და იმედოვნებს, რომ სახლის უკან დასაბრუნებლად, გონივრული თანხის გადახდაზე მევახშესთან მოლაპარაკება შესაძლებელია.

ზურაბ ალავიძე:

— ახლა ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ საუბარი მიჭირს. მე და ჩემი ოჯახის წევრები ნათესავებთან და ახლობლებთან ვართ შეფარებული. გამოსახლება 10 საათზე იყო ჩანიშნული და 19-ის 15 წუთზე თავზე დაგვადგნენ. ჭიშკართან 10-15 კაცი ვიდექით. მე აღმასრულებლებს საბუთები ვთხოვე და ამის გამო ყველას ფიზიკურად გაგვისწორდნენ. ამ დროს, არც სასამართლოს დადგენილება ჰქონდათ და არც აღსრულების ფურცელი. მაია ჩანადირისგან 40 000 დოლარი მქონდა ნასესხები და პროცენტებს ვიხდიდი. მერე ისე მოხდა, რომ ამ ქალბატონმა თანხიდან 5000 დოლარი თავის ძმას დაუთმო და აღსრულების ეროვნული ბიუროდან მომივიდა შეტყობინება 5000 დოლარის გადახდაზე. გამიკვირდა და ვერ გავიგე, რატომ მთხოვდა ჩემთვის უცნობი ადამიანი 5000 დოლარს, როცა ყველაფერი გაირკვა, ეს თანხა ჩანადირს გადავუხადე და ხელიც მოვუწერე. ახლა მეუბნებიან, რომ ფული ბანკში უნდა ჩამერიცხა და ხელში არ უნდა მიმეცა. რა მნიშვნელობა აქვს, ბანკით გადავიხდიდი თუ ხელში მივცემდი, რაც მთავარია, გადავუხადე, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩემი გადახდილი ფულით იყიდეს ჩემივე სახლი. მე არც აუქციონი შემატყობინეს და არაფერი. სანამ მე მევახშესთვის გადასახდელ ფულს ვაგროვებდი, თურმე სახლი უკვე მასზე იყო გადაფორმებული. მანქანა გავყიდე, ბანკმა 50 000 დოლარიანი სესხიც დამიმტკიცა, მაგრამ ჩანადირმა უკვე 150 000 დოლარი მომთხოვა. იმის მერე წავიდა სასამართლოები აუქციონის შედეგების ბათილად ცნობაზე. პროკურატურაში განცხადება რომ შევიტანე, 6 თვის თავზე მცნეს დაზარალებულად და სავარაუდოდ, კოჟორიძის ჩარევის შემდეგ, საქმე 2 კვირაში შეწყდა. დარწმუნებული ვარ, ჩანადირს ჩემი სახლის ხელში ჩაგდების ან მეტი ფულის გამოძალვის ინტერესი ჰქონდა, თორემ იცოდა, რომ ფულის გადამხდელი ვიყავი.

ზურაბ ალავიძე

— 40 000 დოლარის ნაცვლად, 150 000 დოლარს გთხოვდათ?

— 40 000 აღარ იყო. 8 000-მდე გადახდილი მქონდა და 33 000 დოლარი რჩებოდა. გამოსახლებაზე რომ იყვნენ მოსულები, მაშინ 150 000 დოლარიდან 80 000-ზე ჩამოვიდა, მაგრამ ესეც არარეალური თანხაა. ჩვენ წერილით მივმართეთ პრეზიდენტის ადმინისტრაციას და კოჟორიძესთან შეხვედრა ვითხოვეთ, მაგრამ სრულიად გაურკვეველი პასუხი მივიღეთ. ისიც ვერ გავიგეთ, საერთოდ წაიკითხა თუ არა მარგველაშვილმა ჩვენი წერილი. მოვითხოვ, რომ უკანონოდ იქნას ცნობილი გამოსახლება და დარწმუნებული ვარ, რომ სასამართლო გამოსახლების აკრძალვის დადგენილებას გამოიტანს, თუმცა ამის მერე რა იქნება, ნამდვილად არ ვიცი..

იმის გათვალისწინებით, რომ ზურაბ ალავიძე ვალის გადახდის წინააღმდეგი არაა, იმედს ვიტოვებთ, რომ ვეტერანისა და მისი ოჯახის წევრების ღია ცის ქვეშ დატოვება არავის ინტერესებში არ შედის. შესაბამისად, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და შესაბამისი ორგანოები დაინტერესდებიან მომხდარით და მოდავე მხარეებს გონივრული და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებიან.

ნელი თორდია
571 35 36 88



ყველამ ერთად დავუბრუნოთ თბილისს ის, რაც ერთად წავართვით

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, იყო ერთი ამდაგვარი ლოზუნგი: „წავართვათ ბუნებას რაც შეიძლება მეტი“. ჰოდა, იმდენი და იმდენჯერ წავართვით, რომ დავრჩით ასე წყალ და მეწყერწაღებულები, ამ უკანასკნელი 25-30 წლის მანძილზე კი თითქმის საკაცობრიო დანაშაულში ჩავდგით ფეხი, უმოწყალოდ გავჩეხეთ ქართული ტყე და არა მარტო ტყე, არც თბილისს დავაყარეთ კარგი დღე, ავჩეხეთ თბილისის ცენტრალურ მაგისტრალებზე თითქმის საუკუნოვანი ჭადრები, მაგალითები? რამდენიც გნებავთ: რუსთაველის გამზირი, დავით აღმაშენებლის გამზირი, სადაც მათ ნაცვლად დაირგო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი კატალპების ეგზემპლარები, რომლებიც სამწუხაროდ, არ არიან „თავიანთ სახლში“, არც ილია ჭავჭავაძის გამზირი დაავიწყდათ და იქაც მოიჭრა ჭადრის ხეები, ისე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის შუა ზოლის და ქუჩის ნარგაობა.

რატომ?

- ზოგ შემთხვევაში, იქ, მარკეტების ამბიციური მეპატრონეების სურვილის გამო. ეს სურვილი კი სხვა არაფერია გარდა იმისა, რომ იქ მოეწყოს ე.წ. პარკინგი/ ილია ჭავჭავაძის # 31, 33) უფრო მეტიც, ჭადრებთან ერთად გაუქმდა გაზონიც უამრავი ბუჩქებით, რომელთა ბედი გაურკვეველია.

- ზოგ შემთხვევაში, ასე სასწაულად მომრავლებული „გამამწვანებლების“ სურვილის, რაც შეიძლება მეტი შემოტანილი სახეობების გასაღების გამო.

- ზოგ შემთხვევაში მშენებლობების გამო.

- ზოგ შემთხვევაში, შესანიშნავი დადებითი თვისებებით დაჯილდოებულ „ჭადარს“ „დამნაშავე“ ალერგენად მიიჩნევენ. ამ მოსაზრების საპირისპიროდ ზოგიერთ მონაცემს მოგახსენებთ:

- ჭადარს ბერძნულად ჰქვია „პლატანუს“, რაც ქართულად ფართეს ნიშნავს. მართლაც, მისი სიდიდისა (პირველი სიდიდის ხეა) და ფართო ვარჯის გამო, ბევრი სახეობა ვერ შეედრება.

- სხვადასხვა ხალხები, სხვადასხვა ეპოქებში ჭადარს მოწიწებით ეპყრობოდნენ. ეგვიპტეში ცის ღმერთად მიიჩნევდნენ, სპარტაში ელენეს ხედ მოიხსენიებდნენ, საბერძნეთში აპოლონის, აგამემნონის, დიონისეს ხედ.

ჭადარი დიდი ქალაქების დაბინძურებული ჰაერისა და მასში არსებული მტვრის უპირველესი გამსუფთავებელია. „იგი სხვა მერქნიან სახეობებთან შედარებით უკეთესად იტანს ჰაერში გოგირდისა და სხვა მავნე აირების არსებობას, ფართო ვარჯისა და ფოთლების ხარჯზე“ (ტ. ჩერქეზიშვილი). წლების წინ, ევროპის დიდ ქალაქებში წაბლის ჩანაცვლება სწორედ ჭადრებით მოხდა, ეს პროცესი იქ ნაწილობრივ ახლაც გრძელდება. ამასთან ერთად, ჭადარი საუკეთესოდ შეეგუა თბილისის კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებს, იგი თითქმის სიმბოლოდაც კი იქცა თბილისის ქუჩებისათვის, რადგან დიდი ჩრდილის შემქმნელი, ხმაურისა და მტვერის დამჭერია, რომელიც ვეგეტაციის პერიოდში შთანთქავს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს (1,800 კმ) და გამოყოფს ასევე დიდი რაოდენობით ჟანგბადს. (1,200 კმ).

ღვაწლმოსილი მეცნიერი და თბილისის გამწვანების მოამაგე პატივცემული ბიძინა თავაძე საინტერესო ცნობას გვაწვდის. „მზიან დღეს მწვანე ფოთლების 25 კვ/მ ფართობი ერთი საათის განმავლობაში გამოყოფს იმდენ ჟანგბადს, რამდენიც საჭიროა ამავე დროის განმავლობაში ერთი ადამიანისათვის. ერთი წიფლის ხე, რომლის ფოთლების ფართობი 1600 კვ/მ-ია ჟანგბადით უზრუნველყოფს 64 ადამიანს. ისიც ცნობილია, რომ ერთი ჰა ფიჭვის ნარგაობა გარდა იმისა, რომ გამოყოფს დიდი რაოდენობით ფიტონციდებს, აკავებს 32-36 ტონა მტვერს“.

ისევ მივუბრუნდეთ ჭადარს. გახსოვთ და გინახავთ ცალკე მდგომი ჭადრები? ზემელზე ყოფილი აფთიაქის წინ, რუსთაველის გამზირის და ვერეს დაღმართის კვეთაზე, ან მუშთაიდთან და იქვე ბაღში, ან მეტეხის ხიდთან, აღარაფერს ვამბობ რუსთაველის გამზირზე იმ ცნობილ ჭადრებზე (რის შესახებ ცალკე) მეფეებივით რომ დგანან და სიამოვნებას გვანიჭებენ თავიანთი გრანდიოზულობითა და სილამაზით. ან ჰიმალაის და ატლასის კედრები, რომლებიც ასე ამშვენებენ თბილისის ბაღ-პარკებს. კედრებს ზოგიერთი მკვლევარი „არისტოკრატად“ მოიხსენიებს.

რადგან დარგვა ვახსენეთ, უკვე დადგა დრო (თუმცა დრო ყოველთვის იყო) მყარად ვიცოდეთ: რატომ ვრგავთ, რას ვრგავთ, სად ვრგავთ, როდის ვრგავთ და ვინ რგავს? დასარგავი ნერგი ხომ ცოცხალი ორგანიზმია და ისე უნდა მოვექცეთ, როგორც ჩვილს აკვანში ჩაბრძანებისას (თუმცა სადღაა აკვანი), ხოლო მოვლისას როგორც ცეკვა „ქართული“-სას მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაა.

არანაკლებ საინტერესო მონაცემებია ლიტერატურაში ზოგიერთი მცენარის სასიკეთო თვისებებზე. ასე მაგალითად: ითვლება, რომ ფიჭვი სიმშვიდის მომგვრელი ხეა, ხოლო ფიჭვების კოროში გამჭვირვალე სივრცეების გამო ადამიანი წყნარდება, უადვილდება სუნთქვა, მეცნიერები იმასაც მიუთითებენ, რომ ყოველ ჩვენგანს ჰყავდეს „თავისი ხე“, რომელიც ჩვენი მათდამი გულწრფელი დამოკიდებულებით „შეგვიყვარებს“. ხეები ძლიერი ენერგეტიკითაც გამოირჩევიან, ზოგიერთი ხე, მხოლოდ მართალსა და წრფელ ადამიანთან „მეგობრობს“. მაგ. იფანი, მაგრამ თუ იფანმა არ მიგიღოთ, მაშინ მიდით ნეკერჩხალთან, ის ჩვენი უარყოფითი ენერგიის გამწმენდიცაა, აღარაფერს ვამბობ მუხაზე, რომელიც სიძლიერისა და ვაჟკაცობის ნიმუშია, იგი ამ თვისებას ჩვენც უშურველად „გადმოგვცემს“. მუხის შესახებ თუშებისაგან ასეთი რამ მაქვს გაგონილი: „ხის საცხოვრებელი სახლი ჩამოშლილა, შეწუხებულ მუხას უკითხავს: ჩემი გვარისა ხომ არ იყო გარეულიო“.

გთხოვთ ყველას, თბილისელებს, ამ დალოცვილ ქალაქში მაცხოვრებელ ყველა მოქალაქეს, ჩინოსანსა და უჩინოს, უფრო მეტად შევიყვაროთ და გავუფრთხილდეთ ჩვენი ქალაქის ამ სიმდიდრეს, მწვანე საფარს, რომელიც გვეხმარება, გვასაზრდოებს და გვაიმედებს კიდეც. ყველამ ერთად დავუბრუნოთ ქალაქს ის, რაც წავართვით, ამპარტავნობის, ამბიციის და ანგარების გარეშე.

შეიყვარეთ თბილისი და ის უფრო მეტად შეგიყვარებთ!

აღმოაჩინეთ თქვენი ხე!

არასოდეს გაგიჩნდეთ სურვილი გაანადგუროთ მცენარეები და ზოგადად მწვანე საფარი.

შეიყვარეთ ხე!

ნუ მოჭრით ხეს!

დარგე ნერგი!

ილია (ილო) ფალავანდიშვილი
ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი

არის თუ არა დამნაშავე ადამიანი, რომელმაც მაგდა პაპიძის და ომარ ქაფიაშვილის ოჯახის ტრაგედიაში მთავარი როლი ითამაშა?

მისთვის სამუდამო პატიმრობის მისჯა კი არა ორდღიანი პატიმრობაც კი არ შეუბედავს ვინმეს, მიუხედავად იმისა, რომ საზარელი ფაქტი, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა, სწორედ მის სახელს უკავშირდება.

მაგა პაპიძეს სამუდამო პატირობა მიესაჯა.

მე არც ერთი წერილი, არც ერთი პოსტი, კომენტარიც კი არ დამიწერია მაგდა პაპიძესთან დაკავშირებით არც ერთხელ, რადგან საზოგადოების ინტერესი იმდენად მაღალი იყო ამ საქმესთან დაკაშირებით, რომ ვთლიდი, საქმეს აუცილებლად ობიექტურად გამოიძიებდნენ.

ცხრატომიან საქმეზე ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი 2 საათში გამოიტანესო, გვითხრეს... მე არ ვიცი, დამნაშავეა თუ არა პაპიძე და არც მეევალება ამის ცოდნა... მაგრამ ვიცი, რომ 9–ტომიანი საქმის მასალების განხილვა შეუძლებელია 2 საათში...

პროცესი თვეებია გრძელდება და ნაფიც მსაჯულებს რომ საქმის მასალების განხილვის გარეშე შეეძლოთ პროცესის დასრულებისთანავე განაჩენის გამოტანა, მაშინ არც ის ორი საათი იქნებოდა საჭირო...

იქნებ მაგდა პაპიძე დამნაშავეა, მაგრამ მე მინდოდა, რომ ნაფიც მსაჯულებს ამის გასარკვევად მინიმუმ ის დრო დაეხარჯათ, რაც საქმის მასალების თავიდან გაცნობისთვის იქნებოდა საჭირო და მაქსიმუმ ის დრო გამოეყენებინათ, რაც ამ მასალების გასაანალიზებლად, საკამათოდ დასჭირდებოდათ...

იქნებ, ზუსტად მაღალმა საზოგადოერივმა ინტერესმა გამოიტანა განაჩენი... ნაფიცი მსაჯულებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ და იმათაც ყველა არხზე, გაზეთის და ინტერნეტის საშუალებით მუდმივად ხვდებოდათ სათაურები: ,"საზარელი მკვლელობის დეტალები", „მაგდა პაპიძემ ქმარი და შვილი მოკლა" და ა.შ.

მაშ, რა საჭიროა ნაფიცი მსაჯულნი, თუ ისინი საზოგადოებრივი აზრის გავლენის ქვეშ ექცევიან?

და საერთოდ, ვინ ქმნის საზოგადოებრივ აზრს?

ამაზე მანამ არ მიფიქრია, სანამ ერთმა გაზეთმა არ განაცხადა, რომ მან მოახერხა და ხელში ჩაიგდო ოთო ბერძენიშვილის ჩვენება...

რას ჰქვია, მოახერხა და ხელში ჩაიგდო?

მოიპარა თუ იყიდა??

იქნებ სულაც მისცეს... და მისცეს იმ ადამიანის ჩვენება, რომელ ადამიანთან ურთიერთობაზეა აგებული მკვლელობის მოტივი...

თუ არც მოუპარავს და არც უყიდია ეს ჩვენება, საკუთარ თავს არ დაუსვა კითხვა, ვის აწყობდა ამ ჩვენების გახმაურება და რატომ?

გარდა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში ნაფიც მსაჯულეს შეუძლიათ ცხრატომიან საქმეზე ორ საათში გამოიტანონ განაჩენი, ჩვენს ქვეყანაში ჟურნალისტს შეუძლია, თურმე, პროკურატურიდან მოწმის ჩვენება მოახერხოს და ხელში ჩაიგდოს...

და ამაზე ასე ამაყად უნდა ისაუბროს.

შიშის გრძნობის გარეშე. პასუხისმგებლობის გრძნობის გარეშე?

საღათას ძილით სძინავს პროკურატურას? რა საჭიროა სასამართლო სხდომის დახურვა თუ დახურულ სხდომაზე გაცხადებული ჩვენებები გაზეთის ფურცლებზე ჩნდება?

მაინც რა ეწერა იმ ჩვენებაში ასეთი სკანდალური, რომ გაზეთმა მოახერხა და მოიპოვა?

რა ეწერა და მაგდას მეუღლეს ბავშვობიდან ვიცნობდი, ჩემი უბნელი იყოო...

მაგდა მწერდა, მირეკავდა და ვსურდიო... მერე ღამღამობით სამსახურიდან გამყავდა და მასთან ინტიმური კავშირით ვკავდებოდიო... მართალია, მაგდა მწერდა რომ მისი სიცოცხლე ვარ, მაგრამ მე ასეთი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი როგორ შემიყვარდებოდა, ამიტომ ის ჩემთვის ერთი რიგითი მდედრი იყოო...

ეს რიგითი მაინც რა ტერმინია, ბატონო ლეიტენანტო?

ამ ჩვენების მთავარი მესიჯი ისაა, რომ მაგდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალია და ის მამაკაცებისთვის რიგით მდედრად მოიაზრებოდა...

ანუ, ამ ჩვენებაში არაფერია ისეთი, რამაც შეიძლება ან დაადასტუროს მკვლელობა, ან გამორიცხოს...

როგორ?! გაზეთმა ან იმ ადამიანმა, ვინც გაზეთს ეს ჩვენება მისცა, არაფრისმთქმელი ტექსტის გამო ჩაიგდო თავი საფრთხეში?

იქნებ არ იყო საკმარისი, რომ მაგდას მეუღლის მკვლელობა და შვილის გაგუდვა ედებოდა ბრალად, არ იყო საკმარისი, რომ საზარელ მკვლელად მოიხსენიებდნენ, ბოზადაც უნდა გამოეყვანათ, რომ საზოგადოების აზრი უფრო გამძაფრებულიყო?

ეტყობა, ოთარის ჩვენება ისე ჩაიგო ხელში გაზეთმა, რომ ასლიც არ დატოვა პროკურატურაში... პროკურორმა დავით ნეფარიძემ განაცხადა: მაგდა პაპიძეს უფრო დიდი გრძნობა აკავშირებდა ოთარისთან, ვიდრე თავად ბერძენიშვილსო...

ანუ უყვარდა ამ ოთარსაც?

უბრალოდ, ცოტათი უყვარდა?

და ეს სამხარაულის ექსპერტიზამ დაადგინა, პროკურატურაში გყავთ ნათელმხილველი თუ როგორ გაზომეთ მაგდას და ოთოს სიყვარული? რა ერთეულში?

თუ სიყვარულის გაზომვა შეგიძლიათ, რიგი დაგიდგებათ პროკურატურასთან მოწყენილი ცოლების, ეჭვიანი ქმრების, ეგოისტი დედამთილების, უსაქმური სიდედრების...

მაინც ვინ არის ეს ოთარ ბერძენიშვილი?

წარმომავლობა, გვარიშვილობა და ოჯახური მდგომარეობა ნაკლებად მაინტერესებს...

ვინ არის და უსწავლელი კაცია...

„მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო" არ უსწავლია და იმიტომ....

ვინ არის და ტრადიციების არმქონე კაცია....

„ხევისბერი გოჩა" უსწავლია თუ არა, წაუკითხავს მაინც, მაგრამ ვერ გაუგია, რომ ოჯახის სიწმინდის შებღალვისათვის კაცი ქალზე არანაკლებ, თუ მეტად არა, ისჯებოდა საქართველოში, ტრადიციულად...

ვინ არის და უპრინციპო და სუსტი ნებისყოფის კაცია...

აკი, მაგდა პაპიძემ, ასე რამდენიმე მესიჯით და ზარით, შეაცდინა და აცდუნა ამოდენა კაცი... აცდუნა და უბნელის, ბავშვობის მეგობრის ოჯახის გაბაზება აიძულა... ანუ, არ ჰქონია არც პრინციპი, არც საკუთარი აზრი... მხოლოდ ერთი პრინციპი და გონება ჰქონია და ისიც სადღაც... შარვალში.

ვინ არის ოთარი?

როცა ცოლ-ქმარს შორის დგები, მკვლელი ხარ თეორიულად, ამ შემთხვევაში კი პრაქტიკულადაც... ფიზიკურად თუ არა, მორალურად მკვლელი ხარ... ქმრის, ცოლის, ბავშვის მკვლელი, ოჯახის გამანადგურებელი ხარ...

უბნელის, ბავშვობის მეგობრის ცოლის გამბახებელი ხარ, მერე ამ ქალის, ვისთანაც წელიწადზე მეტ ხანს სარეცელს იყოფდი, თავზე ლაფის დამსხმელი....

როცა საზოგადოება მაგდა პაპიძეს — „საზარელ მკვლელს" ქვებს ესროდა, შენ ის კაცი ხარ, რომელმაც პაპიძეს ლოდი მიუშვირა...

რომ გეთქვა, შემიყვარდა ბავშვობის მეგობრის ცოლი და გრძნობებს ავყევიო, კიდევ სადღაც გამართლებას მოგიძებნიდი, მაგრამ, ნებისყოფის სიმტკიცეს უწუნებდი ქალს და ვერ შეიყვარებდი.... მაშ, თუ რომეო არა ხარ, ბავშვობის მეგობრის ცოლთან რომ გასართობად წევხარ, დაილია სხვა რიგითი მდედრები, ბატონო გენერალო?

ოთარი ასევე, ღრმად მორწმუნე ადამიანია...

მართალია, მართლმადიდელობას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მეგობრის ცოლთან ემრუშა წელიწადზე მეტ ხანს, მაგრამ როცა მეგობარი და მისი შვილი მოკლეს, მონასტერში გავარდა ცოდვების მოსანანიებლად... არ შემაწუხოთო, დაიბარა, მონასტერში ვიმყოფებიო...

ისე, ჩვენში რომ დარჩეს, მონასტერში ცოდვებს ინანიებდა თუ მონასტერს აფარებდა თავს ჟურალისტებისა და საზოგადოების ყურადღებისგან, ცალკე საკითხია.

მაგრამ დიდად არც საზოგადოებას შეუწუხებია თავი ოთარის მორალზე ფიქრით...

ჩვენ სხვა მენტალობის ერი ვართ... ჩვენ განსხვავებული

ტრადიციები გვქონდა და გვინდა შევინარჩუნოთ... ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და მორალი ბევრს ნიშნავდა ჩვენთვის, ამორალობას ვგმობდით....

ამჯერად, საზოგადოებას გამორჩა ოთარის მორალი... არადა, ოთარი ამ ისტორიის მთავარი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი გმირი მაინცაა... არადა, ოთარს მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება სამი ადამიანის სიცოცხლეზე... ჰო, სამი ადამიანია გარდაცვლილი... მამაკაცი, ბავშვი და ქალი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა მიესაჯა...

იქნებ, კი არ გამორჩა საზოგადოებას, გამოატოვებინეს, არ ამოასუნთქეს და დრო არ მისცეს დასაფიქრებლად, რადგან ყოველდღე ახალ წვრილმანებს მოგვიგდებდნენ ამ „საზარელი ქალის“ ცხოვრებაზე და იყო განსჯა, ლაფის სროლა... ლაფის სროლა ადრენალინის შემცველობას ამაღლებს სისხლში... ლაფისმტყორცნელ, ადრენალინმომატებულ ადამიანს „ოთოსთვის“ აღარ ეცალა...

ან, იქნებ მესამეა, იქნებ, არც გამორჩა და არც გამოატოვებინებს საზოგადოებას ოთარის მორალური პასუხისმგებლობა, იქნებ, თავად გამოტოვა საზოგადოებამ, თვალი დახუჭა... იმიტომ რომ, ბოლო დროს მომრავლდნენ ასეთი ჩუმი მკვლელები... ბოლო დროს კაცისთვის არაფრად მიიჩნევა მეგობრის ოჯახის გაბახება... ბოლო დროს ყველაფერი ქალზე ტყდება, თითქოს მამაკაცი მხოლოდ იმიტომ შექმნა უფალმა, რომ ბირჟაზე იდგეს, ბაზრიდან ქალის სიმწრით მოთრეული საკვები მიირთვას და სექსი ჰქონდეს სხვის ცოლებთან....

ასეთ ადამიანს ჰქვია ჩუმი მკვლელი....

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

P.S სავსეა ქალაქი დღეს ჩუმი მკვლელებით...

სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მუხლი, რომლითაც ახვრობა ისჯება.

ისჯება თაღლითობა, წვრილმანი ქურდობა, აფიორა, მაგრამ ახვრობა არა, თუნდაც ამ ახვრობას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწიროს.

ახვრები კანონით დაცულები არიან, რის გამოც აბსოლუტურად დაუცველები არიან ადამიანები, რომლებიც ახვრების ახვრობას ეწირებიან.

სანამდე შეიძლება ეს ყველაფერი გაგრძელდეს?

არ არის სამართალი, არ არის მშვიდობა...

გვესაუბრება პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრი ბესიკ ტაბატაძე.

– ბატონო ბესიკ, 2012 წლის არჩევნებიდან თითქმის ოთხი წლის შემდეგ კვლავ სამართლიანობის აღდგენაზე გვიხდება საუბარი, რადგან პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა. თქვენ, როგორც წინა რეჟიმის მიერ ერთ-ერთი დაზარალებული, რას იტყვით?

– იცით, რა, სამართლიანობის აღდგენა ქვეყანაში მართლაც რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა. სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ სასამართლოს განაჩენის გამოტანა როდია. სტრასბურგის სასამართლომ სხვებთან ერთად მეც გამამართლა, თუმცა რას მივაღწიეთ? ჩვენს იუსტიციის სასამართლოს აქვს დავალებული სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და მასზე კონტროლი. სამინისტროდან მივიღე პასუხი, რომ სადავო ხუთიდან ოთხი პუნქტი დაკმაყოფილებულიაო. თურმე ვანო მერაბიშვილი მხოლოდ ჩემი გულისთვის ყოფილა დაჭერილი და სხვა მსგავსი განმარტებები. კარგით, ჩემი საქმე გვერდზე გადავდოთ. სულხან მოლაშვილი ისე გარდაიცვალა, კომპენსაციაც კი არ მიუღია. ფიზიკურად გაანადგურეს კაცი, სახლ-კარი წაართვეს. საწყალი ბიჭი საკუთარი სახლიდანაც ვერ გაასვენეს!

ყველაზე გულდასაწყვეტი იცით, რა არის კიდევ? რომ ზოგიერთი ვაი-ჟურნალისტი, ცინიკურ გამონათქვამებს არ ერიდება. ერთ-ერთ არზზე ერთმა ასეთმა „მოღვაწემ“ წარმოთქვა ფრაზა: „ამ ცხედარმა მთავრობას სულზე მოუსწროო“. ამის თქმა როგორ შეიძლება?! როგორ შეიძლება ადამიანის გარდაცვალებაზე ასე ცინიკურად ილაპარაკო! საინტერესია, სად გაიზარდა ის ადამიანი, ოჯახი არ აქვს, ან არავინ გარდაცვლია ცხოვრებაში? ხომ არ ჰგონია, ამქვეყნად მუდმივად იქნება? სულხანის კაცობა და ადამიანობა იმაშიც გამოჩნდა, რომ ზღვა ხალხი მივაცილებდით უკანასკნელ გზაზე.

– სულხან მოლაშვილის გარდაცვალების შემდეგ „ნაცმოძრაობის“ წევრები, კერძოდ, ნიკა რურუა აცხადებდნენ, რომ ჩვენს დროს წამება არ იყო და სულხანი არავის უწამებიაო.

– ნიკა რურუამ, სულხანზე ლაპარაკის ნაცვლად, ურჩევნია, თავის წარსულს გადახედოს. საერთოდ, ეგ ადამიანი ჩემთვის არანაირი ავტორიტეტი არ არის, იგი კრიმინალია. თუმცა სააკაშვილის დროს ხელისუფლებაში ბევრი კრიმინალი იყო. წამება არ იყოო? გამოდის, სულხანი ანთებულ სიგარეტს თვითონ იქრობდა სხეულზე, ზურგზე და ფეხებზე. ღვიძლიც თვითონ დაიშალა, ასე გამოდის. წამალს, ანუ ნარკოტიკებს იღებდაო. დალოცვილო, ციხეში თუ ისეთი პირობები იყო, ნარკოტიკებს უპრობლემოდ იღებდნენ, მაშინ თბილისის ნარკომანები ყველა ნებაყოფლობით ჩაჯდებოდა. რითი და როგორ გაიმართლონ თავი, არ იციან და სისულელეებს ლაპარაკობენ.

– ბატონო ბესიკ, ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებს, რომლებსაც მართლაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, ზოგს არასამთავრობო ორგანიზაცია აქვთ შექმნილი, ზოგიერთმა პოლიტიკური პარტიაც კი ჩამოაყალიბა, ზოგიერთი, საერთოდაც, ადვოკატობს. რამდენად სამართლიანად მიგაჩნიათ?

– მართალი ხართ, მათ, ვინც რეპრესიებში მონაწილეობდნენ და ხელები სისხლში აქვთ გასვრილი, შექმნილი აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციები, ამოფარებული არიან უცხოელ დამფინანსებელთა ზურგებს და ჭკუას გვარიგებენ. ჩემი აზრით, კანონმდებლობაში აუცილებლად არის ცვლილებები შესატანი, ამას იურისტები და სპეციალისტებიც აღიარებენ.

– თუნდაც გიორგი ონიანი, რომელსაც, ვიცით, რომ აქვს დანაშაული თუ არა, გადაცდომები მაინც, დღეს ადვოკატია.

– ალბათ, აქვს იურიდიული განათლება, ჩააბარა გამოცდები და გახდა ადვოკატი. ამის შესახებ ბატონ ზაზა ხატიაშვილს უნდა ჰკითხოთ, მერა გითხრათ. იმ საქმეებზე, რომლებზეც საჩივარი ჰქონდათ შეტანილი, რომ გამოეძიებინათ და პასუხი მოეთხოვათ, დღეს უკვე ნამდვილად ვეღარ შეძლებდა ადვოკატობას. ბევრი ზონდერის და ჯალათის საქმეები დღემდე გამოძიებული რომ არ არის, იმიტომ არის ჩვენი საზოგადოება ასეთ დღეში.

საბედნიეროდ, ევროპარლამენტის დეპუტატებმა იციან, რაც გააკეთა „ნაცმოძრაობამ“ და ამიტომ მიიღეს სწორი გადაწყვეტილება. მხედველობაში მხოლოდ ქართველი დეპუტაცია არ მაქვს. მორალზე ვსაუბრობდით და გიგი წერეთელს ვაჟკაცობა რომ ჰქონოდა, თავისი კანდიდატურა საერთოდ არ უნდა წამოეყენებინა. ეგენი საერთოდ ჩუმად უნდა იყვნენ, მაგრამ რომ ჰკითხო, კრისტალური ხალხია. ადამიანი, რომელიც ამართლებდა და დღესაც დამნაშავე, ჯალათების პარტიის წევრია, საერთაშორისო არენაზე საქართველოს არ უნდა წარმოადგენდეს და ქართველებთანაც ვერ უნდა ჩნდებოდეს.

– დაბოლოს, როდის აღდგება სამართლიანობა, თუ გაქვთ ამის იმედი?

– სიმართლე რომ გითხრათ, მგონია, რომ სამართლიანობა საქართველოში აღდგება, მაგრამ მეშინია, არ ვიცი, როგორი ფორმით მოხდება. ხალხში უკმაყოფილების, აგრესიის გრძნობა გროვდება. ამას ემატება ზღვარგადასული უნამუსოების ფონი, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ და მათი დამქაშები ქმნიან. ღმერთმა დაგვიფაროს, ხალხმა თავად მოინდომოს სამართლიანობის აღდგენა. ხელისუფლებამ არჩევნებამდე დარჩენილ დროში ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა მშვიდად ჩაიაროს არჩევნებმა და ქვეყანასაც ავაცილოთ პოლიტიკური კატაკლიზმები.

გია ბურდული
551 71 27 07

დავით ნემსაძე:

რატომ იმატა თვითმკვლელობების რაოდენობამ თავდაცვის სამინისტროში?

ცნობილია, დაღუპულ ჯარისკაცს დუმილით სცემენ პატივს, მაგრამ ა.წ. 19 ივნისს გაურკვეველ ვითარებაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის რიგითის - **ნიკოლოზ ვრუბლევსკის** გარდაცვალება, ის მაგალითი არ არის, როცა თავდაცვის სამინისტროს მხრიდან ამ ტრაგიკულ ფაქტზე დუმილი ჯარისკაცისადმი პატივის გამოხატავაა. ვრუბლევსკის დაღუპვაზე მე, როგორც სამხედრო თემატიკის გამშუქებელმა ჟურნალისტმა, ინფორმაცია თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლისგან მივიღე, რის შემდეგ ყველა საინფორმაციო სივრცეში ვცადე, მომეპოვებინა სამხედრო უწყების ოფიციალური შეტყობინება და კომენტარი ამ ამბავთან დაკავშირებით. ამაოდ. არც პრესით, არც ტელევიზიით და არც სოციალური ქსელებით თავდაცვის სამინისტრო თავს ვალდებულად არ თვლის, ისაუბროს რიგითის გარდაცვალებაზე. არადა, სამხედრო უწყების დუმილი, ბუნებრივია, იწვევს ეჭვს და ბადებს კითხვებს, თუნდაც ასეთს - რას მალავენ თავდაცვის სამინისტროში? ვინაიდან ქალბატონმა ხიდაშელმა თავის ამჟამინდელ „სამფლობელოში“ მმართველობის ისეთი რეჟიმი დაამყარა, რომელში დასმენა, ჩაშვება, შანტაჟი და თვალთვალი მხოლოდ მისასალმებელი „კატეგორიებია“, არ მოიძებნა ერთი თანამშრომელიც კი, რომელიც საჯაროდ, გულწრფელად მიპასუხებდა ზემოთ დასმულ კითხვაზე. ამიტომ, განმარტებისთვის კვლავ მივმართე თავდაცვის სამინისტროდან სულ ახლახან დათხოვნილ თადარიგის ოფიცერს, სამხედრო ბლოგერს, უფროს ლეიტენანტს **დავით ნემსაძეს.**

- ბატონო დავით, თუ გსმენიათ რიგითი ნიკოლოზ ვრუბლევსკის გარდაცვალების შესახებ? ვინც ეს ინფორმაცია მომაწოდა მითხრა, რომ მისთვის ცნობილია მხოლოდ ჯარისკაცის სიკვდილის ფაქტი. თქვენ თუ იცით, რა მოხდა „ალექსეევკას“ ბაზაზე?

- რიგითი ვრუბლევსკის დაღუპვის შესახებ არათუ მსმენია, პირადად მივმართე სამინისტროს ხელმძღვანელობას, კეთილი ენებათ და საზოგადოებისთვის ანგარიში ჩაებარებინათ მომხდარ უბედურებაზე.

- რა ვითარებაში გარდაიცვალი რიგითი ნიკოლოზ ვრუბლევსკი?

- წესით, ამ შეკითხვას გამომძიებამ უნდა გასცეს ამომწურავი პასუხი, თუმცა, გამოძიების მიუკერძოებლობა განსჯის საგანია. არ მინდა ვიფიქრო, რომ ადამიანების სიცოცხლე იმ პოლიტიკურ ფიგურაზეა დამოკიდებული, რომელიც საკუთარ თავს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელს უწოდებს. უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ, მაგრამ სიამოვნებით გიამბობთ, რაც მე ვიცი. დავიწყებ იმით, რომ ნიკოლოზ ვრუბელსკიმ ქართულ ჯარში სამსახური საკუთარი სურვილით დაიწყო.

- თუ სწორედ გაგიგეთ, ნიკოლოზ ვრუბელსკი სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოხალისედ ჩაეწერა?

- სწორედ, ასეა. ამის თაობაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს და მიხარია, რომ არსებობს ადამიანების კატეგორია, ვისთვისაც სამშობლოს დაცვა პირადი სურვილია და არა მხოლოდ ვალდებულება. 19 წლის ნიკოლოზ ვრუბელსკიმ ჯერ ხაშურში გაიარა ე.წ. საკარანტინო სწავლება, შემდეგ ის გაანაწილეს „ალექსეევკის“ სამხედრო აეროპორტთან მდებარე შერეული ავიაციის სამხედრო ბაზაზე, რომელშიც მას სამხედრო სავალდებულო სამსახური უნდა გაევლო. რიგითი ვრუბელსკი სულ ორი კვირის დისლოცირებული იყო სამხედრო ბაზაზე, როდესაც ის „საყარაულო“ ამოცანის შესრულების დროს ნახეს დაღუპული; როგორც ამბობენ, საკუთარი საშტატო იარაღიდან გავარდნილი ტყვიით... უკვე გითხარით, ვერავის უდანაშაულობის პრეზუმპციას ვერ დავარღვევმეთქი, მაგრამ, როგორც თადარიგის სამხედრო ოფიცერი, ზედმიწევნით ვიცნობ საყარაულო წესდებას და, საერთოდ, დღევანდელი არმიის მდგომარეობას, მეტადრე, პირად შემადგენლობას; აგრეთვე, მმართველი რგოლის ხედვებს და სრული წარმოდგენა მაქვს იქ გამეფებულ დანაშაულებრივი მართვის მეთოდებზე. გამომდინარე აქედან, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ რიგითი ვრუბლევსკი უბედური შემთხვევის მსხვერპლი არ გახდა!

- განგვიმარტეთ.

- ვფლობ ინფორმაციას, რომ ნიკოლოზ ვრუბელსკის ასეულის მეთაური გახლდა მაიორი **ვეფხია ივანიძე.**

- მოიცადეთ.... ეს ის ვეფხია ივანიძეა, რომლსაც თქვენ უწინ ახსენებდით ჩემთან საუბრებში. წერილებშიც მოვიხსენიებდით, კერძოდ, რომ შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე, მაიორ ვეფხია ივანიძის დაქვემდებარებაში მყოფმა რიგითმა *ერიკ კარაპეტიანმა*, სწორედ „ყარაულში“ გადაწყვიტა თავის მოკვლაო.

- დიახ, ეს ის ვეფხია ივანიძეა, მაიორი. მხოლოდ ახლა მაგ დანაშაულის დაფარვის მიზნით, ივანიძე შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზიდან ალექსეევკაში, შერეული ავიაციის ბაზაზე გადაიყვანეს, იქაც ასეულის მეთაურის თანამდებობაზე და „შედეგმაც“ არ დააყოვნა... იმის მერე, რაც ივანიძემ რიგით კარაპეტიანს აყროლებული ჩექმები კისერზე დაჰკიდა და აიძულა ბაზის ტერიტორიაზე, მათ შორის, სასადილოშიც ასე დამცირებულად ევლო, რამაც რიგითი კარაპეტიანი ლამის სუიციდამდე მიიყვანა, მე ვინმე დამავჯერებს იმას, რომ რიგითი ვრუბელსკი შემთხვევით გავარდნილი ტყვიისგან მოკვდა?! ბოდიშს მოვუხდი თავდაცვის სამინისტროს, მაგრამ მისი მოყოლილი ზღაპრების მე არ მჯერა. არ გამოვრიცხავ, რომ ვრუბელსკი თვითმკვლელობამდე იყო მიყვანილი. საკმარისზე მეტი დამთხვევაა და სხვაგვარად ფიქრის უფლება არ მაქვს.

- ბატონო დავით, ქალბატონი ხიდაშელი აცხადებს, თითქოს და, ჯარში სუიციდი ანუ თვითმკვლელობები აზარტული თამაშებისგან არის გამოწვეულიო. რას გვეტყვით მინისტრის ამ ვარაუდის შესახებ?

- ვრუბელსკის მაგივრად ხიდაშელის შვილი რომ ყოფილიყო ტყვიით განგმირული, გარწმუნებთ, ხიდაშელი ამ ტრაგედიას აზარტულ თამაშებს არ გადააბრალებდა. მეტ კომენტარს ხიდაშელის ამ ბოდვაზე არ გავაკეთებ... მაგ ქალს ჯარი თავისი „ენჯეო“ ჰგონია. უარესის ღირსნიც ვართ, ხიდაშელს მინისტრად რომ ვითმენთ!.. უმოტივაციოდ დაღუპული ბიჭები, ხიდაშელის „წესრიგს“ მსხვერპლშეწირულნი, მეცოდებიან... ამოიღონ საგაზეთო სტატიები და ნახონ! განა არ ვაცხადებდით, რომ ვეფხია ივანიძის ასმეთაურობა არაფრად არ შეიძლებოდა? ათეულობით პატაკი მაქვს დაწერილი გენერალურ შტაბში, მიცემული მაქვს ჩვენებები გენერალურ ინსპექციაში, სამხედრო პოლიციაში. აღარ ვიცოდი, მეტი რა მექნა. ჯარის სულიერად გარყვნის აშკარა საფრთხეს ვხედავდი და ვმოქმედებდი ისე, როგოც შემეძლო. თუ ჩემი კალამი და ფურცელი არ ჭრიდა, მაშინ შუაში ფიზიკურად ვდგებოდი. საბედნიეროდ, ასე მე მარტო არ ვმოქმედებდი. იყვნენ და არიან ოფიცრები, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის დროს რეპრესირებულნი, რომლებმაც ოფიცრის ღირსება სარფიან ლაქიობაში არ გაცვალეს. თქვენ თავადაც იცით, რომ რიგითი კარაპეტიანის სიცოცხლის გადარჩენას ჩემი სამხედრო კარიერა შეეწირა, რაზეც არ ვნანობ. სამწუხაროდ, რიგით ვრუბლევსკის არ გაუმართლა, რომ ალექსეევკის ბაზაზე არ იყვნენ ლევან კობაიძის და ჩემნაირი ოფიცრები... ჯარიდან ამა წლის 23 ივნისს დამითხოვეს.

- ხიდაშელის მიერ სამინისტროში დამკვიდრებული მმართვის სისტემის მიერ არის ეს გამოწვეული. მე ასე ვფიქრობ, რომ რიგითი ნიკოლოზ ვრუბლევსკი მოკლა იმ გენერალურმა ინსპექციამ, რომელსაც მაიორ ივანიძის წინააღმდეგ ოფიცრების ჩვენება ჰქონდა და არაფერი გააკეთა. ეს ბიჭი მოკლა იმ სამხედრო პოლიციამ, რომელიც იძიებდა რიგითი ერიკ კარაპეტიანის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმეს, მაგრამ ივანიძეს არაფერი მოჰკითხა. რიგითი ვრუბლევსკი მოკლა შეიარაღების და ტექნიკის სარემონტო ბაზის მეთაურმა - პოლკოვნიკმა **ილია ლუტიძემ,** რომელმაც ივანიძე დანაშაულის გამო კი არ დასაჯა, პირიქით, წაახალისა. რიგითი ვრუბლევსკი მოკლა მაგ ბაზის შტაბის უფროსმაც - **ირაკლი შაიშმელაშვილმა,** ვინც ივანიძეს, კორუფციული გარიგების ფასად, თანამდებობა შეუნარჩუნა; და რიგით ნიკოლოზ ვრუბელსკის მთავარი მკვლელი - მინისტრი თინა ხიდაშელი, რომელმაც ყველა ამ სიმახინჯისთვის სასათბურე პირობები შექმნა! ასეთია ჩემი პასუხი.

- მოარული ხმების მიხედვით, ჯარისკაცების დაცვა და ოფიცრის ღირსების შენარჩუნება ხიდაშელის სამინისტრომ „უღირს საქციელად“ ჩამითვალა. აღარ მსურს პირადზე საუბრის გაგრძელება. გადადგმულ ნაბიჯებს არ მივსტირი. ყურადსაღები ფაქტია - რაც ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად დაინიშნა, მის შემდეგ ჯარში თვითმკვლელობების რაოდენობამ მკვეთრად იმატა და ყველა მანამდე არსებული „რეკორდი“ მოიხსნა. არც ერთ მინისტრს ამდენი თვითმკვლელი ჯარისკაცი არ ჰყოლია!...

- რითია ეს გამოწვეული?

- ბოდიშს ვიხდი, ეს ინფორმაცია ოფიციალურ ინფორმაციად ვერ ჩაითვლება, ეს ინფორმაციაც ერთ-ერთ ინფორმაციად

„სირებს რად გვინდა გენდერი“, ანუ სამი „პოინტი“ აქეთ-იქით ქალებით და შუაში მამრით

„ცენტრ-პონტის“ თანამშრომლების დაკავებასთან დაკავშირებით ისეთი ფრაზები თქვა ქალბატონმა მაია რჩეულიშვილმა, მისი სიტყვების მსმენელი ადამიანების ნაწილი დღემდე ვერ მოსულა გონს, ეს რა თქვაო?

რა თქმა უნდა, ისეთი არაფერი უთქვამს, რაც მანამდე არავის მოუსმენია, მაგრამ კიდევ ასე უტიფრად თუ გაიმეორებდა საშშენებლო ბიზნესით გატაცებული „ტროიკა“ იმავეს, ამას არ ელოდნენ.

„ეს არის პოლიტიკური დევნა და სხვა არაფერი. ეს საქმე თავიდანვე დაინტერესებულმა მხარემ წარმართა „ცენტრ-პონტის“ წინააღმდეგ... პოლიტიკაში იყო ვახტანგი, რუსუდანი და ახლა ვაპირებდით მაჟორიტარად კენჭის ყრას. ვახო – ჩუღურეთში, მე – მახინჯაურში, რუსოს ოლქი ამორჩეული არ ჰქონდა. დამოუკიდებლად ვიყრი კენჭს, მაგრამ რასაკვირველია, „ნაციონალურ მოძრაობას“ ვუჭერ მხარს,“ – განაცხადა მაია რჩეულიშვილმა.

ამ ფრაზებთან ერთად კიდევ რას ამბობს ვახოს მაია, ვისთან ვერ იყოფს ბიზნესს და რატომ, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ზოგადად, ხალხისთვის, მთავარი ნათქვამია, ხოლო „ცენტრ-პოინტის“ მიერ „გადაგდებულებისთვის“ ხომ სამივე პირის ერთად და ცალ-ცალკე გინების სეზონი გახსნილად გამოცხადდა.

ვიღაცამ, ვისაც არ ჰქონია საქმე ამ სამეულთან ბინის მშენებლობასთან დაკავშირებით, შეიძლება ითხოვოს, რა ხდება, მცირედით მაინც გამარკვიეთო, ამდენად, შეძლებისდაგვარად მოკლედ და გასაგებად გავახსენოთ „რაღაც-რაღაცები“.

2012 წლის თებერვლის ბოლოს, ჯერ კიდევ „ნაციონალების ხელისუფლების“ დროს, განაციონალებული „ტროკას“ თაღლითობის ზეპირი ბრალდებით მათ მიერ „გადაგდებულმა“ ადამიანებმა აქცია გამართეს პარლამენტის შენობის წინ. იმ დროისთვის უკვე „ცენტრ-პოინტ-დექსუსის“ მიერ დაზარალებულთა მოთხოვნაზე, „ტროიკას“ ან ბინები გადაეცა მათთვის, ან თანხა დაებრუნებით, რუსუდან კერვალიშვილმა დაიჩივლა, რა თანხა, ხაჭოს ფულიც კი არ მაქვსო. მისი ეს პასუხი იმდენად სამარცხვინო იყო, დაზარალებულმა მოქალაქეებმა აქციას „ხაჭო რუსუდანს!“ დაარქვეს და ხაჭოც მიიტანეს ყოველი შემთხვევისთვის, იქნებ ინებოს პატივცემულმა და, ისე თუ გვემალება, ასე მაინც დაგვენახოს ხაჭოთი ხელდამშვენებულებსო.

მეტი საქმე არ ჰქონდა რუსუდანს, საქართველოს ნაციონალური პარლამენტის „ნაციონალ“ ვიცე-სპიკერს, „შერატონ მეტეხი პალასში“ კონფერენციაზე ბრძანდებოდა.

რატომ მახსოვს ასე კარგად და თვით გახლდით აღნიშნულ აქციაზე, ხალხნი ვართ, სამომავლოდ გავითვალისწინებ-მეთქი, მაინტერესებდა როგორ გააბრიყვეს ამდენი ხალხი და მათში გავერიე. დაზარალებულები ქალბატონი რუსუდანისთვის დეპუტატის მანდატის შეწყვეტას მოითხოვდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ სწორედ ამ მანდატს აფარებდა თავს რათა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულიყო.

ამ მიმართულებას რომ გავყვეთ, რადგან ახლა სამივე კენჭისყრას აპირებდა არჩევნებზე, რა ვიფიქროთ, თვითონვე იყნოსეს „რაღაც“ და თავშესაფრად უკეთესი ვერაფერი მოიფიქრესო? რა ვიცით...

2012 წლის იმ დროის მონაცემებით 6200 მოქალაქე იყო დაზარალებული, ხოლო იმ 6200 მოქალაქის გადახდილ ათასებს ჯერ თუ მიამატებდი კაცი ერთმანეთს და შემდეგ სამზე გაყოფდი, ხაჭოს გარეშე ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო ქალბატონი პარლამენტარი დარჩენილი. როგორც ჩანს, ტყუილების თქმასაც მიჩვევა სცოდნია...

კერვალიშვილმა განახორციელა თაღლითური ფინანსური პირამიდის სქემა და ჩვენი თანხები მითვისაო, – ერთხმად გაჰყვიროდნენ დაზარალებულები.

„მავრიდის პირამიდა“ არ ჩამოეშლებოდა „ტროიკას“, მაგრამ 2003 წლის ნოემბერმა წიხლი ჩასცა ვახტანგ რჩეულიშვილს. კი, ნამდვილად, წიხლიც ჩასცეს და თავიც გაუტეხეს საქვეყნოდ, ღვარად ჩამოსდიოდა სიხლი სახეზე, მაგრამ ეს არ კმარა ბიძიაო, ცაში ვარსკვლავებს რომ ყიდულობდი, ახლა აქეთ გვიბოძეთ ბევრი მილიონიო. (10 მილიონს ასახელებენ, მაგრამ იქნებ მეტიც იყო, ან სულაც ნაკლები?)

კი, წაღლიტეს მილიონები „ტროიკას“, მაგრამ ისეთი სამარადისო შიშით არიან შეპყრობილები, იმასაც ვერ ამბობენ, ვის და რამდენი მილიონი გადაუხადეს, ანუ რატომ იქცნენ ხალხისთვის თაღლითებად, – არა, ბატონო, დღემდე და სამარადისოდ „ნაციონალების“ მხარეს ვიქნებითო, გაიძახიან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი კონკრეტული პირებისგან „მკაცრად დატრენინგებულები“ და უარესად იმხედრებენ ხალხს.

ქალები წყევლიდნენ და წყევლიან დღემდე; კაცები აგინებდნენ და აგინებენ დღემდე; ამ ბოლო დღეების განაცხადის შემდეგ კი, ახლა ისინიც აგინებენ, ვისაც მათთან არანაირი შეხება არ ჰქონია. არა, მაინც რამდენად ჩასვრილ-გასვრილი უნდა იყო რომ ამად გიღირდეს?

ხალხში გარეულმა სსხვადასხვა ისტორიები მოვისმინე პროცენტებზე, დეპოზიტებზე, სხვადასხვა რაოდენობის დოლარებზე, სესხებზე, ბანკებზე და ა.შ რაც ფულსა და ბინის მშენებლობას ეხება, მაგრამ ბატონ თემურ ჩიხლაძის სიტყვები დამამახსოვრდა: „მე 2006 წელს შევიტანე 50 000 დოლარი თვეში 2%-ად. 10 000 დოლარი უკვე აღებული მაქვს პროცენტების სახით. ესენი ვითომ 2008 წელს რომ აბრალებენ – აგვისტოს ომის შემდეგ 2-ჯერ ავიღე პროცენტი და მერე შემიწყვიტეს. რჩეულიშვილმა მითხრა, ხომ ხედავთ, 2%-ს ვერ გაძლევთ და 1%-ზე შევთანხმდეთო და ამაზე შევადგინეთ ხელშეკრულება. 2-ჯერ ავიღე ის 1%-ც და დამთავრდა, მის მერე აღარ ამიღია. თავის კაბინეტში პირდაპირ მითხრა ვახტანგ რჩეულიშვილმა 30 მლნ წამართვა საკაშვილმა და საიდან მოგცე შენი ფულიო? მაგი ამას არ იტყვის და მე როგორ დავამტკიცო რომ თქვა?“

ვიღაცამ იკითხა, ეს ის ვახტანგ რჩეულიშვილი არ არის, „სირებო, ბზობას გილოცავთო!“ ფაქტობრივად მთელ მართლმადიდებელს მრევლს რომ დაგვახურა თავზეო?

კი, ის გახლავთ!

ვახტანგ რჩეულიშვილი: – „საქართველოს სახელად უფრო მოუხდებოდა – სირია. უახლოესი სირი, კაცებმა, შეიძლება, პირდაპირ სარკეში ვიხილოთ. ვინც დასირებულები არ ვიყავით, ისინიც კი დაგვასირეს უკვე. ხელისუფლებას ვგულისხმობ, „ნაცებისა“ და „ქოცების“ – განურჩევლად – ერთი სირია მაინც.

ამასთან, სირი ფალოსის კულტს ნიშნავს და ქალს საკუთარ ადგილსაც მიანიშნებს საშხარეულოში და საწოლში.

სირებს რად გვინდა გენდერი... მეორეც, რომ სირიელებიც ისტორიული ხალხია, ქართველებისა არ იყოს. უფალი იესო ქრისტეც კი სირიულად (ძველსირიულად, ანუ არამეულად) ლაპარაკობდა.

ამიტომაც, მომილოცავს, სირებო, ბზობა!“ – საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს ამ სიტყვებით საქვეყნოდ მიულოცა ბზობის ბრწყინვალე დღესასწაული ვახტანგ რჩეულიშვილმა.

მან 1992-1995 წლებში საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერობაც მოახერხა და 600 000 ხელმოწერის შეგროვებაც ფრაზაზე „საქართველო ჩემი საშშობლოა, რუსეთი – ჩემი მეზობელია!“ და 2002 წელს მოსკოვში მიდიოდა საქვეყნო თუ სათავისო საქმისთვის (მნიშვნელობა არ აქვს)...

რჩეულიშვილმა, რომელმაც, როგორც ამბობენ, ხუთი ჰესი შეისყიდა, მათ შორის „სიონჰესი“ 26 დოლარად, შემდეგ გაყიდა ეს ჰესები უცხოელებზე და დაარსა საშშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტი“. ამასთანავე, კაპიკებად შეისყიდა თბილისელების კუთვნილი მიწები და აშენდა, მაგრამ აშენდა ისე, რომ იმ 6000 მოქალაქის ვალი აქვს, ვისაც გარკვეული თანხა მის კომპანიაში ჰქონდა ჩადებული და დღემდე ელიან შეპირებულ ბინებს, თუმცა, არც ფულს უბრუნებს კომპანია „რჩეულიშვილი და ქალები“ და არც ბინებს აძლევენ.

სოციალურ ქსელებში ვიღაცამ

თქვა, კაიფშია, რა საქმე აქვს მეტიო? ვიღაცამ – ეს ვადაგასული სირი რაც თვითონაა, იმას აღიარებსო; ვიღაცამ – სირი კი არა, „ტრიპერნი ჩოილარიაო“: ვიღაცამ – სანამ საქართველოში ტერორისტული ორგანიზაცია არ შეიქმნება ამათ მოსაშორებლად, არაფერი გამოვაო; ვიღაცამ – ბოზის ტრიკოსგან სხვას რას ელოდითო? ვიღაცამ – ვალები რომ ჩამოაწერეს ამ ტრუსიკის რეზინას, იმიტომ უწოდებს ყველას სირებსო; ვიღაცამ თანაუგრძნო – კაცს, ეტყობა, კლიმაქსი აქვს, რა მისი ბრალიაო?

კლიმაქსზე ვინ ვის მოსდავებია, ან ედავება? კაცს არ დაუტუქსავს, როდესაც ასევე საქვეყნოდ დაწერა აშშ-ში ხორვატიის ყოფილ ელჩზე, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე კოლინდა გრაბარ-კიტაროვიჩზე: – „ამის მკერდს პუტინის... ხელი (აბა, თქვენ რა გეგონათ?) გირჩევნიათ? მე ვირჩევ კოლინდას და ნატოს!“

ნოდარ ნათაძემ თავის დროზე „ბორჯომი“ შეასხა გამოსაფხიზლებლად, მერე, „ნაცებმა“ ურტყეს აზრზე მოსასვლელად, მაგრამ არ დაადგა საშველი...

სხვათაშორის, „სირი“ ჩიტიცაა და თავისზე დიდ სირს რომ დააფრინდეს, ეგებ მაშინ გამოიფხიზლოს? – იქნებ, მერე აღარ თქვას და არც გულსა და ტვინში გაივლოს მიმართვა: – „მომილოცავს, სირებო, ბზობა!“

გიორგი ჩხეიძე

P.S **უკანასკნელი ინფორმაციით, მაია რჩეულიშვილი დააკავეს, ხოლო გურამ რჩეულიშვილს დაუსწრებლად შეეფარდა პატიმრობა.**

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ჩვენ იმ კარებზე ვაკაკუნებთ, რომელიც არ არსებობს...

თანამშრომლობის „გაძლიერების ახალი ნაბიჯები“

ნატოს ვარშავის 8-9 ივლისის სამიტს საქართველოს ხელისუფლებამ ისტორიული უწოდა. ვარშავაში მიღებული გადაწყვეტილებები მთავრობამ, ფაქტობრივად, ნატოში წევრობაზე მიწვევის ტოლფას პოლიტიკურ გადაწყვეტილებად შეაფასა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი:** „მემორანდუმი, რომელიც თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში პარტნიორობის გაფართოებას ითვალისწინებს, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც ქმნის ჩარჩოს ახალი თანამშრომლობისთვის, რაც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისკენაა მიმართული და რომელიც საქართველოს აძლევს ახალ შესაძლებლობებს შეიძინოს თავდაცვითი იარაღი და შეიარაღება, რაც ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მეტი აქცენტი გააკეთოს. ეს ითვალისწინებს უფრო მეტ ერთობლივ წვრთნებს ამერიკელ პარტნიორებთან ერთად, რაც ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის. ეს დოკუმენტი წარმოადგენს კიდევ ერთ დადასტურებას საქართველოს და ამერიკას შორის ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორობის“.

ვარშავის სამიტზე და მის შედეგებზე აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრებები აქვს ბატონ **დიმიტრი ლორთქიფანიძეს,** რომელთან ინტერვიუსაც ახლა გთავაზობთ.

— ბატონო დიმა, წინა კვირას საქართველოს ჯონ კერი სტუმრობდა. ალბათ, შემთხვევითი სულაც არაა, რომ იგი არჩევნებამდე სამი თვით ადრე და ვარშავის სამიტამდე ორი დღით ადრე გვეწვია.

— რა თქმა უნდა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის ვიზიტი, ქვეყანაში, სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის აქტია, ამის გაუბრალოება არ შეიძლება, თუმცა, სხვა საკითხია ის რეალური მიზანი, რაც აშშ-ს ადმინისტრაციას ამოძრავებდა, როცა ჯონ კერი საქართველოში გამოგზავნა.

მათი ამოცანა შემდეგია: გაამაგრონ მათ მიერვე მართული მარიონეტული პოლიტიკური ძალები, რომლებიც იდეოლოგიის თვალსაზრისით ერთმანეთის ბიძაშვილმამიდაშვილები არიან, იქნება ეს „ნაცმოძრაობა“, პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“, ირაკლი ალასანია პარტია, „რესპუბლიკელები“, ვაშაძე თუ პალიკო კუბლაშვილი და მასთან დაკავშირებული „გირჩი“. ეს მარტივ მამრავლებად დაშლილი პოლიტიკურ ძალთა ერთი დიდი კონგლომერატია, რომელიც ნეოლიბერალიზმის ნიშნით ხასიათდება, რომელთა ხელისუფლებაში მოსვლის და მათი საპარლამენტო უმრავლესობაში თავმოყრის პოლიტიკური ამოცანის წინაშე დგას დასავლეთი, რომელიც ამ ყველაფერს „ქართულ ოცნებას“ უკვეთავს, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ უკან დაბრუნებას, როგორი რეინკარნირებული სახითაც არ უნდა წარდგეს, საზოგადოება არცერთ შემთხვევაში არ დაუშვებს. უკვე დაიწყეს პროვოკაციული შეძახილები პარტიული ყრილობის დიდგორში ჩატარების თაობაზე, 8 ოქტომბერს კი სააკაშვილი სარფის საბაჟოზე აპირებს მოდგომას, მისი ერთ-ერთი გამორჩეული სახე ლევან ვარშალომიძე უკვე აჭარაშია და „ქართული ოცნების“ ნამოქმედარს როგორც თვითმმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების დონეზე აქტიურ რევიზირებას უკეთებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარკვეული პროვოკაციები იგეგმება. ამის ხელშემწყობი არამარტო გარე, არამედ შიდა ძალებიცაა, ვგულისხმობ, ძალოვან სისტემაში თავმოყრილ დესტრუქციულ — ადეიშვილის, მერაბიშვილის ძალებს, ასევე, უშუალოდ სააკაშვილის ხელდასმით დანიშნულ ძველ კადრებს, რომლებიც მოქმედებას დღესაც აგრძელებენ და რევანშის ასაღებად ხელსაყრელ მომენტს ელიან.

— ჯონ კერიმ აღნიშნა, რომ 8 ოქტომბერი ლაკმუსის ტესტი იქნება. მთავარი პროცესები ალბათ, არჩევნების მერე გველის. თქვენ, ნაცების მიერ დაგეგმილი პროვოკაციები ახსენეთ. რამდენად რეალურია საფრთხე?

— ლაკმუსუს ფურცლის მნიშვნელობა იმ საკითხებს მივანიჭე, რასაც კერიმ, განსხვავებით მისი წინამორბედებისაგან, ვიზიტისას თავი აარიდა. როცა აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოს ჯო ბაიდენი სტუმრობდა, მას ქუჩის ოპოზიციასთან შეხვედრისთვის თავი არ აურიდებია, ასევე, ჰილარი კლინტონსაც. ასეთი უგულვებელყოფა ძალიან გამიკვირდ,. ეს საზოგადოებისთვის იმის სიგნალია, რომ აშშ, მომავალ პარლამენტში, მათ მიერ მართული ძალების მოსვლითაა დაინტერესებული. ლაკმუსის ტესტი — ობამას უმთავრესი გზავნილია — 8 ოქტომბრის არჩევნები იქნება განმსაზღვრელი იმისა, თუ როგორი დემოკრატიის ხარისხია ქვეყანაში. ვიტყოდი, რომ ეს გზავნილი ქათული საზოგადოების მიმართ არაა. ქართული საზოგადოებისთვის ყურის დაგდება, კერიმ არ ისურვა. ეს გზავნილი წინასწარ დაწერილი გეგმის აღსასრულებლადაა, რასაც ობამა და მისი ადმინისტრაცია განიხილავენ. ვინაიდან, ოფიციალური ვაშინგტონიც ემზადება სერიოზული არჩევნებისთვის. მოგეხსენებათ, რომ ტრამპსა და კლინტონს შორის დაპირისპირება უკვე პიკს აღწევს. დაპირისპირება ტრადიციულად რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს შორის ხელისუფლების გადანაწილების საკითხს უკავშირდება. შესაბამისად, რა ვითარება იქნება საქართველოში, აშშ-სთვის სულერთი არაა. თითოეულ ქართველს, არჩევნებზე მისვლით, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა გვაკისრია.

— ბატონო დიმა, კერიმ და კვირიკაშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რის მიხედვითაც შეიარაღებული ძალების გაძლიერების მიზნით იარაღს შევიძენთ.

— ეს საკითხი, გაუთავებელი სამხედრო რიტორიკის ფონზე, არ მთავრდება, რაც ერთადერთი პოლიტიკური იარაღია იმ ძალებისთვის, რომლებიც დასავლეთიდან იმართებიან. ეს გახლავთ ყალბი პატრიოტული მოტივები, რომ ახლა, შევიძენთ თავდაცვით იარაღს, დავიცავთ ჰაერს, ზღვაზე კატარღები გვეყოლება და შევძლებთ, რუსეთის ფედერაციის ჩათვლით, ნებისმიერი მტერი მოვიგერიოთ. ღმერთმა ქნას, საქართველო ოდესმე ისეთი მძლავრი ეკონომიკის ქვეყანა გახდეს, რომელსაც, ისრაელის მსგავსად, მობილური არმია ეყოლება. რეალურად, ჩვენ, არშემდგარი სახელმწიფო ვართ, ეს უნდა ვაღიაროთ. ქვეყნის საზღვრებიც კი არ არის დემარკირებული, 32% ის შემთხვევაში, გვაქვს სერიოზული ჰუმანიტარული პრობლემა — მოსახლეობას ვკარგავთ. ქვეყანაში ათასი რვჯულის ადამიანი შემოდის. თუ ასეთი „უპრაგონო“ პოლიტიკა გაგრძელდება, ჩვენს ქვეყანაში ქართველები მალე მდგმურებად აღმოვჩნდებით — საკუთრების უფლებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის მესაკუთრის განცდასაც დავკარგავთ. ამ პრობლემების ფონზე იარაღის ჟღარუნი სხვა არაფერია თუ არა პირდაპირი პროვოკაცია. თავხედი ხიდაშელი ბედავს და ამ ფონზე კონსტიტუციას არღვევს — ქვეყნის მთავარ კანონს ფეხით თელავს. რეალურად, თავდაცვის სამინისტროში გასაწვევი ჯარისკაცების კვოტის საკითხი ესაა ქვეყნის უშიშროების საბჭოს პრეროგატივა, რომლმაც აღნიშნული საკითხი უნდა დაამუშაოს და დასაბუთებული ვარიანტი პარლამენტში წარადგინოს და შემდეგ, ხმათა უმრავლესობით, პარლამენტმა დაამტკიცოს. აქვე, აღსანიშნავია, რომ „ნაცმოძრაობის“ დროს თავდაცვის ბიუჯეტი 2008 წლის აგვისტოს ომამდე 1 მილიარდ ლარს შეადგენდა, ომის შემდეგ კი მკვეთრად შეიზღუდა. ომმა ძალიან დიდი რაოდენობის სამხედრო ქონება ჩამოწერა. გაგახსენებთ, რომ სენაკის სამხედრო ბაზა მთლიანად გაიტანეს — ტანკები, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა და ა.შ. მრავალმილიონიანი ქონება რუსულმა საოკუპაციო არმიამ ხელუხლებლად გაიტანა. ასეთი საბოტაჟის მიუხედავად, გამოძიება არ ჩატარებულა. არადა, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში, რეგულარული არმიის კვოტა, 57-დან 35 ათასამდე დავწიეთ. ამის ფონზე, დღეს, თინა ხიდაშელის ინიციატივა წმინდა ვიწროპარტიული ინტერესიდან გამომდინარეობს. მან, იგივე გააკეთა საგარეჯოში ჩატარებული არჩევნებით, როცა ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიებიდან რამოდენიმე ასეული ჯარისკაცის დისლოკაცია მოახდინა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ მისი მოგვარე თამარ ხიდაშელი პარლამენტში დამჯდარიყო. წარმოიდგინეთ, მან საკუთარ სურვილს, პარტიულ ინტერესებს მოარგო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის წინაშე არსებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა, რასაც ჯარისკაცისა და ჩვენი შეიარაღებული ძალების დისლოკაციის საკითხი ჰქვია. რაღა გასაკვირია, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების წინ, „რესპუბლიკელები“ ვა-ბანკზე მიდიან და პოპულისტური, ფსევდო-სამართლებრივი განცხადებებით პარტიის მკვდარი რეიტინგის გაცოცხლებას ცდილობენ, რისთვისაც უზენაესი კანონის შელახვასაც არ ერიდებიან. თინა ხიდაშელის სამხედრო რიტორიკა, რა თქმა უნდა, რუსეთს ხელ-ფეხს უხსნის, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის ფონზე, ხელოვნურად მოხაზული საოკუპაციო ზოლის საზღვარი კი-

დევ უფრო გადმოწიოს, იქნება ეს განმუ-ხურის, დიდსის თუ სხვა მიმართულებით. სწორედ ესაა არარსებული პოლიტიკის შედეგი. მაშინ გამოდის, რომ მეორე მსოფ-ლიო ომის დასრულების შემდეგ, ფრან-გები არ უნდა დამსხდარიყვნენ გერმანე-ლების პირისპირ, ასევე, ამ ლოგიკიდან გამომდინარე, ნატოს ბლოკში ბერძნები და თურქები, კვიპროსის კუნძულზე განვითა-რებული მოვლენების გათვალისწინებით, ერთად არ უნდა იყვნენ. ეს აკრძალვები მხოლოდ ჩვენთვისაა – ვინც ასეთი ფსევ-დო-რიტორიკის წინააღმდეგ ხმას ვიმაღ-ლებთ, თითს გვიქნევენ და რუსეთუმეებს გვეძახიან, რაც პირდაპირ საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული. მინდა ვისარ-გებლო და საზოგადოებას კიდევ ერთხელ შევახსენო რას ემსახურება ნინო ბურჯა-ნაძის ინიციატივა უბლოკო სტატუსთან დაკავშირებით. საქართველო, რომელსაც ჯვარსახოვანი პოლიტიკა აქვს, არამხო-ლოდ დასავლეთის მიმართ მაამებლურ პოლიტიკას უნდა ემსახურებოდეს, არა-მედ ეს უნდა იყოს პოლიტიკა ჩრდილოე-თი-სამხრეთი, დასავლეთი-აღმოსავლეთი, რაც არ ხორციელდება. უპრიანი იქნე-ბა საქართველომ უარი თქვას ნებისმიერ ბლოკზე, რაც, რა თქმა უნდა, ქვეყნის

თავდაცვისუნარიანობის შესუსტებას არ გულისხმობს, პირიქით, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეროვნულ დონეზე გვყავდეს იმ ტიპის მობილური არმია, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს უპასუხებს. გადა ამისა, ქვეყანას უნ-და ჰყავდეს მოქნილი რეზერვის სისტემა, რომელიც დღემდე არ არსებობს. რასაც თინა ხიდაშელი აკეთებს, ეს სამარცხვინო დანაშაულებრივი განცხადებების კასკადი და ყალბი პატრიოტული პათოსია, რამაც ჩვენი შეიარაღებული ძალების მოქმედე-ბის უსუსურობა დაგვანახა.

აშშ და ნატო ვერანაირ პარტნიო-რობას ვერ გაგვიწევენ. ისინი ამისთვის მზად რომ იყვნენ გარწმუნებთ, 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მაპს აუცი-ლებლად მივიღებდით. ეს სხვა არაფერია რასაც ადრე, კომპარტიაში შესვლამდე, კომპარტიის წევრობის კანდიდატობა ერ-ქვა. საქართველომ ამდენი ხნის მანძილზე მაპი ვერ დაიმსახურა მიუხედავად იმისა, რომ კოსოვოში, მალიში, ერაყში, ავღა-ნეთში ჩვენი კონტრიბუცია მსოფლიოში პირველ ადგილზეა. ჩვენი წვლილი სა-ერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეების გამოწვევასთან დაკავშირებით, ყველაზე მაღალია – 32 ჯარიკაცი შევწირეთ, 32 დედას ჩავაცვით ძაძები იმისთვის, რომ სამათხოვროდ გაგვეხადა საქმე და დღემ-დე გაგვეგრძელებინა კაკუნი არარსებულ კარზე, რომელიც ვერასოდეს გაიღება. ჩვენთვის ეს კარი არ არსებობს, განა ჩა-რაზულია, ეს უბრალოდ იმიტაციაა. რაც შეეხება მუდმივ ჩიჩინს, რომ ჩვენი არჩევა-ნი ევროატლანტიკურ სამხედრო ბლოკში გაწევრიანებაა, პირდაპირ გეტყვით, ჩვენი გაერთიანება და ლიდერი ნინო ბურჯა-ნაძე ევროატლანტიკური სკეპტიკოსები ვართ გამომდინარე იქედან, რომ ცრუ დაპირებების არ გვჯერა. ნატოს კარი საქართველოსთვის არასოდეს გაიღება. ამის ძალიან ბევრი წინაპირობა არსებობს, პირველ რიგში, ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რომელიც პირდაპირ განსაზღვ-რავს იმ ქვეყნის ნატოს რიგებში მიღების შეუძლებლობას, რომლის ტერიტორიაზეც კონფლიქტებია. თქვენი გაზეთის ფურც-ლებიდან პირდაპირ ვამბობ: თუ ვინმეს, გარეწარს და გათახსირებულს უნდა, რომ საქართველო ხელმოჭრილი და ფეხმოჭ-რილი ჩააბაროს ვიღაცას, მოჭრილი ტე-რიტორიებით, ჩვენს არჩევანს, ხალხთან ერთად, სისხლის ფასად დავიცავთ და ამას არ დავუშვებთ. არც თინა ხიდაშელს, არც ძმებ ბერძენიშვილებს, არც ნაცებს და სხვა მათ მონათესავე პოლიტიკურ ძალებს არ მივცემთ უფლებას ასეთი ქმედება გა-ნახორციელონ.

– თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდა-შელმა განაცხადა, რომ ნატოს ვარშავის სამიტის მერე, საქართველო ბევრად უფ-რო დაცული ქვეყანა იქნება. თქვენ თუ გრძნობთ თავს დაცულად?

– ეს, გასაჭირში მყოფი ადამიანე-ბის დასაბოლებლად, მორიგი ტყუილე-ბის კასკადია. რა თქმა უნდა, ნატოს პოლიტიკა, საქართველოსთან მიმართე-ბაში, უკვე გაცხადებულია. ნატომ შესა-ნიშნავად დაინახა, რომ ჩვენი დაჩაგვრა ადვილი შესაძლებელია და ასეც იქცევა. ნატოს რაც საქართველოსგან სჭირდე-ბა, მუდმივად იღებს – იქნება ეს ჩვენი ჩართულობა ნატოს სწრაფი რეაგირების ასეულის შექმნაში, ავღანეთში ქართუ-ლი ჯარის განუსაზღვრელი რაოდენო-ბით მონაწილეობა თუ პარალელურად, მალის რესპუბლიკაში ჩვენი უზარმაზა-რი კონტინგენტით მონაწილეობა. ნატო ჩვენგან ყველაფერს ღებულობს, საქარ-თველო – არაფერს. შესაბამისად, ამ გაბრიყვების პროცესს წერტილი უნდა დაესვას. ნატო ცრუ მოლოდინი, მირა-ჟია უდაბნოში. ნატოში ჩვენი წევრობა არ გამოვა, უბრალოდ, მონურ პოზი-ციაში ვიქნებით – ნატოს რაც ჩვენგან დასჭირდება წაიღებს, მაგრამ ჩვენ რომ რაღაც დაგვემართოს, თავს უბედურება დაგვატყდეს, მიტოვებულები დავრჩებით. 2008 წლის ომმა ნათლად დაგვანახა, რომ რეალური მხარდაჭერისთვის მზად არა-ვინ იყო. 2008 წლის აგვისტოს მოვლე-ნების მერე, 16 დეკემბერს აშშ-ში ვიყავი, უშუალოდ ჩამოვართვი ხელი ჰილარი კლინტონს და სახელმწიფო დეპარტამენ-ტის მდივნად არჩევა მივულოცე. რვა დღე ვცხოვრობდი ამერიკის ყოფილ ელჩთან საქართველოში ბილ უილიამ კორტნის-თან და კარგად დავინახე ამერიკული ოფიციოზის მხრიდან ჩვენი მისამართით შექმნილი ვითარება. როცა სამხედრო-მა-ტერიალური თვალსაზრისით დახმარებას ვითხოვდით, რადგან მტერი 30 კილო-მეტრში იდგა, ისინი საპასუხოდ გვეუბ-ნებოდნენ – დაივიწყეთ ომი, თქვენ, ახლა ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაზე, ეკონომიკურ აღმავლობაზე და ა.შ. უნდა იფიქროთო. მათი პოზიცია იყო – ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთო! ამას გვეუბნებოდა ჰილარი კლინტონიც, ბილ კორტნიც და სხვა მაღალი რანგის პოლიტიკოსები. მაშინ, ჩემთან ერთად იმყოფებოდა დღევანდელი კონტროლის პალატის ხელმძღვანელი ლაშა თორდია, ჩიორა თაქთაქიშვილი და ა.შ. ასე, რომ იქ, ერთს გვეუბნებიან, აქ, კი ხალხს სამ-ხედრო შეიარაღებული თავდაცვითი სის-ტემებით აბოლებენ. რომელ თავდაცვით სისტემებზე ვსაუბრობთ? – გიუმრიში, აფხაზეთში, ცხინვალში უკვე დგას S300-ები, საქართველოს ცა მთლიანად გადა-კეტილია. მთლიანად ჩაკეტილია ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე, ჩიტიც ვერ შემოფრინდება, რაც შესანიშნავად იცის აშშ-ს ფლოტმა და მისმა არმიამ. ასევე, იცის თურქეთმა, რომლის პრეზიდენტმა როგორც პოლიტიკოსმა, რუსეთ-თურ-ქეთის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის კუთხით, საკუთარი იმიჯის ფასად, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა – ბოდიში მოიხადა. მხოლოდ თურქეთის მესამე საველე არმია 1 მილიონ ჯარის-კაცს შეადგენს. როგორც კალიები ისე შეიძლება შეესიონ ნებისმიერ მოსაზღვრე ქვეყნის ტერიტორიას. ასეთი სახელმ-წიფო რუსეთის ფედერაციას ბოდიშებს უხდის. ამ დროს თინა ხიდაშელის – ტუ-ტუცი დედაკაცის სამხედრო რიტორიკას უნდა შეეწიროს ჩვენი მომავალი პოლი-ტიკური და დიპლომატიური ინტერესები?

– ბატონო დიმა, ბოლოს, მინდა გკ-ითხოთ რამდენად გამაღიზიანებელი იქ-ნება რუსეთისთვის ის მხარდაჭერა და თანაშრომლობის პაკეტები, რასაც ამ ეტაპზე ნატოსგან და აშშ-სგან მივიღებთ?

– რა თქმა უნდა, გამაღიზიანებელი იქნება გამომდინარე იქედან, რომ ნატოს სამიტზე მიღებული იქნა ერთი მნიშვნე-ლოვანი გადაწყვეტილება – ნატოს წევრ სახელმწიფოებს ჩერნოგორია დაემატა. ამ აქტის შემდგომ კი ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს ოთხი ბატალიონი დაემა-ტა. ეს ნატოს მხრიდან რუსეთის წინააღ-მდეგ მორიგი ტაქტიკური სვლაა. რა თქმა უნდა, რუსეთი ასეთ ნაბიჯებს რეაგირე-ბის გარეშე არ ტოვებს, მას უზარმაზარი სამხედრო პოტენციალი გააჩნია. სულ ცოტა ხნის წინ, ძალაში შევიდა რუსე-თის ფედერაციის ფედერალური კანონი, რომლის ფარგლებშიც ე.წ. ეროვნული გვარდია შეიქმნა. მისი დაფუძნებისთანავე, რამაც ერთმანეთში რამდენიმე სამხედრო ინსტიტუცია გააერთიანა, სამხედრო მო-სამსახურეებისთვის 150 ათასი სამუშაო ადგილი გაჩნდა. ანუ, ნებისმიერ ტაქტი-კურ ქმედებაზე, რუსეთს თავის პასუხი აქვს. მაშინ, როცა ეგონათ, რომ რუსეთს სანქციებით მიწასთან გაასწორებდნენ, სი-ნამდვილეში, მან ახალი შესაძლებლობები გამონახა, ახალი პოტენციალი შექმნა და პატრიოტული მოტივით სრული მობილი-ზაცია გამოაცხადა. ასე, რომ ასეთი ტი-პის სანქციები რუსეთს კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს, რასაც უკვე ევროპის კონტინენტზე კარგად ხედავენ. კვიპრო-სის პარლამენტმა რუსეთის ფედერაციას ერთსულოვნად მოუხსნა სანქციები. სან-ქციების მოხსნის მნიშვნელობაზე ალაპა-რაკდა საფრანგეთის პრეზიდენტიც, ასე-ვე, ანგელა მერკელიც. ამით ყველაფერი ნათქვამია. ამ ყველაფერს საქართველოს ინტერესები ეწირება, რომელიც რუსეთის კარის მეზობელია. როდესაც რვა სარ-თულიან კორპუსში ვცხოვრობთ და უთო გვჭირდება, მესამედან მერვეზე არ ავდი-ვართ, არამედ მეოთხეზე. ჩვენ მუდმივად, უკვე 25 წელია, გვაიძულებენ, რომ სახუ-რავზე ვიაროთ, იქ, სადაც არც უთოა და არც არაფერი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ირაკლი ვაშაყმაძე

სად ხარ, ჩემო საქართველო...

ერთმანეთის ჭამა-კვლაში
ვაღამებდით, ვათენებდით,
ტიკები ვართ დაბერილი,
აღარა ვართ ქართველები...

საშოგამხმარ დიაცების
ქაქანი და გნიასია,
ამ ჩვენს მთა-ბარს ეს მკბენარი
ვინ ოხერმა მიასია!

ეკრანიდან ვნახე გუშინ
ძუძუების გადმოფრენა,
დუნდულების კორექცია,
დუნდულების გამოფენა.

მერე იყო... კნავილი და...
ჩხავილი და... ბარდის ქია...
ტიკჭორების ქვეყანაში
თურმე ყველა არტისტია...

პარლამენტში — ყაყანეთში,
სულ ერთმანეთს მუსრი ავლეს,
ამ გიჟებმა იმ ავსულებს
სახე დაუსისხლიანეს.

იყო ჟამი... ცაში ვფრენდით,
მტერს და ორგულს მოვიფრენდით...
დღეს კი... გვმოძღვრავს ბატისტვინა
„სექსაობით“... „ბოიფრენდით“...

სად ხარ, ჩემო სამეგრელო?
ტაო-სამცხე-ჯავახეთო,
გურია და აფხაზეთო,
რაჭა-აჭარა-სვანეთო,
ჰერეთო და ხევსურეთო,
კლარჯეთო და ერუშეთო!

სად ხარ, ჩემო საქართველო?
მენატრები, რა ხანია!
ტანზე მუმლი მოგხვევია,
ირგვლივ სიცილ-ხარხარია!
გაიღვიძე შემოგევლე!
გაიღვიძე მახარია!

მაცხოვრისკენ გაიხედე!
მჯერა, შეგვიწყალებს ღმერთი,
თორემ... დედა-საქართველოვ,
დაგერქმევა დუნდულეთი!

17.06.2016.

ასლან ფაღავა:

ქვეყანა, რომელსაც მთელი ევროპის მოგებარაგება შეუძლია მინისტრებით...

გვესაუბრება პოლიტიკური კლუბი „მომავლის გზის“ გამგეობის თავმჯდომარე ბატონი ასლან ფაღავა.

– ბატონო ასლან, რამდენიმე დღის წინ სოციალური ქსელით ხელისუფლებას მიმართეთ – „აჭარლებს ქირდად ნუ იღებთ“-ო, რას გულისხმობდით და რას ნიშნავს „ქირდად აღება“?

– „ქირდად აღება“ აჭარული დიალექტით გამასხარავებას, არაფრად ჩაგდებას ნიშნავს. ეს სიტყვები კი მაშინ გამახსენდა, **ზურაბ პატარაძე** რომ დანიშნეს აჭარის მთავრობის ხელმძღვანელად.

ხაბაძის შეცვლამ, შეიძლება, ვინმეს იმედი გაუჩინა, რომ რაღაც შეიცვლებოდა აჭარაში, მაგრამ იქაურობისთვის სრულიად უცხო ადამიანის დანიშვნა, რომელმაც, აჭარაზე, ფაქტობრივად, არაფერი არ იცის, პოლიტიკურ წრეებში არ იცნობენ, საქმე როგორ უნდა გააკეთოს. რა ვიცი, იქნება აქვს რაიმე ფარული უნარები და გამოავლენს.

– ამბობენ, ნაციონალების ძველი „კასირები“ ახლა „ოცნებაში“ არიან მოკალათებულებიო, რას იტყვით ამაზე?

– თქვენ, ალბათ, ნახეთ ბიზნესმენების ბოლო შეკრება. ვინ იჯდა იმ დარბაზში – **ჯყონია, ხაზარაძე, გილაური** და მთელი ის ჯგუფი, რომლებიც, იმის გარდა, რომ აფინანსებდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“, მონაწილეობდნენ ყველა ბნელ ოპერაციაში, რომლითაც საქართველოში მოისპო ბიზნესი, მავნებლობდნენ და მიზანმ[illegible]



არ უნდა წავართვათ, მაგრამ ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შექმნეს თავის დროზე, დაწყებული 2005 წლიდან, მიზანმიმართულად, იმ ამოცანას დაუქვემდებარეს, რომ მთლიანად, მთელი საქართველოს მოსახლეობის ქონება, უნდა გადასულიყო იმ პირების ხელში, ვისაც პოლიტიკური ინტერესი ჰქონდა.

ეს კანონმდებლობა დღესაც მუშაობს. ერთი მუხლიც კი არ შეცვლილა.

90-იან წლებში საქართველოს ხელისუფლების აბსოლუტურ უმრავლესობას გადაეცა ქონება უსასყიდლოდ. როცა ნაცები მოვიდნენ ხელისუფლებაში, აღმოჩნდა, რომ საქართველოს ხელისუფლების უმეტესობა ფლობდა უძრავ ქონებას, ჰქონდა ფინანსურ-ეკონომიკური საყრდენი და არ იყო დამოკიდებული ვიღაცების პოლიტიკურ ინტერესებზე. იმიტომ დაიწყო მიზანმიმართული მოქმედებები, რომ ხალხს ქონება დაეკარგა.

თუ გახსოვთ, 2004-05-06 წლებში ბანკები როგორ ამუშავდა. მაგრამ სანამ ბანკები აქტიურად დაიწყებდნენ მოქმედებას, საჭირო იყო მსხვილი საფინანსო კორპორაციების შექმნა – საშუალო ბანკებს წაართვეს ქონება, გააკეთეს რამდენიმე მსხვილი ბანკი, მათ შორის, ორი გამოაცხადეს ფლაგმანად – საქართველოს ბანკი და თი-ბი-სი ბანკი. ამ ბანკებმა აამუშავეს ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკა. სახელმწიფოს გარანტიით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ხ[illegible]

ხების სახით და ა. შ.

ნაციონალები ჩვეულებრივი ყაჩაღებივით იქცეოდნენ – დააპატიმრებდნენ ვინმე საქმიან კაცს, ეტყოდნენ, მოგვიტან ფულს ამდენს და ამდენს. ის პასუხობდა, რომ არ აქვს ეს თანხა – მაგრამ ქონება გაქვს, წახვალ „საქართველოს ბანკში“, ჩადებ ამ ქონებას, მოგცემენ ფულს და მოიტან ჩვენთანო, ეუბნებოდნენ. ბიზნესმენს მიჰქონდა ფული, თუმცა ის მაინც ციხეში ხვდებოდა, რითაც ვერც ქონებას გამოიხსნიდა და ბოლოს რჩებოდა უსახლკაროდ.

მომრავლდა მიკროსაფინანსო ბანკები, თუმცა ამ ახალი ბანკების დამფუძნებლები არიან მსხვილი ბანკების მეპატრონეები ან მათი ტოპ-მენეჯერები. დავუშვათ, მომხმარებელმა ბანკში ვერ გადაიხადა სესხის გადასახადი, დაუგროვდა და არ იცის, რითი გადაიხადოს, ბანკში ეუბნებიან, მიდი მიკროსაფინანსო ბანკში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღებ თანხას, ოღონდ უფრო მაღალ პროცენტში. მომხმარებელი იძულებულია აიღოს ეს ვალიც და რამდენიმე თვეში მთელ ქონებას კარგავს ისე, რომ ფულს, რომელიც მის სახელზე „ტრიალებს“, თვალითაც ვერ ხედავს, ანუ, პრაქტიკულად, ადამიანს შეეძლო აეღო 5 000 დოლარი სესხად და ისე დადებოდა 100 000 დოლარი ვალი, აზრზეც ვერ მოდიოდა. რომ ამბობენ, სად წაიღო ეს ფული, რომ შეჭამა, რას ფიქრობდაო და ა.შ. სინამდვილეში, იმ ადამიანს ის ფული უბრალოდ, არც კი უნახავს.

საფუძველი ჩაუყარეს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ნაყოფს აძლევს იმ ხალხს, ვისთვისაც სწორედ საფუძველი ჩაეყარა ამ უსამართლობას.

ფინანსურ ნაკადებს საქართველოში, გგონიათ, ახალი ძალები აკონტროლებენ? ისევ „საქართველოს ბანკი“ და იგივე შემადგენლობა, ისევ „თი-ბი-სი“ და მისი შემადგენლობა. ოთხი ბანკირი მონაწილეობს დახურულ ვაჭრობაში, ატარებენ რამდენიმე ათასი დოლარის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციას და რა კურსიც ხელს აძლევთ, იმას აცხადებენ ბაზარზე – აქ არ აისახება სავალუტო ბაზრის ქცევა. რამდენიმე ბანკი ადგენს კურსს იმის მიხედვით, ყიდვა სჭირდებათ იმ მომენტში, თუ გაყიდვა, ისევ იმ ადამიანების ხარჯზე, რომლებიც წვალობენ და საკუთარი ოფლით სურთ იარსებონ.

საქართველო გამოცხადდა მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საშუალო და მაღალშემოსავლიან ქვეყნადო.

ნამუსი ხომ უნდა გქონდეს, ეს რომ თქვა.

როცა მინისტრი ღებულობს 5 და 6 000, რამდენია უბრალო მოქალაქის შემოსავალი?!

კი, ბატონო, სჭირდება მინისტრს ამხელა ხელფასი, მაგრამ რა ქნას მაღაზიის გამყიდველმა, სოფლიდან ჩამოსულმა სტუდენტმა, ბინის ქირაც რომ უნდა გადაიხადოს, უნდა ისწავლოს და თავიც ირჩინოს?!

– სოფლელები სოფელში რომ დასაქმდნენ, ბევრად განტვირთავს ქალაქს, ეკონომიკური დისპროპორციებიც შეიცვლება.

– რას ამბობთ. რა ქნას ახალგაზრდამ სოფელში, მას სჭირდება განათლება, განვითარების პერსპექტივა, სწავლა უნდა, ცხოვრება, ეს ჩვეულებრივი ამბავია – ადამიანები ურბანულ ცენტრებში ჩამოდიან პერსპექტივისთვის, განათლებისთვის. უკან რომ დაბრუნდეს, სოფელმა რამდენი უნდა აიტანოს?! სოფელი მოსახლეობის 54% ვერც გამოკვებავს და ვერც დაასაქმებს. ვინც ამას ამბობს, ეს არის ბლეფი, სრული ტყუილი. მაქსიმუმ, 7% შეიძლება სოფელმა ნორმალურად აცხოვროს.

– გამოდის, რომ ყველამ ქალაქში უნდა მოიყაროს თავი? ეს კატასტროფა იქნება.

– არა!. უნდა შეიქმნას პატარა და საშუალო ქალაქები, ურბანული ცენტრები, სადაც ადამიანები იცხოვრებენ ადამიანურად. სოფელში ჩასატარებელ სამუშაოებს მოწინავე ტექნოლოგიებით მაქსიმალურად ეფექტურად განახორციელებენ და ა. შ. თოხით აშენებული ეკონომიკა არ არსებობს.

– თქვენ წლების განმავლობაში აჭარაში საპასუხისმგებლო თანამდებობები გეკავათ. რა არის დღეს აჭარის განვითარებისთვის პრიორიტეტი?

– ასე ხელაღებით არ შეიძლება თქმა, რადგან სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა პრიორიტეტები არსებობს.

მაგალითად, აჭარის თვითმმართველობაში, რომელიც საერთოდ არ არის მიახლოებუ-

ლიც კი თვითმმართველობასთან. არ აქვს თავისი ბიუჯეტი, არ იცის, რა შემოსავლები აქვს, ვერ გამოსცემს ვერანაირ ნორმატიულ აქტს, რომელიც დაარეგულირებს ეკონომიკის განვითარებას, კულტურის და ა.შ.

ავიღოთ აჭარის ხელისუფლების თავმჯდომარე, ვინ არის ის? სინამდვილეში, არავინ, რადგან ვერაფერს ვერ გააკეთებს ცენტრალური ხელისუფლების გარეშე.

მე ვიცი, რაც ჩაიფიქრეთ ამ შეკითხვაში და გიპასუხებთ – მე რომ აჭარის ხელისუფლება მეპყრას, ავტონომიას თუნდაც სახელი საერთოდ გაუუქმდეს, თვითმმართველობა უნდა გაძლიერდეს და საერთოდ, ყველა რეგიონი უნდა იყოს დამოუკიდებელი, დამოუკიდებლად უნდა განსაზღვრავდეს პრიორიტეტებს.

მოკლედ, ძლიერი ცენტრალური თვითმმართველობა უნდა ჩამოყალიბდეს, ადგილებზეც თვითმმართველობები უნდა დაფუძნდეს...

შეიძლება არასწორი და რამდენადმე არასასიამოვნო შედარებაა, მაგრამ მახსოვს, 90-იან წლებში, აფხაზეთის თავკაცებიც იგივეს ითხოვდნენ, თბილისისგან დამოუკიდებლად მოგვვეცით ჩვენი ქონების გამოყენების შესაძლებლობაო.

მაგ პერიოდში შეიქმნა აფხაზეთთან ურთიერთობის ჯგუფი, ჯგუფის ხელმძღვანელი მე ვიყავი. სერგეი ბაღაფში იყო მაშინ მთავრობის თავმჯდომარე. აფხაზები ითხოვდნენ – მოგვეცით აფხაზეთის ბიუჯეტის განკარგვის საშუალებაო. ისინი არც კი ფიქრობდნენ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას.

– თუმცა მე მაინც დღევანდელი ბიზნესმენების თემას უნდა მივუბრუნდე. ბევრი ბიზნესმენი ციხეში ჩასვეს, ბევრი მოკლეს. ვინც დღეს არსებობს, მათ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს, სხვა რა უნდა ექნათ?

– რა უნდა ექნათ და უნდა დაეფინანსებინათ რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტია. მართალია, არ არსებობდა რეალური და სერიოზული პოლიტიკური ძალა, მაგრამ არ არსებობდა იმიტომ, რომ არ იყო ფული. ფული რომ ყოფილიყო ელემენტარული პოლიტიკური პროცესებისთვის, იმ ზომამდე არ მივიდოდა ხელისუფლება, ისე ვერ გათავხედდებოდა და იმ საშინელ წლებსაც არ გავივლიდით.

ბიზნესმენების აბსოლუტური უმრავლესობა შეეცადა საერთო ენა გამოენახა საკაშვილთან და მის რეჟიმთან, დღეს ბიძინა ივანიშვილის გვერდით იღერებს ეს ხალხი ყელს. მათ კისერზეა ქართველი ხალხის გაღატაკება.

თავისუფალ ბაზარზე ლაპარაკობენ.

გარდა უვიცობისა, ესაა დემაგოგია. თავისუფალი ბაზარი საჭირო და აუცილებელია, მაგრამ გარკვეული სოციალური პირობების მინიჭებაც გარდაუვალი აუცილებელობა გახლავთ. ყველა ქვეყანაში არის მკაცრი რეგულაციები. თვით ამერიკაშიც კი, უდიდეს გიგანტს „ჯი-პო-აი-მორგანს“, 6 მლრდ გადაახდევინეს იმ ადამიანების სასარგებლოდ, რომლებსაც ზიანი მიაყენეს.

იპოთეკური კრიზისი მძვინვარებს საქართველოში და რომელიმე ბანკმა პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო? ან ვინმეს მოეკითხა პასუხი? ამაზე ვლაპარაკობ.

რაც დღეს ხდება, ეს არაა არც საბაზრო ეკონომიკა, არც მართვადი ეკონომიკა და არც არაფერი. ესაა თვითდინებაზე მიშვებული სისტემა, სადაც რამდენიმე ადამიანმა უკვე შეძლო ფინანსური ნაკადების კონტროლის ხელში ჩაგდება. მათ ყოველთვის აქვთ პოლიტიკური ინტერესები, რომელიც არ გამოიხატება საგარეო ორიენტირებში. მათი ინტერესია, მეტი გავლენები შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, რათა მოახდინონ ძალაუფლების რეალიზაცია ფულში.

– ვინ არიან ამ ფინანსური ნაკადების მფლობელები?

– იგივე **გილაური, „თი-ბი-სი“ ბანკი, „ვისოლ-ჯგუფი“** და ა.შ. **შევარდნაძის** ჯგუფთან ერთად, რომლებიც საკაშვილმა ხელუხლებელი დატოვა.

იცით, ვინ აკონტროლებს სუფსის ტერმინალს?

ზუსტად არ იცით! დიახ, გადანაწილებული აქვს რამდენიმე ჯგუფს და არსებობის საშუალებას არ აძლევენ სხვებს.

მძვინვარებს ოლიგოპოლია ქვეყანაში.

– რითი შეიძლება ყოველივე ეს დასრულდეს?

– ეს იქნება სრული სოციალური კატასტროფა.

1 200 000 ადამიანი უკვე ითხოვს სოციალურად დაუცველის სტატუსს, მილიონი ღებულობს პენსიას, დანარჩენი 300 000 მუშაობს, თუ ამას მუშაობა ჰქვია და ეს 300 000 ადამიანი არჩენს 2 მლნ 400 000 ადამიანს. მეტიც, საარჩევნო კომისიის ბოლო მონაცემებით, 30 000 ადამიანი მისამართის არმქონეა, ანუ ამ ადამიანებს საცხოვრებელი ადგილი არ აქვთ, ნაქირავები ბინებიც კი არა. 30 000 საერთოდ მიუსაფარი ადამიანი გვყავს, რომელიც თავის მისამართს ვერ უთითებს. 70 000-ზე მეტს ქონება წაართვეს.

სწორედ ბანკებმა შექმნეს ამდენი უსახლკარო და ღატაკი ადამიანი.

600 000 ადამიანი რეესტრში მითითებულია, როგორც არაგადამხდელი, რომელსაც როცა რაიმე საშუალება მიეცემა, მაშინვე ბანკების ვალები და პროცენტები უნდა იხადოს.

– სასტუმროების მშენებლობის ბუმია ქვეყანაში. ანუ აქცენტს ვაკეთებთ გარედან შემოსულ ფულზე?!

– დიახ, ადგილზე ფულის შოვნა უფრო ძნელია, ვიდრე გარედან შემოტანა, თუმცა გარედან ფულის შემოტანა ეკონომიკისთვის, თავისთავად, ცუდი არ არის თუ თვით ეს ეკონომიკა სწორი გზით განვითარდება.

მიმაჩნია, რომ, მაგალითად, უნდა შეიქმნას საინვესტიციო ან საადგილმამულო ბანკი, რათა ადამიანებმა ცოტათი მაინც ამოისუნთქონ. ამ ბანკებმა უნდა იმუშაონ „სუფთად“, კანონმდებლობის ფარგლებში, დააფინანსონ პროექტები და ალტერნატივა გაუწიონ დღევანდელ მევახშეებს.

– ბატონო ასლან, ბოლო წლებია სულ ლაპარაკობენ სამართლიანობის აღდგენაზე. როგორც ვხედავთ, ეკონომიკასაც არა და არ ეშველა, რა არის მიზეზი.

– როდესაც საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე, სულ მიკვირს ეს. რომელი სამართლიანობა უნდა აღდგეს, ის, რომელიც არ არსებულა? საქართველოში სამართლიანობა უნდა დამკვიდრდეს. დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მართალი უნდა გამართლდეს, დოკუმენტურად უნდა დასაბუთდეს ეს და ვერავინ ვერ გვეტყვის ვერც ქვეყნის გარედან და ვერც შიგნიდან, რომ რაღაცას არასწორად ვაკეთებთ.

– აბა, რატომ არ აღდგება კი არა, მკვიდრდება სამართლიანობა? რატომაა მუდმივი არასტაბილურობა?

– რამდენიმე ვარიანტია. ქვეყნის ხელმძღვანელობას ან ზედმეტად თავის ატკიება და გარჯა არ უნდა, ან რაღაცის ერიდებად და ურჩევნია სხვა ქვეყნის ელჩს ჰკითხოს, როგორ უნდა მოიქცეს კონკრეტულ შემთხვევაში.

უცოდინარობაც თამაშობს გარკვეულ როლს და ბიუროკრატიული კიბის მიზიდულობა. უბრალო კაცმა, რომელიც მთელი ცხოვრება ოცნებობდა კაბინეტი ჰქონოდა, სავარძელი, მანქანას მოეკითხა, ბოლოს და ბოლოს, თამადად დაესვათ დიდ სუფრაზე, მოიწყო ცხოვრება და უნდა ახლა თავის ტკივილი? ურჩევნია იყოს ჩუმად, ყურადღება არ მიიქციოს, არაფერი აკეთოს, ვინმეს თვალში რომ არ მოხვდეს, არც რამეს აკეთებს და არც აფუჭებს, ასე იქცევა მისი ხელქვეითიც, იმ ხელქვეითის ხელქვეითიც და ვართ ასე.

– მიშას იცნობთ, ბატონო ასლან?

– კი, საკმაოდ კარგად და პროექტებზეც გვიმუშავია ერთად პარლამენტში.

– როგორ ფიქრობთ, გარისკავს მიშა და ჩამოვა საქართველოში?

– არავითარ შემთხვევაში. ეს არის ტყუილი, რადგან არჩევნებს ნაციონალები ვერ მოიგებენ.

ამ არჩევნებით ბევრი რამ გაირკვევა, პოლიტიკური სივრცე თანდათან იხსნება.

ჯორჯ ლოიდი ამბობდა საქართველოზე: ეს ის ქვეყანაა, რომელსაც მთელი ევროპის მომარაგება შეუძლია მინისტრებითო.

გარწმუნებთ, მხოლოდ გურია ეყოფა მთელ ევროპას, კარგი მინისტრებით და პოლიტიკოსებით რომ უზრუნველყოს.

ამით იმის თქმა მინდა, რომ უზარმაზარი ინტელექტუალური რესურსი აქვს საქართველოს, მაგრამ ეს რესურსი ქვეყნის აღმშენებლობას ვერ ხმარდება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სექტემბრიდან თბილისში ახალი ავტობუსები ივლის

სექტემბრიდან თბილისში ახალი ავტობუსები ივლის. შესაბამის ხელშეკრულებას ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „Man Truck and Bus AG“-სთან ხელი დღეს მოეწერა.

მერიის ცნობით, ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 7 თვისა თბილისის ავტოპარკი ჯამში, ეტაპობრივად 143 ერთეული ავტობუსით განახლდება. ევროსტანდარტების შესაბამისი ავტობუსები სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და აღჭურვილი იქნება CNG საწვავზე (ბუნებრივი აირი) მომუშავე ძრავებით, რაც დიზელთან შედარებით უფრო მცირე რაოდენობის მავნე გამონაბოლქვს გამოყოფს, შემცირებულია ნახშირბადის მოცულობა, არ გააჩნია შავი კვამლი და უსიამოვნო სუნი.

„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ. პროექტის ფარგლებში, EBRD-ის დაფინანსებით გამოცხადებული ტენდერის შესაბამისად, გამარჯვებულმა კომპანიამ 143 ერთეული 12 მეტრიანი, ადაპტირებული ავტობუსი უნდა შემოიყვანოს. მოწოდება მოხდება ეტაპობრივად, 7 თვის განმავლობაში. მნიშვნელოვანია, რომ ავტობუსები არის სრულიად უსაფრთხო, ბუნებრივ აირზე მომუშავე, რაც განაპირობებს საწვავის ეკონომიას, ასევე, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შემცირდება გამონაბოლქვი. ასეთი ტიპის ავტობუსები ჩვენს ქალაქს არასდროს ჰყოლია, ამიტომ, ერთის მხრივ, ეს არის, პრაქტიკულად, პირველი ნაბიჯი იმისკენ, რომ ევროპული ტიპის მუნიციპალურმა ტრანსპორტმა იაროს თბილისში და ჩვენი თანამოქალაქეები უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილდნენ, მეორეს მხრივ კი, ქალაქის ბიუჯეტი დაზოგავს თანხას ავტობუსების მომსახურებასა და საწვავით უზრუნველყოფაზე,“- განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

ევროსტანდარტების შესაბამისი, ახალი, ეკოლოგიურად სუფთა და ადაპტირებული ავტობუსები ივლის ქალაქის მასშტაბით არსებულ გრძელ დისტანციებსა და ფართო გამტარუნარიანობის ქუჩებზე.

ფიქრები ქართული ენერგეტიკის შესახებ

(დასასრული. დასაწყისი. იხ. „სგ“ N24)

ვაგრძელებთ ინტერვიუს „ჰიდროპროექტის“ ყოფილ დირექტორთან, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ **ანზორ ჟითანავასთან**. რესპოდენტმა პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო ამ ორგანიზაციაში მუშაობა, თუმცა სანამ დირექტორი გახდებოდა, ხუთი წელი ენგურჰესის მშენებლობაზე იმუშავა და ხუთივე აგრეგატი მისი უშუალო მონაწილეობითაა გაშვებული. როგორც წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ ამ გიგანტურ ჰიდროელექტროსადგურს მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. რაში გამოიხატება ენგურჰესის უნიკალურობა, ამ თემაზე საუბარი იმიტომ ჩავთვალეთ, რომ მავანნი საზოგადოებას არწმუნებენ, შეიძლება ერთ დღეს კაშხალი გასკდეს და წყალსაცავიდან მოვარდნილმა წყალმა ნახევარი საქართველო წალეკოსო.

ანზორ ჟითანავა: „ენგურჰესის მშენებლობა 1961 წელს ვასილ მჟავანაძის ცეკას მდივნობის დროს, მისი უშუალო ინიციატივითა და მხარდაჭერით დაიწყო. ენგურის თაღოვანი კაშხალი სპეციალური ცემენტითაა აშენებული, რომელსაც რუსთავის ცემენტის ქარხანა ცალკე ამზადებდა, რომელსაც ენგურის ჰიდროტექნიკური ცემენტი ერქვა. ამ ცემენტის რეცეპტიც ქართველების მიერაა შექმნილი, სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი ენერგეტიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელი პეტრე წულუკიძე გახლდათ. სპეციალური ცემენტის წარმოება იმიტომ გახდა საჭირო, რომ ენგურის წყალს აგრესიული თვისებები აქვს, რეაქციაში შედის ცემენტის გარკვეულ დანამატებთან, რის გამოც ბეტონი იფიტება. ეს პროცესი რომ არ განვითარდეს, ცემენტს სპეციალური დანამატი დიატომიტი ჭირდება, რომელსაც გამწმენდი, საფილტრო უნარი აქვს და კვების მრეწველობაშიც გამოიყენება. ენგურჰესის ხარჯზე შესწავლილი იქნა დიატომიტის კარიერი ახალციხეში, მოპოვებული მასალა რუსთავში იგზავნებოდა, კირქვასთან და სხვა დანამატებთან ერთად იფქვებოდა და ცემენტი ცალკე კონვეიერზე მზადდებოდა. ეს სამუშაოები უზარმაზარი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა, რასაც მშენებლების გარდა, სხვა ინსტიტუტებიც ახორციელებდნენ, მაკონტროლებელთა რაოდენობა ცვლაში 20-დან 25 კაცამდე იყო, 24-საათიან რეჟიმში კონტროლდებოდა, როგორც კარიერიდან ინერტული მასალის ამოღება, ისე საბაგირო გზით მისი გადაადგილება, დაფქვა, ბეტონის არევა და ჩასხმა. როგორც კი დამთავრდებოდა ჩასხმის პროცესი, ყველა ბლოკიდან ხდებოდა კუბიკების ამოღება, რომელთაც 28, 180 და 360-დღიან რეჟიმში უტარდებოდა გამოცდა, თუ პირობებს აკმაყოფილებდა, მხოლოდ ამის მერე ხდებოდა ბეტონის მეორე ფენის დადება. ყოფილა შემთხვევა, როცა ამოგვინგრევია ბლოკები, რომელთა მოცულობა 1500-დან 2500 კუბამდე იყო და ახალი ბეტონი ჩაგვისხია, რადგან რაღაც მინარევების გამო, რომელიც უსუფთაობის გამო გაიპარა, პირობებს არ აკმაყოფილებდა. იყო შემთხვევა, როცა ავზი, რომელშიც მანამდე დიზელის საწვავი ესხა, არ გარეცხეს და ისე ჩაასხეს შაქრის ჭარხლიდან გამოღებული სითხე, რომელსაც იმისთვის იყენებენ, რომ ბეტონი ჩქარა არ შეიკრას. უშიშროების სამსახურმა მომწერა, რომ ასეთი რაღაც მოხდა და 800 კუბი ბეტონი ამოვანგრიეთ. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათი იყო, საბოლოო ჯამში თაღოვანი კაშხლის ტანში ჩასხმული ოთხი მილიონი კუბი ბეტონიდან, დაახლოებით 150.000 კუბ.მეტრი უხარისხობის გამოა დაწუნებული და წარმოებიდან ამოღებული, რომელსაც შემდეგ სამოქალაქო მშენებლობისთვის იყენებდნენ, რადგან იქ არ ქმნიდა პრობლემას. ასე რომ, ენგურჰესი ჩვენი მეცნიერებისა და პროფესიონალი მშენებლების უდიდესი ცოდნისა და დამსახურების შედეგია, რომლის მშენებლობაც მუდმივი კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობდა. იმიტომაც არ აქვს დღემდე ანალოგი. ზოგიერთი ამბობს, სიმაღლის მიხედვით ხომ აღარ არის ენგურის კაშხალი პირველ ადგილზეო. 2013 წლამდე თაღოვან კაშხლებში სიმაღლითაც მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო, მაგრამ მერე ჩინელებმა უფრო მაღალი კაშხლები ააშენეს, თუმცა ენგურჰესი ყველას ჯობნის 1 კვტ დადგმულ სიმძლავრეზე და 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის გამომუშავებაზე მოსული ბეტონის რაოდენობით, რასაც ინჟინრულად აგებულების კოეფიციენტს ვეძახით, ე.ი. მასალების ხარჯვის, ყაირათიანობის და საპროექტო გადაწყვეტილებების თვალსაზრისით ითვლება უნიკალურად. გარდა ამისა, ეს კაშხალი პრინციპში კუმშვაზე უნდა მუშაობდეს, გაჭიმული ზონები არ უნდა იყოს, ასეთ კაშხლებში გაჭიმული ზონები არ უნდა იყოს. ასეთი მაჩვენებლები ბევრია არა მარტო თაღოვან კაშხალში, არამედ და სხვა ნაგებობებზეც, რომლითაც ენგურჰესი გამოირჩევა მსოფლიოში არსებული სხვა ნაგებობებისგან. ამას ტრაბახით არ ვამბობ, უბრალოდ ძალიან მინდა, რომ ჩვენი ყველა ნაგებობა ამ პარამეტრებით იზომებოდეს და ფასდებოდეს ექსპერტების მიერ, ამის მერე გაიცეს მშენებლობის ნებართვა. ობიექტის კონკურენტუნარიანობას ხსენებული მახასიათებლები განსაზღვრავს და არა ის თანხა, რაც მის პროექტირებასა და მშენებლობაზე დაიხარჯა. მახასიათებლების მიხედვითაა უნიკალური ენგურჰესი, რის შესახებაც ყველგან იწერება, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია „მაღალი კაშხლების კომისია“, სადაც ორ წელიწადში ერთხელ იკრიბებიან სპეციალისტები, ხდება განხილვები, 1980-2000 წლების პერიოდში ენგურის თაღოვანი კაშხლის შესახებ პუბლიკაციები პირველ ადგილზე იყო თავისი ორიგინალური გადაწყვეტილებებით და მიმზიდველობით, რაც დღესაც კონკურენციაშია სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან. უკვე 37 წელი გავიდა, რაც მთლიანად შევიდა ექსპლუატაციაში ენგურჰესი და საპროექტო გადაწყვეტილებები და წინაპირობა, რომელიც ჩადებულია პროექტში, პრაქტიკულად იდენტურია იმისა, რა მაჩვენებლებსაც ეს ნაგებობა დღეს იძლევა, სამშენებლო საქმიანობაში არის გამოთქმა, რომ თეორიულ გამოკვლევებს, პრაქტიკული შედეგების მიხედვით ვაკორექტირებთ და უფრო სრულყოფილს ვხდით, ენგურჰესის შემთხვევაში თეორიული და პრაქტიკული შედეგები ერთმანეთს ემთხვევა, რაც მთელი საბჭოთა კავშირის დამსახურებაა, რადგან ყველა საკავშირო სტრუქტურა იყო ჩართული ამ საქმეში. ენგურჰესის ავტორი „ჰიდრპროექტი“ იყო, რომელსაც მაშინ თადეოზ გეგელია და ალექსანდრე ლოსაბერიძე ხელმძღვანელობდნენ, ინსტიტუტში ორივე ჩემი მასწავლებელი იყო. 1961 წელს მუშაობა რომ დავიწყე, იმ ჯგუფში მიმიღეს, რომელსაც ენგურჰესის პროექტის მთავარი ინჟინერი ირაკლი ამირეჯიბი ხელმძღვანელობდა. ეს ადამიანები იყვნენ პიონერები, თუმცა მერე უამრავი ხალხი ჩაერთო, ჩვენი მლიქვნელობის ამბავი მოგეხსენებათ, მიატმასნეს მავანნი და დღეს ამ ღვაწლმოსილი ხალხის ხსენებაც კი არ არის „ენგურჰესის“ ისტორიის ბიბლიოგრაფიულ მონაცემებში, რაზეც ძალიან მტკივა გული. სწორედ პროფესიონალების იმ თაობამ აღუზარდა საქართველოს ბრწყინვალე ინჟინრები.

ენგურჰესის მშენებლობა 1961 წელს კი დაიწყო, მაგრამ ტექნიკური სირთულეების გამო, მისი გაშვების საკითხი რამდენჯერმე გადაიდო, რაც მიწისქვეშა სამუშაოების შემსრულებელი მოწყობილობა-დანადგარების დეფიციტს უკავშირდებოდა. საბჭოთა კავშირი იმ პერიოდში ამ დანადგარებს, მაგალითად გვირაბგამყვანს არ აწარმოებდა, ბურღვა-აფეთქების მეთოდებით ვმუშაობდით, რამაც გარკვეულწილად ხელი შეუშალა მშენებლობის ტექნოლოგიური ციკლით გაშვებას, ჯერ ბოლო ობიექტი გავუშვით, რომელსაც სპეცტექნიკა არ ჭირდებოდა. ესეც ნიკოლოზ ესაკიას დამსახურებაა, რომელიც იმ პერიოდში მშენებლობის უფროსად დანიშნეს. გენერალი ნიკოლოზ ესაკია მარტო საბჭოთა კავშირში კი არა, მთელ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული მშენებელი ინჟინერი იყო, ატომური ენერგეტიკის ერთ-ერთი გამორჩეული კორიფე, რომელიც დანადგარებსა და სასატარტო მოედნების მოწყობაზე მუშაობდა. ის ვასილ მჟავანაძის ინიციატივით გადმოიყვანეს ენგურჰესის მშენებლობის უფროსად, ბატონმა ნიკოლოზმა მოიწვია 2.000-კაციანი სამხედრო პერსონალი, სამშენებლო რაზმი, რომელთა მეშვეობით შევძელით იმ ე.წ. კუდის გაშვება, რასაც ვარდნილჰესები ჰქვია, ამის შემდეგ დაიწყო ძირითად ნაგებობებზე ინტენსიური მუშაობა, რომლებიც 1978-79-80 წლებში მთლიანად იქნა გაშვებული. მშენებლობის ძირითადი ობიექტები განთავსებულია გალის რაიონის, ზუგდიდისა და წალენჯიხის ტერიტორიაზე. აფხაზეთის ომის დროს ეს ნაგებობები გაპარტახდა და გაიძარცვა, მათგან მხოლოდ ვარდნილჰესი-1 მუშაობს, რომლის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს, ახლახანს მათი წარმომადგენელი იყო ჩამოსული, დაათვალიერა ჩატარებული სამუშაოები და ამაყობს, რომ ასეთ პროექტს აფინანსებენ.



- ბატონო ანზორ, ენგურჰესი ნაწილობრივ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე, ჰესის სამართავი პულტიც მათ მხარეზეა, ეს პრობლემას ხომ არ ქმნის, თქვენ ენგურის კალაპოტის გაწმენდის აუცილებლობაზეც საუბრობდით, რამდენად მოხერხდება ასეთი დაძაბული პოლიტიკური ვითარების პირობებში?

- სამართავი პულტი გალის რაიონის სოფელ საბერიოშია ყველაფერს გამოცდილი ქართველი სპეციალისტები მართავენ, რომელთაც აფხაზები ყველანაირად ხელს უწყობენ, რომ იტყვიან, თავს ევლებიან. აფხაზები ძალზე გონივრულად უდგებიან ამ საკითხს, იციან, რომ თვითონ ვერ შეძლებენ მართვას, ამიტომ საქმეს არ აფუჭებენ. ინტელექტუალურად ჩვენი და აფხაზების პოზიციები სრულ თანხვედრაშია,



პოლიტიკურის შესახებ კი ვერაფერს გეტყვით. წესით, პოლიტიკურადაც თანხვედრაში უნდა იყოს, რადგან თუ კატასტროფა მოხდა, ორივე მხარეს ერთნაირად დაღუპავს. როგორც გითხარით, ენგურის ქვედა ბიეფში არის საშიშროება, რომ ისეთი მოვლენები განვითარდეს, რაც მდინარე ვერეს ხეობაში, ეს ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. დაზუსტებით ვერავინ იტყვის, რომ ენგურზე 2500 კუბმეტრი წყალი არ წამოვა, მართალია, დადგენილია, რომ ასეთი რამ ათას წელიწადში ერთხელ მეორდება, მაგრამ არავინ იცის ეს როდის დადგება ეს დრო. ამ ოდენობის წყალი თუ მოვარდა, ის წყალსაცავში არ დაეტევა, იძულებული ვიქნებით ფარი გავხსნათ და წყალი გავუშვათ, არადა ეს შედეგები კატასტროფული იქნება. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. ქართულმა ორგანიზაცია „ჰერბმა“ იმუშავა და შეისწავლა, რა უნდა გაკეთდესამისთვის და მას მხარდაჭერა სჭირდება. რაც ქვეყნისთვის დიდ შემოსავლებს და უსაფრთხოების გარანტიებს იძლევა. ენგურის ზედა ბიეფი მთლიანად ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზეა, მდინარის კალაპოტის გაწმენდა პრობლემას არ წარმოადგენს, მთავარია პოლიტიკური ნება იყოს. ჩემი აზრით, ის 120 მეგავატი, რომელიც ჩაძირული და უმოქმედოა, იმ 220 მეგავატს რომ დაემატოს, რომელიც ვარდნილჰესზე გვქონდეს, საქართველოსთვის ძალიან დიდი ენერგეტიკული შენაძენი იქნება, ის დარეგულირებულ წყალზე მუშაობს, არც წვიმას ელოდება და არც თოვლის დნობას, ამის არ გამოყენება როგორ შეიძლება, არის საკითხები, რომელსაც სახელისუფლებო დონეზე დარეგულირება ჭირდება, ამისთვისაა აუცილებელი ორივე მხარის შეხვედრა და დიალოგები, გააზრება იმ საშიშროებისა, რაც ქვეყანას ემუქრება, ეს მიგვიყვანს სწორ გადაწყვეტილებამდე, თორემ მე აქეთ ვიჯდე ხელგაუნძრევლად, იმან კი იქიდან იძახოს, რატომ არ მაქვს ელექტროენერგია, გინდა თუ არა მომეციო, არაფერი გამოვა. მე პირადად ვთვლი, რომ ენგურზე უსაფრთხოების საკითხების მოგვარება და სამეურნეო საქმიანობის გაძლერება, კიდევ უფრო დააახლოებს ქართველებსა და აფხაზებს და შექმნის იმის წინაპირობას, რომ დღეს თუ ქართველთა 150-კაციანი ჯგუფი მუშაობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, 1500-2500-კაციანი გავხადოთ, ინერტულ მასალებს თუ ამოვიღებთ, მის გაყიდვაზე კი არ ვიფიქროთ, გადამამუშავებელი საწარმოები შევქმნათ და ჩვენი ხალხი დავასაქმოთ, რომ ეკონომიკა ავაღორძინოთ და განვავითაროთ. ხაზგასმით ვამბობ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაიყიდოს ეს მასალა. იგივეს ვიტყვი ენერგეტიკასთან მიმართებაში, ყველა საკითხი, რომელიც ელექტროენერგიის წარმოებასთან იქნება დაკავშირებული, იმაზე კი არ უნდა იყოს ორიენტირებული, თურქეთში გავყიდი და მეტ დოლარს ჩავიდებ ჯიბეშიო, არამედ ადგილობრივი წარმოების ამოქმედებისკენ, ჩვენი პროდუქციის თითღირებულების შემცირებისკენ უნდა იყოს მიმართული. ყველაფრის თურქეთში გაყიდვა, ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველია.

მე, როგორც დარგის სპეციალისტს, ის მცირე და საშუალო ჰესები, რომლებიც კონკრეტულ სამეურნეო საქმიანობასთან არ არის მისადაგებული და ადგილობრივი პროდუქციის შექმნას არ ემსახურება, მხოლოდ ელენერგიის ექსპორტისთვის იღწვიან, ნამდვილად არ მინდა და არ ავაშენებ. საქართველოში 50-იან წლებში 550-მდე მცირე ჰესი მუშაობდა, ყველა უწყებას და დაწესებულებას ჰქონდა ასეთი ჰესი, რომელიც მათ წარმოებასა და საქმიანობას ემსახურებოდა. მერე დაანგრიეს ან გაყიდეს, ოციღაა დარჩენილი. ახლა ხელახლა ვაშენებთ. მაგალითისთვის გეტყვით, არაგვის ხეობაში ახალი ჰესი რომ აშენდეს, ის გუდაურის მომსახურეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რადგან საერთაშორისო ობიექტი, კურორტია, რომელსაც გარანტირებული ელექტრო და წყალმომარაგება უნდა ჰქონდეს. ამიტომ გამომუშავებული ელექტროენერგია ადგილზე უნდა გაიყიდოს, სასტუმროს თვითღირებულებაში უნდა შევიდეს, იქიდან უნდა ღებულობდეს ფულს მეწარმე და არა თურქეთიდან ჩამოსული დისპეტჩერის მიერ დაანგარიშებული გადმორიცხული თანხებით იკვებებოდეს. ეს არ ნიშნავს, რომ გაცვლის რეჟიმი უარვყოთ, ზედმეტი უნდა გავყიდოთ, თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გუდაურს ექნება საშუალება, რომ ჭარბი ელენერგია გაყიდოს, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს და გააყიდინოს, მაგრამ თუ ამ ჰესმა გუდაურს ვერ მიაწოდა დენი, სახელმწიფომ უნდა აიღოს მიწოდების ვალდებულება, რომ მომსახურების დონე არ დაეცეს და ტურისტები უკმაყოფილონი არ დარჩნენ. ეს ურთიერთკავშირები „ჰიდროპროექტისა“ და აკადემიის ერთობლივი ნამუშევრებით დასაბუთებულია. აკადემიკოსებმა ვახტანგ ჭიჭინაძემ და ვახტანგ გომელაურმა ჩემი ინსტიტუტის დაკვეთით, მოამზადეს მცირე ჰესებისა და ობიექტების ეფექტურობის დასაბუთება, სადაც ყველაფერი გაწერილია, მაგრამ ეს დიდი მოცულობის ნამუშევარი დაიკარგა და დღეს არავინ იცის სად არის, მას შემდეგ, რაც „ჰიდროპროექტი“ გაიყიდა, ეს ნამუშევრები აღარ იძებნება, არქივები განადგურებულია. ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ ახალი ველოსიპედის გამოგონება გვინდა და ისეთ რაღაცას ვამბობთ, რის თქმაც არ შეიძლება. არ შეიძლება ბოტანიკურ ბაღში მცირე ჰესი აშენდეს და მისმა მეწარმემ თქვას, ელექტროენერგიას „თელასს“ მივყიდიო, „თელასს“ კი არა, ბოტანკურ ბაღს უნდა მიყიდოს, რომ ამორგანიზაციამ ბილეთები გააიაფოს და ყველა ბავშვს ჰქონდეს დათვალიერების საშუალება, ბაღის ფუნქციონირებას შეუწყოს ხელი.

- ხუდონჰესის და ნენსკრაჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ, რასაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება?

- ზურაბ ჟვანია პრემიერ-მინისტრი რომ გახდა, პირველივე თათბირი ენერგეტიკასთან დაკავშირებით ჩაატარა, იმ პერიოდში ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლეიშვილი იყო. მეც ვესწრებოდი ამ თათბირს, 600 კაცი იქნებოდა დარბაზში, ბატონმა ზურაბმა თავის გვერდით დამსვა და მათ მიმართა, მე, როგორც პრემიერ-მინისტრი ვაცხადებ, რომ ხუდონთან დაკავშირებით, გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, ანზორ ჭითანავა საქართველოს მტრად მიმაჩნდა და ვეკამათებოდი, მაგრამ მართალი ყოფილაო. მთხოვა ამეხსნა, როგორ შეიძლებოდა ხუდონჰესის პროექტის აღორძინება და განვითარება, საათზე მეტი ვისაუბრე. მეორე დღეს დამიძახა ჟვანიამ, ნიკა გილაურს ვნიშნავთ ენერგეტიკის მინისტრად, მას ამ დარგში დახმარება სჭირდება და თქვენ მის პირველ მოადგილედ უნდა წახვიდეთო. მაშინ „ჰიდროპროექტის“ დირექტორი ვიყავი, შეთავაზებაზე უარი ვუთხარი, სადაც ვარ, იქიდან უფრო გამოგადგებით, რატომ ჩაქრა შუქი, ან რატომ დაეცა ძაბვა, ეს ჩემი საქმე არ არის, თქვენ დისპეტჩერის დონეზე მოაზროვნე ხელოსანი გჭირდებათ-თქო. მართალი ხარო, მას მერე ყველა თათბირსა და ღონისძიებაზე მეძახდა, სადაც ჩემს სიტყვას ვამბობდი. ზურაბ ჟვანია, რომელიც ხუდონჰესის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მიხვდა რომ ამ მშენებლობის გაჩერება არასწორი იყო და თავისი სიტყვა უკან წაიღო. ამ ახალ თაობას, ეტყობა არ აქვს თავისი შეცდომების შეფასების აღიარების უნარი. შეცდომის აღიარება ძლიერ ადამიანებს სჩვევიათ, მე იმ სიძლიერეს დღეს ვერ ვხედავ ხელისუფლებაში, რომ პასუხისმგებლობა აიღოს და დასაბუთებული სიტყვა თქვას, რატომ არის საჭირო ხუდონჰესის აშენება. მე ამ მშენებლობის აუცილებლობასაც ვასაბუთებ და იმასაც ვიტყვი, რომ ხუდონის ზევით არცერთი წყალსაცავიანი ჰესის აშენება არ შეიძლება, რაც დამტკიცებულია საქართველოში მოღვაწე 33 სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის მიერ. ყველა ეს ორგანიზაცია ახლა გაყიდულია. მათ მიერ მიღებული დასკვნის მიხედვით, ეს შეუქცევადი პროცესების განვითარებას გამოიწვევს, მიუხედავად ამისა ნენსკრას მაინც აშენებენ (მესტიის რაიონის ტერიტორია). ეს მშენებლობა იმიტომ არ შეიძლება, რომ 4 კვ.კმ-ზე ხელუხლებელი ტყე უნდა ამოიჭრას და იქ წყალი უნდა დაგუბდეს, იმ ხეობაში, რომელშიც უამრავი წითელ წიგნში შეტანილი ხეებია, 27 კმ-იანი გვირაბიც უნდა გაიყვანო. სვანეთის მთებში გაყვანილი ამ სიგრძის გვირაბი შეცვლის ფილტრაციურ რეჟიმებს, ჰიდროლოგიას, გარემოს, ერთი სიტყვით, ათას უბედურებას დაამკვიდრებს. იქ ისეთი პროცესები განვითარდება, რომელთა პროგნოზირება არც უფიქრია იმ ორგანიზაციას, რომელმაც ჰესის მშენებლობის წინადადებით მიმართა მთავრობას.



მოკლედ რომ ვთავქთ, საჭიროა, ქვეყანამ დროზე შექმნას წყლის რესურსების მართვის და გამოყენების კომპლექსური პროგრამა და ამ დოკუმენტში დეტალურად უნდა იქნას დასაბუთებული, როგორც ცალკეული მდინარეების გამოყენების პერსპექტივები, ასევე ამ რესურსების გადანაწილების საკითხებიც. მაშინ ადვილი მისახვედრი იქნება, რომ სვანეთში ხუდონჰესის ზევით ახალი წყალსატევების შექმნის საკითხი დაუსაბუთებელი აღმოჩნდება, როგორც ენერგეტიკული, ასევე წყალსამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად.

მდ. ენგურის შუა წელში (ენგურჰესი, ხუდონჰესი) შესაძლებელია და რეალურია, შეიქმნას მაღალი წარმადობის ენერგეტიკული კვანძი, მხედველობაში მაქვს საკუთრივ ენგურჰესის კაშხალთან და ხუდონჰესის კაშხალთან ჰიდროსაკომუნიკაციო დანადგარების მოწყობა, რითიც ამ მონაკვეთზე შეიქმნება დღევანდელ კაშხალთან 2640 მგვტი და ხუდონის კაშხალთან 1700 მგვტი სიმძლავრის დანადგარები, რომლებიც პრაქტიკულად გამორიცხავენ მომავალში ქვეყანაში დიდი წყალსაცავების შექმნის აუცილებლობას.

ჰიდროენერგეტიკას საქართველოში ალტერნატივა არა აქვს, ეს პროცესი ურთულესია ყველა ქვეყანაში და მას სათანადო მხარდაწერა და მართვა სჭირდება.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ძლიერი რეგიონები

საჩხერე

საჩხერე – ტრენინგები სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა“ დაიწყო ახალი პროექტი – „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“. კორბოულში გამართულ ერთ-ერთ ასეთ ტრენინგს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. სამართლებრივი და პიროვნული განვითარების ტრენინგის გავლა 30 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს 8 რეგიონის 33 სოფელში ნებისმიერ მცხოვრებს შეუძლია.

ტრენინგების ჩასატარებლად გამოიყენება საზოგადოებრივი ცენტრები, რომლებიც სოფლად უნიკალურ ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობას იძლევა. დღეს საქართველოში უკვე 34 საზოგადოებრივი ცენტრი მოქმედებს, 35-ე ცენტრი სოფელ არხილოსკალოში 20 ივლისს გაიხსნება. ამასთან, ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს კიდევ ათ სოფელში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენის სეპარირებული შეგროვების პილოტური პროექტი თელავის მუნიციპალიტეტში

თელავის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პრაქტიკის დანერგვა აქტიურად მიმდინარეობს. პილოტური პროექტის ფარგლებში წინანდალში, ქვემო ხოდაშენში, ბუშეტში, ვანთასა და აკურაში ნარჩენების სეპარირებისთვის განკუთვნილი ყუთები დაიდგა, რაც მიზნად ისახავს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ჩამოყალიბებას მათი შემდგომი გადამუშავების მიზნით.

WMTR პროგრამამ აღნიშნულ 5 სოფელს 75 ურნა გადასცა, მათ შორის – ქაღალდისა და პლასტმასის ცალ-ცალკე შესაგროვებლად. ურნები დაიდგმება სოფლების ცენტრებში, მაღაზიებსა და საჯარო სკოლებთან ახლოს. შეგროვებული ნარჩენი შესაბამის საწყობში გროვდება, იპრესება, საიდანაც უკვე კერძო კომპანია წაიღებს გადასამუშავებლად.

პროგრამის ფარგლებში, ქაღალდისა და პლასტმასის ნარჩენებისთვის თელავის მუნიციპალიტეტს დამატებით კიდევ 12 ურნა გადაეცა, რომლებიც საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდა, რასაც, სეპარირებული შეგროვების დამატებითი უბნების გახსნასთან ერთად, საგანმანათლებლო ფუნქციაც აქვს.

უფასო იურიდიული დახმარების სამსახური ჩოხატაურელებისთვის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა და გამგეობის თანამშრომლებმა ერთობლივი პრეზენტაცია გამართეს. ამიერიდან მუნიციპალიტეტში ამოქმედდება იურიდიული დახმარების სამსახური ძირითადად ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ ფენაზე – მათ საჭიროების შემთხვევაში უფასოდ გაუწევენ ზეპირ კონსულტაციას, დაეხმარებიან იურიდიული დოკუმენტის შედგენაში და შესთვაზებენ უფასო საადვოკატო მომსახურებას.

თელავი

გურჯაანში გზის მოასფალტების სამუშაოები გრძელდება

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, ქალაქ გურჯაანში ეკატერინე გაბაშვილის ქუჩის მოასფალტება მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით ასფალტი დაიგება 744 მეტრზე, მოეწყობა 230 მეტრი სიგრძის ბეტონის სანიაღვრე არხი, ცხაურები და ბორდიური. სამუშაოები მიმდინარე წლის 1 აგვისტოს დასრულდება. პროექტის ღირებულება 275 588 ლარია.

დედოფლისწყაროში წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკა გაიხსნა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საზეიმოდ გაიხსნა წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ჯანდაცვის კლინიკა. ცერემონიას ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ პაპიაშვილი, სახელმწიფო რწმუნებულის – კახეთის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველი, წითელი ჯვრის პრეზიდენტი ნათია ლოლაძე და იაპონიის სრულუფლებიანი ელჩი ტოშიო კაიტანი.

დედოფლისწყარო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საქართველოს წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სამედიცინო ტექნიკით უზრუნველყოფის პროექტი დააფინანსა იაპონიის მთავრობამ, რაც გამოხატავს იაპონელი ხალხის კეთილ ნებას.

„დღეს არაჩვეულებრივი დღეა, რადგან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში იაპონიის მთავრობის მხარდაჭერითა და წითელი ჯვრის დახმარებით გაიხსნა სამედიცინო კლინიკა, რომელიც უფასოდ მოემსახურება ჩვენს მოსახლეობას. უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ იაპონელი ხალხისადმი, იაპონიის მთავრობისა და წითელი ჯვრის ორგანიზაციისადმი“, – განაცხადა დედოფლისწყაროს გამგებელმა, ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

აღნიშნული სამედიცინო კლინიკა გააუმჯობესებს ჯანდაცვის სისტემას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, საშუალებას მისცემს პაციენტებს, ჩაიტარონ ნებისმიერი სახის უფასო სამედიცინო გამოკვლევა, ისარგებლონ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა იაპონიის ელჩმა ტოშიო კაიტანმაც:

„ბატონო გამგებელო, ძვირფასო სტუმრებო, ჩემთვის დიდი პატივია იაპონიის მთავრობისა და იაპონელი ხალხის სახელით მონაწილეობა მივიღო პროექტის წარმატებით დასრულების ცერემონიაში. მინდა გულრწფელი მადლობა გამოვხატო ჩვენი სანდო პარტნიორების – ადგილობრივი ხელისუფლებისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიმართ“.

ლაგოდეხი – მოსახლეობა და ხელისუფლება ერთობლივად მსჯელობს სამომავლო გეგმებზე

წყალი, გაზი, შიდა და სამეურნეო გზა, ელგაყვანილობა, ნაგავსაყრელი და დამისამართება – ეს იმ თემების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შესახებ ბებურიანის დასახლებაში ადგილობრივმა მოსახლეობამ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილესთან ერთად საერთო კრებაზე განიხილა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

„დასახლების საერთო კრება“, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ 2015 წელს შევიდა. კანონის შესაბამისად, საერთო კრება უფლებამოსილია: იმსჯელოს დასახლებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე და მუნიციპალიტეტის ორგანოში წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები; განიხილოს დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს საკუთარი შენიშვნები და წინადადებები; განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებში წარსადგენად შეიმუშაოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები; ორგანიზება გაუკეთოს დასახლებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას.

ქარბორბალა ფოთში

ფოთს ქარბორბალამ გადაუარა. ქალაქში ძლიერი ქარი რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შედეგადაც რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დაზიანდა დანელიას ქუჩაზე.

შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ზარალის ზუსტი ოდენობა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ფოთის მერიაში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ზარალის ოდენობას დაადგენს და დაზარალებულებს დახმარებას აღმოუჩენს.

დევნილთა საარსებო წყაროებისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა – შეხვედრა ანაკლიაში

დევნილთა საარსებო წყაროები და სამოქმედო გეგმები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს უფროსმა ირაკლი უჯმაჯურიძემ გააცნო. სამუშაო შეხვედრას, რომელიც ანაკლიაში გაიმართა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და ლტოლვილთა დანიის საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მესტიაში მიწების დარეგისტრირების წესები გამარტივდა

მესტიის მუნიციპალიტეტში, თეთნულდის სათხილამურო კურორტის ბაზაზე, მულახის ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობასთან შეხვედრაზე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განიხილეს მულახის ტერიტორიული ერთეულის განაშენიანებისთვის გეგმის შესამუშავებლად აუცილებელი პროცედურები.

მოსახლეობას ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ეკა სისაურმა გააცნო მთავრობის ახალი დადგენილება, რომლის მიხედვითაც მესტიის მუნიციპალიტეტში ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება ეძლევა

ძლიერი საქართველოსთვის

მეხტია

გამარტივებული წესით დაირეგისტრიროს მფლობელობაში არსებული მიწები (ამ ეტაპზე 4 თემში: იდლიანი, ჭუბერი, ნაკრა, ბეჩო).

მხარეები შეთანხმდნენ, რომ პირველ ეტაპზე დაიწყება მულახის ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სოფლების მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო (სახნავი, სათიბი) მიწის საკადასტრო ნახაზების მომზადება.

წალენჯიხა – ინფრასტრუქტურული პროექტები

რეგიონალური პროექტების განვითარების ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ქალაქ წალენჯიხის კინოთეატრისა და მულტიფუნქციური (ყოფილი მერიის) ადმინისტრაციული შენობის ფასადის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, ამავდროულად დაიწყო ქალაქ წალენჯიხის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია. მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგა გულორდავამ.

ქალაქ წალენჯიხაში ამ ეტაპზე რეაბილიტირდება ქუჩულორიას, წერეთლისა და გალის ქუჩა, სადაც მიმდინარეობს წყალსაწრეტი არხების მოწყობა. ამის შემდეგ დაიწყება გზებზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. სახელშეკრულებო თანხა 469 994 ლარია, სამუშაოებზე დასაქმებულია ადგილობრივი მუშახელი.

ადიგენის წარმომადგენლები ესტონეთის გამოცდილებას ეცნობიან

2016 წლის 6-10 ივნისს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ესტონეთის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის“ ორგანიზებით ესტონეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები, მათ შორის ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე მინდია ჯელია.

ესტონურმა მხარემ საქართველოს წარმომადგენლებს გააცნო ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ადგილობრივი თვითმმართველობის, სოფლის მეურნეობის, რეგიონული და ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხებზე. ხაზგასმით აღინიშნა ევროინტეგრაციის პროცესში მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ჩართულობის მნიშვნელობა.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ ესტონეთის რესპუბლიკის პარნუს და ლაანემაას რეგიონების გუბერნატორებს, ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის დირექტორს და ადგილობრივი თვითმმართველობების ესტონეთის კავშირის თავმჯდომარეს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში კიდევ ოთხი სოფლის გაზიფიცირება დასრულდება

2016 წლის ბოლომდე ბუნებრივი აირი მიეწოდება შემდეგ სოფლებს: ძველი ქვეში – 425 აბონენტი, მწყნეთი – 65 აბონენტი, ქვემო ბოლნისი – 599 აბონენტი, ფარიზი – 273 აბონენტი. კომპანია „სოკარი“ 2017 წელს სოფელ ჯავშანიანის გაზიფიცირებასაც გეგმავს. ჯავშანიანში გაზიფიცირდება 222 აბონენტი.

SOCAR Georgia Gas-ი გაზიფიკაციის პროგრამაში 2008 წლიდანაა ჩართული. პროგრამის პირველ ეტაპზე, რომელიც 2008-2013 წლებს მოიცავს, მთელი საქართველოს მასშტაბით 230 ქალაქი და სოფელი გაზიფიცირდა, აშენდა 3500 კმ გაზსადენი. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ამ პერიოდში გაზგამანაწილებელ ქსელში 175 ათასი აბონენტი ჩაერთო. გაზიფიკაციის პროგრამის მეორე ეტაპის განხორციელების შესახებ მემორანდუმი საქართველოს მთავრობასა და კომპანია SOCAR Georgia Gas-ს შორის 2013 წელს გაფორმდა. მეორე ეტაპი 2013-2017 წლებს მოიცავს. 2014 წელს კი მთელი საქართველოს მასშტაბით 1100 კმ გაზსადენი აშენდა და 34 ათასი აბონენტი გაზიფიცირდა, რომელთა შორის იყო ბოლნისის რამდენიმე სოფელიც.

ამ დროისთვის ბოლნისის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირებულია ქალაქი ბოლნისი, დაბა თამარისი, დაბა კაზრეთი და 20 სოფელი.

დმანისი

ახალციხე – საფარის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

ახალციხის მუნიციპალიტეტში საფარის მონასტერთან მისასვლელი 7,2 კმ-იანი გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. გზის ამ მონაკვეთზე ასფალტის საფარი აქამდე არ ყოფილა – არსებობდა მხოლოდ გრუნტის გზა, რომელიც წვიმიან ამინდში გაუვალი ხდებოდა როგორც ტრანსპორტისთვის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის. გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობას გადაადგილების პრობლემა მოუგვარდება.

საფარის გზის რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 3 198 099,81 ლარია. სამშენებლო სამუშაოებზე 50 ადამიანია დასაქმებული, მათი უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

დმანისი – ახალი ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობაში

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ – ეს არის პროექტი, რომელიც ევროკავშირმა დააფინანსა და რომლის ფარგლებში გაიმართა სადემონსტრაციო დღე დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში. სტუმრები ეწვივნენ პროექტის ბენეფიციარს, ფერმერ გიორგი ციხელაშვილს, რომელსაც 1 ჰა მიწის ფართობზე გაშენებული აქვს თანამედროვე ჯიშის ჟოლო და უეკლო მაყვალი. ნაკვეთში იყენებენ თანამედროვე მორწყვის სისტემასა და ახალ ტექნოლოგიებს.

სადემონსტრაციო დღეს ესწრებოდნენ: დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოგი ბარბაქაძე, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, დმანისის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის

ხულო

თანამშრომლები, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მათ მიერ დაფინანსებული პროექტების ბენეფიციარები და ადგილობრივი ფერმერები.

„მიკროგრანტები მთის განვითარებისთვის“ – პროგრამის პრეზენტაცია გორში

გორისა და ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის პროგრამის პრეზენტაცია გამართა მეწარმეობის განვითარების სააგენტომ.

„მიკროგრანტები მთის განვითარებისათვის“ არის ახალი პროექტი, რომელიც მეწარმეობის განვითარების სააგენტომ შეიმუშავა მთის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან თანამშრომლობით. პროექტის მიზანია ბიზნესის განვითარება მაღალმთიან სოფლებში, რისთვისაც მოსახლეობას შეუძლია სახელმწიფოს მხრიდან მიიღოს 5 000-დან 15 000 ლარამდე თანადაფინანსება და საკუთარ საცხოვრებელ ადგილზე წამოიწყოს ბიზნესი. საბოლოო შედეგით, პროექტი ხელს შეუწყობს მთის შემდგომ განვითარებას.

გორსა და ქარელში მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრები შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის ორგანიზებით იმართება. გუბერნიის ხელმძღვანელობა მოუწოდებს შიდა ქართლის მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში, განავითარონ ბიზნესი მთაში და ხელი შეუწყონ იქ მცხოვრებთა დასაქმებას.

ხულო – სოფელ ვერნებში წყალსადენის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვერნებში წყალსადენის რეაბილიტაციაზე მიმდინარე სამუშაოები ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის წევრებმა მალხაზ აბულაძემ და იური აბულაძემ დაათვალიერეს.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასრულებულია წყალსადენის მაგისტრალის სამუშაოები, მიმდინარეობს საფილტრი ნაგებობისა და რეზერვუარების მოწყობა.

ქედაში გზების გაწმენდითი სამუშაოები დასრულდა

8-9 ივლისს, უამინდობის შედეგად, ქედის მუნიციპალიტეტის 7 სოფლის საავტომობილო გზაზე მეწყერი განვითარდა, რამაც საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზები გადაკეტა. გაწმენდითი სამუშაოები მაშინვე დაიწყო: პირველ დღეს გაიწმინდა გზის კოკოტაურის (ძანაძეების უბანი), აბუქეთის, წონიარისის (ჯაიმელას უბანი) და ტაკიძეების მიმართულებით, მეორე დღეს ტექნიკა სამი მიმართულებით მუშაობდა: ჯალაბაშვილებში, დოხოძეებსა და ბელტურში.

მუნიციპალიტეტის სტიქიის შემსწავლელი კომისია დაზიანებულ კერებს ადგილზე სწავლობს. გამგეობა მიყენებულ ზარალს ითვლის.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები ქობულეთში

მუნიციპალიტეტის გამგებელმა სულხან ევგენიძემ სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილები დაათვალიერა. მუნიციპალიტეტში მდგომარეობა სტაბილურია, მაგრამ სტიქიასთან ბრძოლის შტაბი ისევ საგანგებო რეჟიმში განაგრძობს მუშაობას.

ინტენსიურად იწმინდება დამეწყრილი სასოფლო გზები.

პირველად ქართულ პენიტენციურ სისტემაში – შრომის რეალიზებული უფლება გისოსებში

„ციხეების უსაფრთხოება არსებითია იმისათვის, რომ ჩვენი მართლმსაჯულების სისტემა დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტურ იარაღად იქცეს. როდესაც პატიმრებს - მსჯავრდებულებს თუ წინასწარპატიმრობაში მყოფთ - თქვენ გაბარებენ, მათ უნდა იცოდნენ და საზოგადოებამაც უნდა იცოდეს, რომ ისინი იქ დარჩებიან კანონით დადგენილი წესით გათავისუფლებამდე... ამასთანავე, ჩვენი ციხეების მიერ ქვეყანაში დანაშაულის დონის შემცირებაში შეტანილი წვლილი გამოიხატება იმითაც, თუ როგორ ეპყრობიან ისინი პატიმრებს. სიტყვები არასაკმარისია იმის აღსანიშნავად, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმიც და ადამიანის უფლებათა პატივისცემაც“ — ეს სიტყვები სამხრეთ აფრიკის ყოფილმა პრეზიდენტმა და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატმა ნელსონ მანდელამ სამხრეთ აფრიკის გამასწორებელი სამსახურის დეპარტამენტის გადამზადებისა და ადამიანის უფლებათა პროექტის ოფიციალურ გახსნაზე წარმოთქვა.

არც თუ შორეულ წარსულში, საქართველო პატიმართა რაოდენობით, მსოფლიოში მეოთხე ადგილზე იყო და ყოველ 100 000 მოსახლეზე 700-ზე მეტი პატიმარი ჰყავდა. ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში, ნაციონალურმა მოძრაობამ პატიმრების რაოდენობის ოთხჯერ გაზრდა და 6000-დან 24 000-მდე აყვანა მოახერხა. ქართულ ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობაზე და მათ მიმართ სასტიკი მოპყრობაზე ადგილობრივი თუ საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების მრავალტომიანი ანგარიშებების მიუხედავად, წინა ხელისუფლების დროს, ციხეებში ვითარება სულ უფრო მძიმდებოდა. ხელისუფლების შეცვლიდან უმოკლეს დროში, მთავრობამ სასჯელაღსრულებების სისტემაში რეფორმის დაწყების შესახებ განაცხადა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებით, რეფორმის ძირითადი პრინციპი იქნება მოქნილი სისტემა, ერთიანი მართვა, უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლება, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა სოციალური გარანტიებისა და უსაფრთხოების გაზრდა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამების ამოქმედება.

„პატიმრობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების თანახმად, რომელიც უკვე ამოქმედდა, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში დამზადებული ნივთების რეალიზაცია დაიწყო.

პროექტის პრეზენტაცია 12 ივლისს სასტუმრო „ჰუალინგ თბილისში“ გაიმართა. კახი კახიშვილმა საზოგადოებას პროექტის მიზნები გააცნო და მის ფარგლებში შექმნილი ახალი ვებგვერდი - www.online.moc.gov.ge წარუდგინა. მინისტრის თქმით, მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა პენიტენციურ დაწესებულებებში დამზადებული ნივთებისა და ნაკეთობების შეძენა მსურველს

პირდაპირ ვებგვერდიდან, ონლაინ შეეძლება. **კახა კახიშვილმა** მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მნიშვნელობაზე და ამ მიმართულებით სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ დანერგილ უპრეცედენტო სიახლეზე ისაუბრა. ღონისძიებაზე, რომელსაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები, პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მსჯავრდებულთა მიერ დამზადებული ნივთებისა და თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მოქმედ სოციალურ საწარმოში დამზადებული ავეჯისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

ღონისძიება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახი კახიშვილმა გახსნა და შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა:

– პირველად, საქართველოს ისტორიაში, ონლაინ მაღაზია ამოქმედდა, რომელზეც სარეალიზაციოდ ბრალდებულების და მსჯავრდებულების მიერ დამზადებული ნივთები განთავსდა. ნივთის ფასს პატიმარი თავად განსაზღვრავს. დაინტერესებულ პირს საშუალება აქვს, სასურველი ნივთი ონლაინ შეიძინოს, თანხა კი, პირდაპირ ბრალდებულის/მსჯავრდებულის ანგარიშზე გადაირიცხება. აქამდე, ყველა აღნიშნავდა, რომ ციხეში ძალიან ლამაზი და იშვიათი ნამუშევრები კეთდება, თუმცა, მეორეს მხრივ, არ არსებობდა საშუალება პატიმრებს ნაკეთობების რეალიზაცია მოეხდინათ და გარკვეული შემოსავალი მიეღოთ, რაც სხვა მსჯავრდებულებისთვისაც სტიმული იქნებოდა. ამიტომ, პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევედით, რომელსაც მხარი დაუჭირეს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ კრიმინალური სუბკულტურის მქონე მსჯავრდებულთა იზოლირება მოვახდინოთ, დანარჩენი მსჯავრდებულებისგან. პარალელურად ამისა, მნიშვნელოვანია დაბალი რისკის მქონე პატიმრებს სასჯელის მოხდის პროცესში, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ფარგლებში სხვადასხვა პროექტი შევთავაზოთ.

მოწვეულ სტუმრებს შორის საქართველოს პირველი ლედიც იმყოფებოდა, რომელმაც პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი ინიციატივა პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირებს ძალიან ეხმარება, როგორც მორალურად, ასევე, მატერიალურად.

მაკა ჩიჩუა:

ვფიქრობ, ეს საოცრად კარგი გადაწყვეტილებაა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც იზოლაციაში არიან და არა აქვთ საშუალება ახლოს იყვნენ ოჯახებთან, მშობლებთან, შვილებთან, მეგობრებთან. ამ პროექტის საშუალებით, ისინი შეძლებენ თავიანთ ოჯახს ციხიდან დაეხმარონ. ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კახის ასეთი პროექტისთვის. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პროექტი წარმატებული იქნება და უფრო დაიხვეწება.

ინგლისელი მოსამართლე ლორდი ვულფი ამბობდა, რომ ციხის ეფექტური ადმინისტრირებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოებას, კონტროლსა და სამართლიანობას შორის სწორი ბალანსის დაცვას. მოსამართლის განმარტებით, უსაფრთხოება“ მოიცავს პენიტენციალური სამსახურის ვალდებულებას, თავიდან აიცილოს პატიმრების გაქცევა. „კონტროლი“ ნიშნავს არ დაუშვან პატიმრების მიერ არეულობის მოწყობა. „სამართლიანობა“ კი პენიტენციალური სამსახურის ვალდებულებაა, რომ პატიმრებს ჰუმანურად და სამართლიანად მოექცეს და საზოგადოებაში დასაბრუნებლად

მოამზადოს. რას ფიქრობს პატიმრებთან ჰუმანურ მოპყრობაზე და საზოგადოებაში დასაბრუნებლად მათ მომზადებაზე ყოფილი პატიმარი და ამჟამად უფლებადამცველი ამის გასარკვევად უფლებადამცველ ნანა კაკაბაძეს მივმართე:

ის რომ პატიმრებს უჩნდებათ რაღაცის იმედი, სტიმული და რაც მთავარია, დასაქმებული არიან, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ, რომ დრო ყველაზე ძნელად ციხეში გადის. ასეთი შესაძლებლობების მიცემა პატიმრებისთვის, რომ მათ შეუძლიათ დაამზადონ, იშრომონ, შექმნან რაღაცა, ძალიან მნიშვნელოვანია. თავადაც ხედავთ, ზოგი ისეთი ნამუშევარია, ხელოვნების ნიმუშს ჰგავს და როდესაც პატიმარი ასეთ რაღაცას ქმნის, ერთი მხრივ ის დატვირთულია და საკუთარი თავის რეალიზებას ახდენს და მეორე მხრივ, ის შემოსავალს იღებს და ოჯახს ეხმარება, რომ ელემენტალური საარსებო პირობები შეიქმნას. მეორე მხრივ, პატიმრები ხელობას იძენენ, რომელიც შემდგომშიც გამოადგებათ.

„ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ ხელმძღვანელი ნატალია ხოხიაშვილი:

– მე გახლავართ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან შექმნილი საკონსულტაციო საბჭოს წევრი. ხის საამქროების გახს-

ნის და ონლაინ მაღაზიის შექმნის იდეის ინიციატივა მინისტრისგან წამოვიდა და შეთანხმებული იყო საბჭოს წევრებთან. ამ საოცარი ნივთების ფოტოები ვებ-გვერდზე განთავსდება და მათი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. ონლაინ მაღაზია მიბმულია საიტთან და იქვე კოდებია მითითებული. მოგეხსენებათ, ოჯახისთვის პატიმრის შენახვა საკმაოდ მძიმეა და ეს პროგრამა ძალიან დიდ შვებას მოუტანს. მოგეხსენებათ, ყოფილი პატიმრის რესოციალიზაციაზე სახელმწიფოები უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ და ამ შემთხვევაში, სახეზეა უკვე პატიმრობის დროს რესოციალიზაცია, რაც ძალიან სასიხარულოა. ის სასჯელაღსრულების სისტემა, რაც ჩვენ გვახსოვს, ძალიან შეიცვალა და ამისთვის დიდი მადლობა დღევანდელ მინისტრს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ეს იდეა მოუვიდა და განახორციელა.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს შორის, ყოფილი უვადო მსჯავრდებული და ამჟამად უფლებადამცველი გიორგი გელაძე შევნიშნე და სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტის შესახებ მოსაზრების გაზიარება ვთხოვე:

19 წელი და 4 თვე მოვიხადე უვადი სასჯელიდან. 1977 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გამასამართლეს. დადგინდა, რომ უვადო სასჯელი არასწორად მქომდა შეფარდებული და აღიარეს, რომ არაკანონიერ სასჯელს ვიხდიდი. სამწუხარო ფაქტია, რომ უვადო პატიმრებს არ ეძლევათ შესაძლებლობა დაკავდნენ ფიზიკური შრომით. თუმცა, ახალი ხელისუფლების პირობებში, მხოლოდ მათთვის ხემისაწვდომი გახდა უცხო ენებისა თუ კომპიუტერის კურსები. ჯერ კიდევ ჩემი იქ ყოფნის დროს, პატიმრებს შესაბამისი სერტიფიკატებიც გადაეცათ. არის მოთხოვნა, რომ ეს პროგრამები კიდევ უფრო გაძლიერდეს. წარმოიდგინეთ, ვხუმრობ ხოლმე პეიჯერი რომ შემოვიდა, იმ დროიდან ციხეში ვარ და სხვა საუკუნეში და სხვა სამყაროში დავბრუნდი. საქართველო სულ სხვა ვითარებაში დავტოვე და სულ სხვა ვითარება დამხვდა. მადლობა ღმერთს, რომ ვხედავ ქართული საზოგადოების მოწიფულობას, რაც მსჯავრდებულთა და ყოფილ მსჯავრდებულებთან მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატება და რაც ძალიან დამეხმარა საზოგადოებაში სწრაფ ინტეგრაციაში. ქართულმა საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მსჯავრდებული არის ჩვეულებრივი მოქალაქე, რომელიც ცხოვრების რომელიღაც ეტაპზე გზას აცდა და ამისთვის არ უნდა განადგურდეს. როდესაც ჩვენ გავუქმეთ სიკვდილით დასჯა და დავნერგეთ სასჯელაღსრულების ევროპული სისტემა, ვაღიარეთ, რომ პენიტენციალური სისტემა არის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ამის კიდევ მომდევნო ნაბიჯი არის საზოგადოებაში ინტეგრაცია. სხვანაირად ეს არ გამოვა. ახალი და ძველი პენიტენციალური სისტემები ერთმანეთისგან ცა და დედამიწასავით განსხვავდება. იმაზე, რომ ოდესმე პატიმრები რუსთაველის თეატრში სპექტაკლს დადგამდნენ და საკუთარ ნამუშევრების გაყიდვის საშუალება ექმნებოდათ, წინა ხელისუფლების პირობებში ვერც ვიოცნებებდით. როცა 2011 წელს აზერბაიჯანიდან საქართველოს ციხეში ჩამომიყვანეს და განვაცხადე, რომ გვეკუთვნის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის, კომპიუტერის და უცხო ენების კურსები, სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებმა დამცინეს, ეგ საკითხები არც წამოწიოო. იყო მუქარაც.. მიმახვედრეს, რომ აქტიურობას და განცხადებების წერას თუ არ შევწყვეტდი, შეიძლება ჩემი ლიკვიდაციაც მომხდარიყო. ასე, რომ მიხარია, რომ დღეს სხვა რეალობას ვხედავ და წარმატებას ვუსურვებ სამინისტროს მთელ შემადგენლობას.

იმ სტუმრებს შორის, რომლებიც პატიმრების ნამუშევრებს ყურადღებით ათვალიერებდნენ, საკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა ოჯახის წევრიც შევნიშნე. პარტია „თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის" წევრი ია მეტრეველიც წინა და ამჟამინდელი პენიტენციალური სისტემების განსხვავებაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ იმ სასტიკი რეჟიმის შემქმნელები სხვა პატიმრების მსგავსად, რეფორმის ყველა სიკეთეებით სარგებლობენ.

ია მეტრეველი:

კახი კახიშვილი არის ერთ-ერთი თვალსაჩინო და საუკეთესო მინისტრი, თავისი საქმის პროფესიონალი და პიროვნული თვისებებით გამორჩეული ადამიანი. პირველ რიგში, ის არის ჩემი მეგობარი და ჩემთვის ძალიან სასიხარულო იყო, როცა ამ თანამდებობაზე დაინიშნა, ზუსტად ვიცოდი, რომ რა შედეგებიც დღეს გვაქვს, ასე იქნებოდა.დღეს მის მხარდასაჭერად და პატიმრების ნამუშევრების სანახავად მოვედი, რაც მართლაც ძალიან დიდი წარმატებაა. ვისურვებდი, რომ ყველა სამინისტრო ისე მუშაობდეს და ისეთი მინისტრები ჰყავდეს, როგორიც სასჯელაღსრულების სამინისტროს ჰყავს. აღფრთოვანებული ვარ იმით, რასაც ვხედავ და მიხარია, რომ ეს სისტემა დღეს ძალიან წარმატებულია. მერაბიშვილი და უგულავა, რომლებიც იმ საშინელი სისტემის ნაწილები და იმ უბედურების შემქმნელები იყვნენ, რაც ქვეყანაში ტრიალებდა, დღეს მშვენიერ პირობებში იმყოფებიან, რაც ასევე სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის და იმ რეფორმების შედეგია, რაც მათ გაატარეს.

— რამდენიმე დღის წინ, უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ წინა ხელისუფლების რეჟიმის უკანასკნელი მსხვერპლი, რომელმაც პენიტენციალურ დაწესებულებაში არაადამიანური ტანჯვა და წამება გადაიტანა.

— სულხან მოლაშვილის ოჯახთან ერთად, ცხრა წლის განმავლობაში ქუჩაში ვიბრძოდით და მე შევესწარი ფაქტს, როცა ერთ-ერთი მიტინგის შემდეგ მოიტაცეს სულხან მოლაშვილის 14 წლის შვილი და პოლიციაში სასტიკად გაუსწორდნენ და ძვლები დაუმტვრიეს. ბავშვს ოპერაციის გაკეთება და ლავიწის ძვალთან რკინის ჩადგმა დაჭირდა. მიუხედავად ამდენი კარგი საქმისა, ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ კოჰაბიტაციაში შევიდა კრიმინალებთან. სწორედ ამ კოჰაბიტაციის შედეგია სულხან მოლაშვილი, რომელიც ბოლო წუთამდე უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა.

კახი კახიშვილი ყველაზე ხალხური მინისტრია — ასე დაიწყო საუბარი პარტია „თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის" წევრმა დავით ფაცაციამ. როგორც გავარკვიე, მეჭიაურის პარტიის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ღონისძიებაზე სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმის მხარდასაჭერად მოვიდა, თუმცა ხელცარიელი წასვლას არ აპირებს და რომელიმე პატიმრია ნამუშევარს გაიყოლებს თან:

მე ვიტყოდი, რომ კახი კახიშვილი ყველაზე ხალხური მინისტრია, იმიტომ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი — კომუნიკაციის და მისაწვდომობის უნარი გაჩნია. ძალიან ბევრი მინისტრის სისუსტე და არასწორი საქმიანობის შედეგია, რომ კაბინეტებში ჩაიკეტნენ და საკუთარი თავი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰგონიათ. კახი კახიშვილი ძალიან ღირსეულად ინარჩუნებს თავის მდგომარეობას და ისეთივე ადამიანურია, როგორიც მანამდე იყო. ის რეფორმები, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს, ის ცვლილებები, რომლებსაც სამინისტრო გეგმავს და დღევანდელი პროგრამის პრეზენტაცია უმნიშვნელოვანესი ქმედებაა იმისთვის, რომ პატიმრების რესოციალიზაცია და საზოგადოებაში სწორად დაბრუნება მოხდეს. რაც მთავარია, მათ ჰქონდეთ თავიანთი საქმიანობის სფერო, რომ თავისუფლების მოპოვების შემდეგ დასაქმდნენ და საკუთარი თავის რეალიზება მოახერხონ. ეს არის მომავლის ამოცანა, რადგან საკმარისია, ის უბედურება რაც ჩვენთან მუდმივად ხდებოდა. ხელისუფლება ხელისუფლებას ცვლიდა, პატიმრები მრავლდებოდნენ და სოციალური ფონი მძიმდებოდა. ეს პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი მომავლისჯენ და ევროპული ინტეგრაციისკენ. კიდევ ერთხელ ვულოცავ სასჯელაღსრულების სამინისტროს ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს, რომელიც ადამიანებზეა ორიენტირებული.

— აპირებთ შეიძინოთ რომელიმე პატიმრის ნამუშევარი?

— აი, ახლა ვათვალიერებ და აუცილებლად რაღაცას შევარჩევ.

* * *

წერილის ბოლოს ორიოდე სიტყვით ამერიკული და ევროპული პენიტენციური სისტემების განსხვავებაზეც გეტყვით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკული პენიტენციური სისტემა, (სადაც დღემდე მოქმედებს სიკვდილით დასჯა), ევროპულთან შედარებით, მკაცრი და ნაკლებად ჰუმანურია. ამაზე მსოფლიოს ყველაზე სასტიკი ციხეების ჩამონათვალიც მეტყველებს. მსოფლიოს ყველაზე სასტიკი ციხეების რეიტინგში იხილავთ ამერიკის ფლორენსის ციხეს, რომელმაც სახელი პატიმართა გახშირებული თვითმკვლეობებით გაითქვა. მსოფლიოს ერთ-ერთ სასტიკ ციხედ ითვლება აშშ შტატ კოლორადოში მდებარე ციხე adx florence, სადაც პატიმრები სრულიად იზოლირებული არიან და მათ შორის ხშირია თვითმკვლელობა. მსოფლიოს სასტიკი ციხეების ათეულში შედის ამერიკული რიკერსის ციხე, რომლის მცველები განსკუთრებული სისასტიკით გამოირჩევიან. ამერიკულის გარდა, მსოფლიოს სასტიკი ციხეების ჩამონათვალში შედის ვენესუელას, თურქეთის, სირიის, ჩრდილოეთ კორეის, ტაილანდის და რუანდას ციხეები. მსოფლიოს ყველაზე ჰუმანური ციხეები კი ევროპის კონტინენტზე მდებარეობს. მათ შორის, გამორჩეული ნორვეგიის ციხე ჰალდენია, რომელიც უფრო სასტუმროს ჰგავს, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებას. სწორედ ამ ციხეში იხდის სასჯელს ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრეივიკი. გამოიწვევს თუ არა, ევროპული სტანდარტების ქართულ ციხეებში დანერგვა და პატიმრებთან ჰუმანური დამოკიდებულება დანაშაულის მატებას? კითხვაზე პასუხი ისევ ევროპულ გამოცდილებაში უნდა ვეძებოთ. სტატისტიკის მიხედვით, ყველაზე ჰუმანური ციხეების სამშობლოში ნორვეგიაში მსჯავრდებულების მხოლოდ 20 პროცენტი ხვდება განმეორებით ციხეში, როცა ეს მაჩვენებელი სასტიკი ციხეების ქვეყნებში გაცილებით მაღალია.

ნელი თორდია
571 35 36 88

გიორგი რამიშვილი:

ოქტომბრის არჩევნებზე ყველაფერი მშვიდად ჩაივლის და მმართველი პარტია გაიმარჯვებს

რა გავლენას ახდენს დღეს ასტროლოგია ჩვენს პირად თუ პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რას გვიწინასწარმეტყველებენ ვარსკვლავები და რა უნდა გავითვალისწინოთ, დაცულები რომ ვიყოთ. ამ და სხვა კითხვებზე პასუხებს ჩვენს ინტერვიუში იხილავთ. გვესაუბრება ასტროლოგი და ასტრონომი გიორგი რამიშვილი.

— ბატონო გიორგი, რამ გამოიწვია თქვენი ასტროლოგიით დაინტერესება?

— ჩემი ასტროლოგიით დაინტერესება მაშინ დაიწყო, როდესაც ერთმა ახლობელმა ედუარდ ენტონის სახელმძღვანელო მათხოვა, რომლის საფუძვლიან შესწავლას და პრაქტიკულ მუშაობას ერთ წელზე მეტი მოვანდომე. პირველი რეალური სახელმძღვანელო კი ასტროლოგიის შესახებ 1988 წელს ვიშოვე, მოგვიანებით, შესაძლებლობა მოგვეცა მე და ჩემს მეგობრებს მოსკოვის ასტროლოგიური აკადემია დაგვემთავრებინა დაუსწრებლად, თუმცა გადავწყვიტეთ დიპლომი არ აგვეღო, რადგან ვფიქრობდით რომ სჯობდა, თავისუფლები ვყოფილიყავით და არ ჩავრეულიყავით არანაირ პოლიტიკურ პროცესებში. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას,რომ პოლიტიკოსს საჭიროების და თხოვნის შემთხვევაში არ მივცეთ რჩევა, მაგრამ პირდაპირი პოლიტიკური პროგნოზები ჩვენი მხრიდან არ ვრცელდება, თუმცა სწორი ანალიზი შეგვიძლია გავაკეთოთ. უფრო მეტიც ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სწორედ გათვლილი პოლიტიკური პროგნოზის მედიით გავრცელება არის მორალური დანაშაული. რადგან პროგნოზი თავისთავად პროგნოზია და მას განხორციელებისათვის ძალა სჭირდება, როცა შენს გარშემო არის ათჯერ და ასჯერ უფრო მტრულად განწყობილი ძალა, ის პროგნოზს შენს წინააღმდეგ გამოიყენებს და სასიკეთო პერიოდების რეალიზაციის საშუალებას არ მოგცემს, ცუდ პერიოდებს კი შეეცდება უფრო დაგიმძიმოს.

— კი მაგრამ, მოწინააღმდეგესაც ხომ შეუძლია ასტროლოგის დახმარებით მიიღოს სასურველი პროგნოზი?

— რასაკვირველია, შეუძლია და ამის არაერთი საინტერესო მაგალითი არსებობს ასტროლოგიის ისტორიაში. მაგალითად ჰიტლერის და ჩერჩილის ბრძოლა, უფრო სწორედ მათი ასტროლოგების ბრძოლა. ჩერჩილის მხრიდან ეს იყო დე ვოლი, რომლის ზუსტი წარმომავლობაც უცნობია (ზოგი მას უნგრელად იხსენიებდა)ჰიტლერის მხარეს წარმოადგენდა კაფტი. იგი ცნობილი ასტროლოგი იყო და ერთ-ერთი პირველი პედაგოგი გახლდათ ბიორადიოლოგიურ ინსტიტუტში სადაც სს -ის უმაღლესი რანგის ოფიცრები სწავლობდნენ. კაფტი იყო მაღალი დონის ასტროლოგი და ერთ-ერთი ფუძემდებელი ურთიერთშეთავსების თანამედროვე ასტროლოგიისა და მისი ერთადერთი ნაკლი გახლდათ პოლიტიკური დაინტერესება. რამაც ხელი შეუშალა პროფესიულ ზრდაში. ბიორადიოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი გახლდათ დე ვოლიც ანუ გარკვეული დროის მონაკვეთი ორივე ასტროლოგი ერთ შენობაში ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. შემდეგ დე ვოლი გერმანიიდან ინგლისში გასდასახლდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დე ვოლმა ჩერჩილს წერილობით მიმართა და დახმარება შესთავაზა. ჩერჩილი დაინტერესდა შეხვდა დე ვოლს და პირდაპირ უთხრა, რომ მას არ ჯეროდა ასტროლოგიის და ისედაც იცოდა როგორ მოქცეულიყო, თუმცა მაინც კითხა შეეძლო თუ არა გამოეცნო რას ურჩევდა ჰიტლერს თავის ასტროლოგი დე ვოლმა უპასუხა, რომ მას შეეძლო გამოეთვალა ჰიტლერის ასტროლოგის რჩევაც და ფიურერის გადაწყვეტილებაც. ჩერჩილს აინტერესებდა თუ სად ელოდებოდა მოწინააღმდეგე კოალიციურ ჯარს, დე ვოლის გამოთვლამ ბალკანეთში იგი შოკში ჩააგდო, რადგან აღნიშნულის შესახებ მხოლოდ შტაბის უფროსმა და ჩერჩილმა იცოდნენ. სასწრაფოდ შეიმუშავეს ახალი გეგმა და ნორმანდიიდან და აფრიკიდან გადასხეს ჯარი, რასაც ჰიტლერი არ ელოდებოდა. ფიურერმა კაფტი სამაგალითოდ დასაჯა. კაფტს და ფიურერს რომ სცოდნოდათ ჩერჩილის ასტროლოგის შესახებ ალბათ გამოსავალს ნახავდნენ. მაგრამ აღნიშნული იყო აბსოლუტურად გასაიდუმლოებული. რათქმაუნდა ჯერ ნორმანდია და შემდეგ აფრიკიდან ჯარის გადასხმის მომენტი კაფტმა ვერ გამოიცნო და არავინ იცის რომელ საკონცენტრაციო ბანაკში დაასრულა სიცოცხლე. ხოლო დე ვოლმა ორმოცდაათიან წლებამდე იცოცხლა. იგი დიდი პატივით დაკრძალეს და მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ გავრცელდა აღნიშნული ისტორია. აი ესაა ასტროლოგიის სწორედ გამოყენება და უმაღლესი შედეგის მიღების კლასიკური მაგალითი, როგორ შეიძლება გამოიყენო ასტროლოგია სწორად და არა ისე, რომ მას ყველაფრის გადაჭრა შეუძლია, ასტროლოგიასაც ჭკვიანი მომხმარებელი ჭირდება სულელს არ უნდა მისცე ეს ძალა, რადგან აუცილებლად სისულელეს გააკეთებს!

— ადამიანის ბედისწერას ვარსკვლავები დაბადების მომენტიდან განსაზღვრავენ?

— ეს არის ყველაზე გავრცელებული და არასწორად დასმული კითხვა, მაგრამ რადგან კითხვა მკაფიოდ დასვით პასუხიც მკაფიო იქნება. პლანეტების და ვარსკვლავების მდებარეობა არ განსაზღვრავს ადამიანის ბედისწერას. უბრალოდ ეს არის განსხვავებული ენა როგორც ინგლისური, ფრანგული, ქართული გერმანულის პარალელურად არსებობს და სამყაროშია როგორც ვარსკვლავების ენა და იმართება იმავე ძალით რითიც იმართება ცხოვრება სამყაროში, ანუ პლანეტების განლაგება იმართება იმავე ძალით რომელიც მართავს მთელ სამყაროს. მაგრამ წასაკითხად ვარსკვლავების ენა იოლია. არსებობს კოსმოსური რიტმები რომლის წასაკითხი ენა არის ასტროლოგია და თუ ჩვენ მას კარგად დავინახავთ და გადმოვიტანთ დედამიწაზე სწორად, მივხვდებით და იმ დაბერილ ნიავს სწორად გამოვიყენებთ შედეგიც მაქსიმალური იქნება. პლანეტები და ვარსკვლავები არ განაპირობებენ ადამიანის ცხოვრებას ისინიც იგივე ძალების ქვეშ არიან უბრალოდ მათი დაფიქსირება უფრო ადვილია თანაც პლანეტების კონფიგურაციების დათვლა გაცილებით ადვილია საუკუნეების განმავლობაში, ხუთასი, ათასი წლის წინ და უკან და ასეშემდეგ აღნიშნული ძალიან დიდი სიზუსტით ხდება.

— საქართველოს „ნატალურ რუქაზე“და მის მომავალზე რას ფიქრობთ, გვიწერია ოდესმე ამ მოჯადოებული წრის გარღვევა?

— ასტროლოგიის ერთ-ერთი მთავარი სლოგანია „ვარსკვლავები ჩვენ არ გვაიძულებენ, მხოლოდ მიგვითითებენ, აიძულებენ მხოლოდ სულელებს!“ ჩვენ სწორად უნდა ვხედავდეთ მოვლენების შესაძლო განვითარებას და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენ სასარგებლოდ. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის ნატალურ რუქას. მკვლევარებს სხვადასხვა ათვლის წერტილი აქვთ. არსებობს დროზე დამოუკიდებელი რუქის აგების შესაძლებლობაც. მისი რეკლამირება ოცი წლის წინ მოხდა ტელევიზიით მე გავაკეთე და სხვა ასტროლოგებმაც გამოიყენეს, თუმცა ჩემი მოფიქრებული იქ არაფერი იყო, მე გამოვიყენე ინგლისელი ასტროლოგ სეფარიალის პრინციპი... სხვათაშორის ჩვენ 1991 წელს საქართველოს საკმაოდ დიდი სიზუსტით შედგენილი პროგნოზი გამოვთვალეთ, რომლისაც შეგვეშინდა და არ გამოვაქვეყნეთ და ამის შემდეგ უარი ვთქვით პროგნოზების გაკეთებაზე. პატარა ქვეყანამ ვფიქრობ პროგნოზი არ უნდა გამოაქვეყნოს მითუმეტეს არ უნდა გამოქვეყნდეს ამ პროგნოზზე აგებული სტრატეგიები რადგან გარედან უხეში ძალა აუცილებლად იმოქმედებს უარყოფითად. ჩვენ ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური ძალები, არსებობენ პოლიტიკური პიროვნებები ამიტომ პიროვნების პროგნოზის გაკეთება შეიძლება ზუსტად მისთვის სწორი რჩევის მიცემა და ის წაიყვანს მიმართულებას. სინამდვილეში საქართველოში სამი ოთხი ადამიანის პროგნოზის გაკეთება და მათთვის სწორი რჩევის მიცემას შეუძლია განსაზღვროს საქართველოს ბედი. სამწუხაროდ ეს ასე არ უნდა იყოს, მაგრამ რეალობა ასეთია.

— გასაგებია, რომ ზუსტი პოლიტიკური პროგნოზის გამოთვლას გარკვეული მიზეზების გამო თავს არიდებთ, მაინც უნდა გკითხოთ რას ამბობენ ვარსკვლავები ოქტომბრის არჩევნებზე?

— ერთი მთავარი რაც არის განსხვავებით წინა ხელისუფლებისგან, არჩევნები კოსმიურად სწორ დღესაა დანიშნული. ნაციონალების ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიებები სატანურ დღეებს ემთხვეოდა, ძალიან შესამჩნევი იყო ეს ყველაფერი. განსაკუთრებით არჩევნები

ყოველთვის კრიტიკულ დღეს ინიშნებოდა,სატანურ დღეებში როცა შავი ძალები მართავდნენ სიტუაციას ერთადერთი არჩევნები, რომელიც ასეთ დღეს არ დაემთხვა ორ ოქტომბერს ჩაინიშნა, მაშინვე ავღნიშნეთ რამოდენიმე ადამიანმა, რომ ნაცები ძალაუფლებას დათმობდნენ! ამ შემთხვევაში სიტუაცია შედარებით ნორმალურია, მთავარი მომენტი იყო დაბნელების პერიოდში არ ყოფილიყო არჩევნები, ამ წლის ბოლო ორი დაბნელება არის პირველ და თექვსმეტ სექტემბერს პირველშია მზის დაბნელება და თექვსმეტში მთვარის გარე ჩრდილის. ზეგავლენა მაინც არსებობს თუმცა მცირე. ამიტომ ჩვენი რჩევა იქნება სექტემბრის პირველი ნახევარი ყველამ განვლოს მშვიდად. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული დაბნელებები თბილისიდან არ ჩანს, რა ადგილიდანაც არ ჩანს დაბნელების უარყოფითი გავლენაც ნაკლებია. ასე, რომ ყველაფერი მშვიდად ჩაივლის და მმართველი პარტია გაიმარჯვებს!

– შავი მთვარე მორიელის ნიშანს გადის, მის გავლენას როგორ შეაფასებთ, მიმდინარე პროცესებზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?

ასტროლოგიაში შავი მთვარე გამოიყენება სპეკულაციისთვის და იმისთვის, რომ მაქსიმალურად გამოაშტერონ ხალხი. შავი

მთვარის ზეგავლენა ასეთი მარტივი და ადვილი არ არის ის არ მოქმედებს პირდაპირ მატერიალურ სამყაროზე ის მოქმედებს სულიერზე თუ მოქმედებს საერთოდ და მისი გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ადამიანს არ წასცდეს ხელი საკუთარი თავის ნგრევისაკენ და არა იმის გასარკვევად, მისი პარტია მოიგებს თუ არ მოიგებს, ფულს იშოვის თუ არ იშოვის შავი გზით იშოვის თუ თეთრით. თუ ადამიანს მაღალი მორალი აქვს, მას შავი მთვარე ვერასოდეს ვერაფერს ვერ ავნებს. ასტროლოგიაში ვინც ჩახედულია იმათთვის ცნობილია ინფორმაცია, რომ თუ ადამიანს დაბადების ჰოროსკოპში შავი მთვარე აქვს დიდ ტრიგონში, ვაი, იმ საწყალსო ამბობენ არადა არ არის ასე, დიდი ტრიგონი ძალიან კარგი კონფიგურაციაა და იმას ნიშნავს, რომ ამ ადამიანს განვითარების ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და თუ მან ეს სწორედ წარმართა, ის იქნება სინათლის მომტანი და არა ბნელის. რუსი ასტროლოგი რომანოვა შავი მთვარის მკვლევარია, იგი ამბობდა - ნუ იტყუებთ თავს, არ არსებობს ცუდი და კარგი პლანეტები, არ არსებობს მათი ცუდი და კარგი გავლენაც . არსებობს უტვინო გამოყენება შექმნილი სიტუაციის... ადამიანების უმრავლესობას აშინებს პლანეტა სატურნის მდებარეობა არადა, ასე არ არის, პლანეტა სატურნი გვაჩვენებს როგორ უნდა განვითარდეს ადამიანი რა ჩარჩოებში უნდა ჩაჯდეს, რა მიმართულებით წავიდეს, რომ გამოვიდეს სრულყოფილი ადამიანი და სძლიოს ყველაფერს მათ შორის დროსაც. ანუ ეს არის იმის მაჩვენებელი როგორ უნდა გაიაროს ადამიანმა ცხოვრების რთული გზა. ამ დროს კითხულობენ და უხარიათ იუპიტერის მდებარეობა. რეალურად დაზიანებულ იუპიტერი ბევრად საშიშია ვიდრე დაზიანებული სატურნი. დაზიანებული სატურნი სულაც არაა საშინელი რადგან ის მაინც გზა არის. ყველაფერს სწორი გაგება უნდა და არ შეიძლება აყვე პოპულიმს. ასტროლოგია არ არის მასების ხვედრი, როგორც ბევრი სხვა ცოდნა. ასტროლოგიის გაგება არცთუ ბევრ ადამიანს შეუძლია. სწორი ინტერპრეტაცია და მაღალი მორალი არის მნიშვნელოვანი ასტროლოგიის გამოყენების დროს. თუ ადამიანს არა აქვს მაღალი მორალი, ჯობია, ასტროლოგია საერთოდ არ ისწავლოს, ამ შემთხვევაში ის ზიანს თავისთავსაც აყენებს და სხვასაც. ასტროლოგია ერთ-ერთი უძველესი ცოდნაა ის არ არის თანამედროვე გაგებით მეცნიერება და ვერც იქნება, მაგრამ ნაკლები ცოდნა სულაც არ არის ვიდრე მეცნიერების რომელიმე დარგი, ოღონდ ასტროლოგიასთან თამაში არის ცეცხლთან თამაშზე უარესი.ასტროლოგიის გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს ზომიერი. ამიტომ თუ ასტროლოგიაში ან ასტროლოგში ეჭვი გეპარებათ, ჯობია, საერთოდ არ შეეხოთ ასტროლოგიას. იმ შემთხვევაში თუ ასეთი ნდობა არსებობს მაშინ შეეხებით კიდეც, განვითარდებით კიდეც, სულიერი განვითარების უმაღლეს დონესაც მიაღწევთ, გაიგებთ, რა არის ნამდვილი რელიგია, ნამდვილი ფილოსოფია და ყველაზე კარგი მორწმუნეებიც იქნებით. ანუ აქ უკვე ცოდნის ერთობლიობაზეა ლაპარაკი, ცოდნა არ განიყოფა, ცოდნა ერთიანია. ორჯერ მივატოვე ასტროლოგიის შესწავლა იმდენად მძიმე იყო, ორივეჯერ საჩუქრად ასტროლოგიის წიგნი მომიტანეს რომელიც იმ პერიოდში ძნელად იშოვებოდა, შემრცხვა და ისევ თავიდან დავიწყე სწავლა. არჩევანი ადამიანს ყოველთვის აქვს, მას შეუძლია მიიღოს დიდი ცოდნა და დიდი პასუხისმგებლობა, შეუძლია არცერთი არ მიიღოს და იყოს უპასუხისმგებლოც. ადამიანს მოეთხოვება არა მარტო იმის გამო რასაც თვითონ აკეთებს არამედ იმათ გამოც ვისაც მისი ჯერა, ასე რომ როგორც ასტროლოგიის ასევე სხვა ცოდნის შეძენაც უდიდესი პასუხისმგებლობაა და მეტი შანსი არასწორი ქცევისთვის კისერი მოიტეხოს.

– მადლობა საინტერესო საუბრისთვის!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კვლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

– ჩემს მიერ შეტანილი სარჩელი ქონებრივი დავის შესახებ იხილება ერთ-ერთ რაიონულ სასამართლოში. მოსამართლეს ვატყობ მიკერძოებას. მსურს საქმიდან მისი აცილება. რომელი კანონიერი საფუძვლით შეიძლება მისი აცილება?

– პირველ რიგში დაგიზუსტებთ: ის ფაქტი, რომ თქვენ, შესაძლოა, ზოგადად, არ მოგწონდეთ მოსამართლე, არ არის აცილების საფუძველი. მე წარმოგიდგენთ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების კანონიერ საფუძვლებს.დანარჩენი თქვენი გადასაწყვეტია.

მუხლი 30. სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების დაშვების აკრძალვა

სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას.

მუხლი 31. მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები
1. მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;

ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;

გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში ;

ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, ნათესავებად ითვლებიან:

ა) მეუღლე;

ბ) დანიშნული;

გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;

დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;

ვ) მშობლების და-ძმები;

ზ) დანათესავებულები (მოყვრები);

თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი.

საქართველოს 2011 წლის 20 დეკემბრის კანონი №5550 – ვებგვერდი, 28.12.2011წ.

მუხლი 32. თვითაცილება +

აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება. თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიეთითოს თვითაცილების საფუძველი.

* * *

– მაინტერესებს ყველა სასამართლო ინსტანციაში სახელმწიფო ბაჟების მაქსიმუმი.

– სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის მე- 3 ნაწილის მიხედვით,

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ა.ა) ფიზიკური პირისათვის – 3 000 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ) სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

ბ.ა) ფიზიკური პირისათვის – 5 000 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისათვის – 7 000 ლარს;

გ) საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს:

გ.ა) ფიზიკური პირისათვის – 6 000 ლარს;

გ.ბ) იურიდიული პირისათვის – 8 000 ლარს.

-სამოქალაქო კანონმდებლობაში ახლად მიღებულ კანონს აქვს თუ არა უკუქცევითი ძალა?

-საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

იაპონური ჯაშუშობის ხელოვნება

ამაყი სამურაები ამრეზით უყურებდნენ ნინძებს – გაყიდულ ჯაშუშებს, რომლებიც მზად იყვნენ, მისთვის ემსახურათ, ვინც მეტს გადაუხდიდა. ყველაზე მდაბალი კასტა, საზოგადოებისგან გარიყულები, ეშმაკის მსახურები, ადამიანები, რომლებიც კანონგარეშე იდგნენ – ასეთი გახლდათ ნინძების მდგომარეობა იაპონიაში.

ჯაშუშების სკოლა

ნინძების საიდუმლო კლანი იაპონიაში სამურაების ფენასთან ერთად გაჩნდა. ამ კლანების შექმნის პროცესი დაახლოებით IX საუკუნეში დაიწყო, ხოლო XII საუკუნისთვის ნინძების ბაზების ქსელი უკვე საკმაოდ განტოტვილი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ნინძები, საზოგადოებისგან გარიყულობის გამო, არასდროს აცხადებდნენ პრეტენზიას ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე და, საერთოდ, ცდილობდნენ, არ მიექციათ ყურადღება, მათ თავშესაფრებს პერიოდულად ესხმოდნენ თავს ხელისუფლების წარმომადგენლები და ადგილობრივი ფეოდალები.

თუმცა, მიუხედავად პერიოდული დევნისა, XVII საუკუნისთვის იაპონიაში დაახლოებით სამოცდაათი კლანი არსებობდა, რომლებიც პროფესიონალ ჯაშუშებს ზრდიდნენ, ამასთან, თითოეულ კლანს საბრძოლო ხელოვნების საკუთარი სკოლა ჰქონდა, რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა.

სამურაებისგან განსხვავებით, რომლებიც ბუსიდოს კოდექსის თანახმად, კეთილშობილური სიკვდილისთვის საუკეთესოდ უნდა მომზადებულიყვნენ, ნინძები, თავიანთი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, ნებისმიერ ფასად საკუთარი თავის გადარჩენას სწავლობდნენ. მკვდარი ჯაშუში ხომ არავის სჭირდება. ნინძებისთვის არ არსებობდა არავითარი აკრძალვა, ზნეობრივი, მორალური და სხვა სახის შეზღუდვები ომის წარმოების მეთოდებში. მათ გამარჯვების მისაღწევად ყველა საშუალება უნდა გამოეყენებინათ და ამას მშვენივრად ახერხებდნენ.

არასაბავშვო თამაშები

მომავალი დაქირავებული მზვერავის აღზრდა პირდაპირი მნიშვნელობით აკვნიდან იწყებოდა. თოკებზე ჩამოკიდებული ჩვილის მოქანავე საწოლიც, რომელშიც პაწია იწვა პირველი თვეების განმავლობაში, ადვილად გარდაიქმნებოდა სპორტულ იარაღად.

ეს შემდეგნაირად ხდებოდა: პატარას მშობლები საწოლს ისე ძლიერად გააქანებდნენ, რომ ის კედელს ეჯახებოდა. ბავშვს თავდაპირველად ეშინოდა და ტირილს იწყებდა, მაგრამ თანდათანობით ეჩვეოდა, მალე უხმოდ იკუნტებოდა და დარტყმას საკუთარ თავზე იღებდა.

დაახლოებით ექვსი თვიდან ნინძას კლანის ბავშვებს ცურვას ასწავლიდნენ. ზოგჯერ პატარა სიარულზე უფრო ადრე ცურვას იწყებდა. ეს ვარჯიშები უვითარებდნენ ფილტვებს და მოძრაობის კოორდინაციას. პატარა „ამფიბიებს“ შეეძლოთ ძალიან ღრმად ჩაყვინთვა და რამდენიმე წუთის განმავლობაში წყლის სიღრმეში ყოფნა. ასაკთან ერთად, ეს შესაძლებლობები, თუ ვარჯიშს არ შეწყვეტდნენ, ძლიერდებოდა.

აკრობატების ჯიბრზე

ყველაფერი ჩვეულებრივი, მიწაზე დადებული მორით იწყებოდა, რომელზეც პატარა იოლ ფიზიკურ სავარჯიშოებს სწავლობდა.

თანდათან მორს უფრო მაღლა ათავსებდნენ და ის უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, ვიდრე ჩვეულებრივ თოკად არ გადაიქცეოდა, ამასთანავე, სავარჯიშოები რთულდებოდა. პროცესის დასასრულისთვის მოწაფეს ადვილად შეეძლო უფსკრულზე გადაჭიმულ თოკზე გავლა, შპაგატში ჩაჯდომა და სალტოს გაკეთება – მათი მსოფლიოს საუკეთესო ცირკის მსახიობსაც კი შეშურდებოდა.

სასწავლო პროგრამის აუცილებელი პუნქტი ხტომა იყო: ხიდან ხეზე, ქვებზე, სიმაღლეზე ხტომა; ათეული მეტრის ხის წვეროდან „ჩამოვარდნა“ და არამარტო უვნებლად გადარჩენა, არამედ ბრძოლის გაგრძელება და გაქცევა – ასეთი უნარების დაუფლება მხოლოდ ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად იყო შესაძლებელი. სიმაღლეში ხტომის მასტიმულირებელ ტრენაჟორად კი ეკლიანი ბუჩქიც გამოიყენებოდა.

რასაკვირველია, მათ, ვისაც ნინძების შესახებ ფილმები უნახავს, ეჭვი შეპარვია მათ უნარში, როცა ისინი ჭერზე დადიან. რა თქმა უნდა, ეს ეჭვები უსაფუძველო არ არის, სწორ ჭერზე სუპერნავარჯიშევი ნინძაც ვერ გაივლის. სხვა საქმეა შუა საუკუნეების იაპონური საცხოვრისები, სადაც ჭერი ხის კოჭებისგან იყო დაწნული. ასეთ ჭერზე გამოცდილი ჯაშუში შედარებით იოლად გადაადგილდებოდა „ბრჭყალების“ და სხვა სპეციალური დამხმარე საშუალებების გამოყენებით.

აქ აღწერილია მხოლოდ მცირე ნაწილი პროფესიონალი ჯაშუშებისა და დივერსანტების ჭეშმარიტად გიგანტური მზადებისა. გარდა ამისა, ნინძებს უნდა სცოდნოდათ კლდეზე ცოცვა მხოლოდ ხელებისა და ფეხების დახმარებით; მრავალი საათის განმავლობაში ხელებზე დაკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა; აეთვისებინათ ათეულობით სახეობის იარაღი; შეძლებოდათ შხამების და ასაფეთქებელი ნივთიერებების ამოცნობა და გამოყენება; შენიღბვის ხელოვნების ფლობა, ოჩოფეხებზე სიარული, ცხენით ჯირითი... ფიზიკური ვარჯიშების გარდა მეხსიერების ვარჯიში, რუკისა და ძველი ტექსტების წაკითხვა, „ღამის ხედვის“, სმენის და ყნოსვის დაუფლება...

ბუსიდოს ერთგული სამურაები არასოდეს აწამებდნენ ღირსეულ მოწინააღმდეგეებს. მაგრამ ნინძები, ნაძირალა ჯაშუშები, რომლებსაც ზურგიდან შეეძლოთ მიპარვა, უიარაღო ადამიანზე თავდასხმა და თან უწმინდურ ძალასთან იყვნენ შეკრულები, აუცილებლად უნდა ეწამებინათ. ნინძებმა იცოდნენ, რომ მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდათ და ხელში ცოცხალი არ უნდა ჩავარდნოდნენ არავის.

მეგობრობა და კოდექსი

ნინძების განმასხვავებელი დამახასიათებელი თვისებაა ერთი შეხედვით გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსვლის უნარი. ამ უნარს ნათლად ადასტურებს ორი ჯაშუშის – ტონბესა და ძიუძოს ისტორია.

ისე მოხდა, რომ სეგუნების ერთ-ერთმა მმართველმა ტონბე დაიქირავა, რათა მას თავიდან მოეშორებინა საკუთარი თანამოძმე ძიუძო, რომელიც სეგუნის მოწინააღმდეგეებმა დაიქირავეს. თუმცა, როცა ტონბე მსხვერპლს მიუახლოვდა, დაინახა, რომ ის მისი ძველი მეგობარი იყო. რა უნდა ექნა? ერთი მხრივ, ადამიანური მეგობრობა აბრკოლებდა, მეორე მხრივ კი კოდექსის დარღვევა დაუშვებელია. ნინძამ აუცილებლად უნდა შეასრულოს სამუშაო ან უნდა მოკვდეს. ხანმოკლე თათბირის შემდეგ მეგობრებმა გეგმა შეადგინეს...

რამდენიმე ხნის შემდეგ ხელ-ფეხშეკრული ძიუძო მტრის წინაშე წარსდგა. სეგუნი კმაყოფილია – ტონბემ საკუთარ თავს გადააჭარბა და მოწინააღმდეგე ცოცხლად ჩაიგდო ხელში. მიიღო რა გასამრჯელო, ტონბემ იქაურობა დატოვა. ვიდრე იმაზე მსჯელობდნენ, როგორ უნდა გასწორებოდნენ ტყვეს, მან შესთავაზა, რომ თვითონ მოიკლავდა თავს ყველას თვალწინ. წინადადება მიღებულ იქნა, ძიუძოს მოკლე ხმალი მისცეს, ხოლო სეგუნის ამალა სანახაობის საყურებლად მოემზადა.

ძიუძომ ხმალი მუცელში შეირჭო და რამდენჯერმე გადაატრიალა, გადმომსკდარმა სისხლმა იქაურობა დასვრა, ნინძა რამდენჯერმე შეკრთა და გაშეშდა. კმაყოფილმა მმართველმა მისი ორმოში ჩაგდება ბრძანა.

მაგრამ ვერაგმა ძიუძომ და მისმა მეგობარმა ეშმაკობით აჯობეს ყველას: ნინძას ხმალი სხეულში კი არ შეერჭო, არამედკვდარ ვირთხას ჩაერჭო, რომელიც წინდაწინ ქამარზე მიიმაგრა. სიბნელეის დადგომისთანავე ძიუძო სასახლეში შეიპარა, ცეცხლი წაუკიდა და იქაურობას დაუსჯელად გაეცალა.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com